243 F

# თანსატარებელი

# ლოცვის წიგნი:

რომელი იპყრობს თჳს შორის სა-ყოველდღივო და სხჳა და სხვა მშვე-ნიერს ლოცვებსა.

F Λ.523/1

საქართველოს რომის კათოლიკეთათვის.

კოსტანდინეპოლს

ანთუან კჳზალიანის სტამბაში

1877

წიგნი ესე ისყიდება სტამბოლს ჩინილი ხანში რუბენ ადა ჰოქო-ციანის მაღაზიაში ნუმერო . . 5 . და გალათას სელბოს ხანში მხითა-რისტების წიგნის მაღაზიაში ნუმერო . . . . . 4 .

ფასი 50 კაპეკი .



A. Nauer pinx. 584. A. Pickel sc.
Benziger frères, Éditeurs à Einsiedeln New-York & Cincinnati.

Sainte Angélique.
De l'enfant le sens droit et pur
Reçoit de Dieu le guide sur.

## შესავალი.

ლოცვა არის სამ ნაირი: პირველი ფიქრის ლოცვა, რომელი იქმნების განზრახჳთ ვნებათა ზედა ქრისტესი, და ანუ კაცის საბოლოოთა ზედა ჳთამც სიკვდილსა, სამართალსა, ჯოჯოხეთსა, სასუფეველსა, და სხვა ამათ მსგავსთ სარწმუნოების ჭეშმარიტებათა ზედა; რომლების განზრახჳთ მიჳღებით ნათელსა ღვთისაგან, აღჳბეჭდავთ ჩვენს გულში სიყვარულს და შიშსა ღვთისასა; მოჳძულებთ ცოდვასა, ვეცდებით სიცოცხლის განწორებასა, ღვაწლის შეძენასა, კეთილის ქმნასა, და სასუფეველის მოგებასა. ამისთჳს ეგოდნად საჭირო არს დღე ყოველ ამ ფიქრის ლო-

ცჳს ქმნა, ჳდრულა უამისოდ არ შე-
გჳძლია არც კეთილად ცხოვრების
გატარება და არც ქრისტიანებრივს
სისრულესა შინა წინ წარსვლა.
რათა რომ ყოველს ჳსმეს შეეძლოს
ადჳლად ქმნა ფიქრის ლოცჳსა, ამ-
ისთჳს დავსტამბეთ სხვა ორი წიგ-
ნიცა ცალკედ, რომელთაგან პირ-
ველს ეწოდება « გზა ცხოვრებისა »
შედგენილი წმიდა ალფონსო ლი-
გორისაგან, და მეორეს « წინამძღ-
ვარი ზეცისა » შედგენილი თავადის
შჳლი მღვდელი ალექსანდრე ჰოე-
ნლოჲსაგან, რომელნი არა მარტო
ფიქრის ლოცჳს საქმნელად სახელ-
მძღვანელო წიგნები არიან არამედ
სასწავლებლადცა კეთილ ზნეობისა
და ღვთის სათნო ცხოვრებისა ყოვე-

ლი ქრისტიანისათჳს მიუცილებრივ
საჭირო წიგნები არიან ორნივე.
მეორე არის ხმოვანი ლოცვა; რო-
მელი ეგოდენად საჭირო არის ცხო-
ნებისათჳს, ჰდრელა ჰთარცა იტყჳ-
ან, წმიდა ვასილი, წმიდა იოვანე
ოქრო-პირი, და წმიდა კირილე
ალექსანდრელი ულოცავად შეუძ-
ლებელია ცხონება კაცისა, და მიზე-
ზი მათი ესრედ თქმისა ეს არის
რომ ჩვენ ჩვენის ძალით არ შეგჳძ-
ლია დაჳცვათ მცნებანი ღვთისანი და
ჩვენი სული ვაცხონოთ, არამედ
გვესაჭიროების ამათთჳს მადლი
ღვთისა; მისაღებლად მადლებისა-
ცა, ჰნებავს ღმერთსა, რათა ჰთხო-
ვოთ მისგან საჭირო მადლნი.
მაშ აქედგან შესდგება რომ ჰნც

არ ითხოვს ვერც მიიღებს მათ, როგორც ამბობს იაკობ მოციქული: არა გაქვსთ რამეთუ არა ითხოვთ (იაკობ . დ . 2 .) და ოდეს ვერ მიიღებს მადლსა, და შეწევნასა ღვთისაგან, მაშინ ვერცადა ცხონდება იგი, ამისთჳს იტყჳს წმიდა იოვანე ოქრო-პირი რომ ჳთარცა კორცი უსულოდ მკვდარია, ეგრეთვე სულიცა ულოცავად. და ჳთარცა წყალი საჭირო არს ნერგთა, და ხეთათჳს, რათა არა განხმნენ ეგრეთვე ლოცვა, რათა ცოდვათა შინა არ შთავარდეთ. გვალვად დიდი საჭიროება ლოცჳსა ცხადად სჩანს სიტყვათაგანცა უფლისა ჩვენისა, რომელი გვამცნებს ხშირად ლოცვასა მეტყველი: « იღჳძებდით და

ⴈⴊⴍⴚⴄⴅⴃⴈⴇ ⴐⴀⴇⴀ ⴀⴐⴀ ⴘⴄⴞⴣⴃⴄⴇ
ⴂⴀⴌⴑⴀⴚⴃⴄⴊⴑⴀ » (ⴋⴀⴇⴄⴑ. ⴉⴅ. 41.)«
ⴣⴇⴀⴐ ⴈⴂⴈ ⴟⴄⴐ ⴀⴐⴑ ⴋⴀⴇⴃⴀ ⴋⴀⴐⴀⴃⴈⴑ
ⴊⴍⴚⴅⴀ. ⴃ҄ ⴐⴀⴇⴀ ⴀⴐⴀ ⴄⴜⴗⴈⴌⴄⴁⴍ-
ⴃⴄⴑⴇ ⴊⴍⴚⴅⴀⴑⴀ ⴘⴈⴌⴀ » (ⴊⴓⴉ. ⴈⴡ.
1 )« ⴈⴇⴞⴍⴅⴃⴄⴇ ⴃ҄ ⴋⴍⴂⴄⴚⴄⴑⴇ ⴇⴕ-
ⴅⴄⴌ » ( ⴊⴓⴉ. ⴈⴀ. 9. ) ⴄⴂⴐⴄⴇⴅⴄ
ⴠⴁⴐⴛⴀⴌⴄⴁⴀ ⴈⴂⴈⴅⴄ ⴑⴀⴞⴈⴄⴐⴈ, ⴃ҄ ⴑⴀⴐ-
ⴜⴋⴓⴌⴍ ⴓⴔⴀⴊⴈ ⴋⴅⴄⴃⴐⴄⴁⴄⴊⴇⴀ ⴋⴀⴇ
ⴇⴣⴑⴇⴀ ⴗⴓⴐⴀⴃ ⴖⴄⴁⴀⴑⴀ ⴑⴀⴇⴞⴍⴅⴀⴐⴈ-
ⴑⴀ ⴋⴀⴇⴈⴑⴀⴑⴀ ⴋⴄⴒⴗⴅⴄⴊⴈ: « ⴀⴋⴈⴌ
ⴀⴋⴈⴌ ⴂⴄⴒⴗⴣ ⴇⴕⴅⴄⴌ, ⴐⴀⴋⴄⴇⴓ ⴐⴀⴍ-
ⴃⴄⴌⴈⴚⴀ ⴐⴀ ⴠⴑⴇⴞⴍⴅⴍⴇ ⴋⴀⴋⴀⴑⴀ ⴑⴀⴞⴄ-
ⴊⴈⴇⴀ ⴙⴄⴋⴈⴇⴀ ⴋⴍⴂⴚⴄⴑ ⴇⴕⴅⴄⴌ »
(ⴈⴍⴅⴀ. ⴈⴅ. 23.) « ⴗⴍⴅⴄⴊⴈ
ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴈⴇⴞⴍⴅⴃⴄⴑ ⴋⴈⴈⴖⴍⴑ, ⴃ҄
ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴄⴛⴈⴄⴁⴃⴄⴑ ⴠⴎⴍⴅⴍⴑ, ⴃ҄
ⴐⴍⴋⴄⴊⴈ ⴈⴐⴄⴉⴃⴄⴑ ⴂⴀⴌⴄⴖⴍⴑ »

(ლუკ. ია. 10.) « და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით გეყოს თქვენ » (მათე. კა. 22.) მაშასადამე ჳლოცოთ დღე ყოველ მხურვალედ, სიმდაბლით, სასოებით, და გამძლეობით, ვევედროთ ღმერთსა ხშირად მეტადრე დილით და საღამოთი, რათა ამფერი ძლიერი საჭურველითა ლოცჳსა ვსძლიოთ ეშმაკსა, სოფელსა, და კორცსა.

მესამე არის სულთქმითი ლოცვა რომელი იქმნების ღვთისადმი მოკლე და სიყვარულით სავსე სიტყვებითა, მაგალითად: » სახიერო უფალო შემიწყალე « საყვარელო იესოვ შემეწიე » ღვ-

თის-მშობელო ქალწულო მარიამ დამიფარე ». « ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედე » და სხვაც. ამფერთა მოკლე ლოცვათა, რადგან არ დას-ჭირდებათ ბევრი დრო, და ერთ წამ-ში წარმოითქმიან არა მარტო პირ-ითა, არამედ ლიტონი ფიქრითაცა, ამისთჳს მათ მიერ ადჳლათ შეგჳ-ძლია დღეში ხშირად ამაღლება ფი-ქრისა და გულისა ჩვენისა ღვთისა მიმართ. არცადა დიდი მეცნიერება დასჭირდება ამის ქმნასა, რადგან ბუნებაც ასწავებს თჳთ უგუნურთა-ცა თუ რა ნაირი სიტყვებით უნდა მიჰმართონ ღმერთსა, მადრიელო-ბის გარდასახდელად მისგან მიღე-ბული სიკეთეებისათჳს, დასავედრე-ბლად თავისა მის კურთხეულს ნება-

ზედ, სათხოვნელად მისცან მადლე-
ბისა და შეწევნისა. ესრედვე ფრიად
გამკვეთნიც არიან ამ ნაირნი ლოც-
ვანი, რადგან გულიდგან წარმოვ-
ლენ ფიქრის დატანებით, მხურვა-
ლებით, ნატვრით და ამის გამო
ჳთარცა ცეცხლის ალნი და ჳთარცა
სიყვარულის ცეცხლოვანნი ისარნი
გაასპობენ ცასა და ერთ წამში წარს-
დგებიან წინაშე ტახტისა ღვთისა
მოსაშოვნელად ჩვენთჳს მოწყალე-
ბისა და შემწეობისა მისისა. ამისთ-
ჳს შემოკრებულნი არიან ამ წიგნში
მრავალნი და ნაირ ნაირნი მოკლე
და მშვენიერნი ლოცვანი, და მათ-
თან სახენიცა სულთქმითი ლოცვე-
ბისა სადიდებელად ღვთისა, პატი-
ჳსათჳს დედოფლისა ჩვენისა ღვთის

მშობელი ქალწული მარიამისა, და საცხონებელად სულთა.



შეწირვა წიგნისა ამის მოციქუ-
ლთა სწორი წმიდა ნინა ქალწული-
სადმი .

წმიდაო ნინა ნეტარ ქალწულო!
საქართველოჲს განმანათლებელო,
სასწაულებით განბრწყინებულო
ურიცხვთ სნეულთა მამრთელებე-
ლო .

გიქადაგნია ქრისტეს სახელი
შეგიძენია ქართველ კახელი:
მით ნაცვლად კერპთა განმრავლ-
დნენ ჯვარნი
და საკერპოთა სადდარ ტაძარნი .

მოციქულობის მოძრაობასა
ადექი მარად მოგზავრობასა ,
არ შეუშინდი კერპთ მძლავრობასა,

პირ მოთნეობას ტკბილ მწარობა-
სა.

რა აღსრულდე უბიწო სძალო:
მოციქულობა ღვთის მოყვარულო;
მიწვევულ იქმენ ზეცას მომკრძა-
ლო,
ჭ დაგჳრგჳნდი უკვდავ უცვალო!

აწ გჳმეოხენ შენთა მვედრე-
ბელთ!
განვეროთ სამთ მძლავრთ მტერთა
მყვედრებელთ,
ღირს ჳქმნათ ზეცის სამკჳდრებე-
ლისა,
სადიდებელად მარადის ღვთისა·

შენ მდაბლად გწირავ წიგნსა
ამასა
ღვთის მიმართ ლოცჳს ვედრები-
სასა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღე სათნო ძღვენად შენისა,
ჵი დიდებულო მხევალო ღვთისა!
მიიღე კვალად მხურვალე პირთა
ამ წიგნის მიერ ღვთის მვედრებე-
ლთა
ლოცვანი მათნი და ვედრებანი,
და მოართჳ ღმერთს სულთქმანი
მათნი.



Benziger frères, Editeurs, à Einsiedeln; New York & Cincinnati.

O Mère de bénédiction notre salut est entre vos mains. (S. Bonaventure.)

რა დილით გამოიღჳძებ, აღიმაღლე გონება შენი ღვთისადმი, პირს ჯვარი გამოისახე, და სთქვ შემდეგნი ლოცვანი:

F 1.523

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა ამინ.

უფალო და ღმერთო ჩემო, გწირავ შენ გულსა ჩემსა, თაყვანისგცემ, და მიყვარ-ხარ ყოვლითა გულითა ჩემითა.

გმადლობ რომ დამბადე ქრისტიანედ, და დამიფარე ამას ღამესა შინა.

გწირავ შენ ყოველთა საქმეთა ჩემთა; და გევედრები მომანიჭე მე მადლი, რომ არასოდეს შევაწყინო-

შენ, და მეტადრე დღევანდელ დღესა.
მამაო ჩვენო. გიხაროდენი.
მრწამსი. დიდება მამასა. და სხვა:

## საქმე სარწმუნოებისა.

მრწამს მე მტკიცედ რომ არის მხოლოდ ერთი ღმერთი სამთა თანასწორთა, და განრჩეულთა ღვთიულთა გუამთა შინა, რომელთაც ეწოდებისთ მამა, ძე, და სული წმიდა. კვალად ძედ წოდებული მეორე გვამი ყოვლად წმიდა სამებისა, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ჭეშმარიტი ძე ღვთისა გარდამოხდა ზეცით ქვეყნად, და განკაცდა სულისა მიერ წმიდისა საშოსა შინა ქალწული მარიამისა, იშვა, ივნო, მოკ-

ბიბლიოთეკა

გდა ჯვარსა ზედა დახსნისა ჩვენი-
სათჳს, მესამესა დღესა აღჰსდგა
მკუდრეთით, და ამაღლდა ზეცას.
ესრეთვე რომ ღმერთი არის მართა-
ლი მსაჯული, რომელი კეთილთა
მიაგებს საუკუნო დიდებასა სასუ-
ფეველისასა, და ბოროტთა საუკუ-
ნო სატანჯველსა ჯოჯოხეთისასა.
მსგავსადვე მრწამს, და ვაღვიარებ
ყოველსა მას რაიცა ჰსწამს წმიდა
კათოლიკე და სამოციქულო ეკკლე-
სიასა. და ესე ყოველი მრწამს მე
ამისთჳს რამეთუ ღმერთსა დაუსრუ-
ლებელს ჭეშმარიტებას, რომელი არა-
ჳს მოატყუებს და არცა მოსტყუვდე-
ბის, ესრედ გამოუცხადებია ესენი
წმიდისა ეკკლესიისა-თჳს, და იგიცა
მიბრძანებს მე ამათს რწმუნებასა.

## საქმე იმედისა.

ღმერთო ჩემო რამეთუ შენ ხარ ყოვლის შემძლებელი, ყოვლად მოწყალე და სარწმუნო აღთქმათა ზედა შენთა, ამისთჳს ვთხოვ შენ-გან და ვიმედოვნებ დიდად რომ ნა-ყოფისა-თჳს იესო ქრისტესი, მომანიჭებ მე საუკუნო მოტევებასა ცოდვათა ჩემთასა, ყოველთა მადლ-თა მათ რომელნიც მესაჭიროებიან მე ცხოვნებისათჳს სულისა ჩემისა, და საუკუნო დიდებასა სასუფეველი-სასა, რომლის მიცემა აღგითქვამს შენ მათ-თჳს, რომელნიც დაიცვენ მცნებათა შენთა, და ჰყოფენ კეთილთ საქმეთა, რომელთა დავიცვამ და

ვჰყოფ მეც შეწევნითა მადლისა შენისათა.

## საქმე სიყვარულისა.

ღმერთო ჩემო, რამეთუ ხარ შენ დაუსრულებელი სახიერება, გამოუთქმელი კეთილი, და ღირსი განუზომელი სიყვარულისა, ამისთვის მიყვარ-ხარ შენ და მნებავს მარადის შეყვარება შენი ყოვლითა გულითა ჩემითა, უფროს ცხოვრებისა ჩემისაგან, უფროს თაჳსა ჩემისაგან, და უფროს ყოვლისა რაჲმისაგან; და მზად ვარ უფროს დკარგვად ყოვლისა, ჯრემც ქმნად რაჲმისა წინა-დმდეგად ნებისა შენისა. ეგრეთვე ყოველთა ცოვათა ჩემთა ზედაცა

ვჰსწუხვარ, ვნანულობ, და მძაგს იგინი ყოვლითა გულითა ჩემითა, რამეთუ მათ მიერ შემიწყენიხარ შენ ყოვლად სრული კეთილი. ამასთან-ვე ვჰსდებ მტკიცე პირობასაც რათა ამიერით უმეტესად ჳრჩიო მადლითა შენითა სიკვდილი, ჳრემც კვალად შეწყენა შენი და სიყვარულისა შენი-სათჳს მიყვარს ყოველი მოყვასი ჩემი მეგობარი თუ მტერი, ვითარცა თავი ჩემი. ამისგამო რაჲცა კეთილი მნებავს ჩემთჳს, იგი ყოველი მნე-ბავს მათთჳსაც მარადის.

## საქმე სრული სინანულისა

უფალო და ღმერთო ჩემო, სი-მდაბლით დავრდომილი წინაშე გა-

მოუთქმელი დიდებისა შჱნისა, თა-ყვანისაგცემ, მრწამხარ, გესავ და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, რადგან შჱნის დაუს-რულებელი სისრულისათჳს ღირ-სად ყოველი რაჲმისაგან უფრო შე-საყვარებელი და მისაჩნეჲ ხარ შენ. ესრეთვე მიყვარს, მიმაჩნია და მი-რჩევნია მე ნება შენი და მცნებანი შენნი უფროს ყოვლისა კეთილი-საგან. და რადგან გძულს შენ ყო-ველი ცოდვა, ამისთჳს მეც მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და მარა-დის სატირელნი და საგლოველნი არიან იგინი ჩემთჳს უფროს ყოვ-ლისა ბოროტისაგან, ამისთჳს მრ-თელი გულითა ჩემითა ვნანულობ და ვსწუხვარ ყოველს ჩემს ცოდვებ-

ზედა, არა მისთჳს, რომ მათით დამიკარგავს მე სასუფეველი და მომიგია ჯოჯოხეთი, არამედ იმისათჳს რომ იმ ცოდვებითა შემიწყენი ხარ შენ, ჵი განუზომელო კეთილო, ნეტამც ათასჯერ მომკვდარ ჳყაჳ და არც ერთხელ არ შემეცოდებინა და არ შემეწყინე შენ. ვსდებ მტკიცე პირობასაც და ვპირდები რომ ამიერით უმძვრო ჳრჩიო ათასჯერ სიკვდილი და ყოველი ზიანი, ჳრემც თუ ერთხელ კიდევ შეგაწყინო შენ ცოდჳთა, არამედ მინდა მოვშორდე ყოველს ცოდვასა და ცოდჳს მიზეზთაცა, ჳხმარო (ეს და ის) საშუალობანი კელმეორ ცოდვაში ჩავარდნილობისათჳს, და გაჳსწორო სიცოცხლე ჩემი ყოვლითურთ

მადლითა შენითა. აკურთხე უფალო პირობა ესე ჩემი რათა ეგრედ აღვასრულო ყოველი ჳთარცა გპირდები აწ და მოწყალებითა შენითა შემინდევ ცოდვანი ჩემნი.

ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, რომელი ხარ დედა მარადის კეთილში გამძლეობისა, მფარველო ანგელოზო ჩემო, სეხნა წმიდაო, და ყოველნო წმიდანო ღვთისანო, ევედრენით ჩემთჳს ღმერთსა, მომიშოვნეთ მისგან ყოველი ჩემთჳს საჭირო სულიერი თუ ჴორციელი წყალობა, განმათაჳსუფლეთ ყოველი შეწუხებისა და შეჳწროებისაგან და უფროსი ერთი მეოხებითა თქვენითა დამიფარეთ მე ყოველი ცოდჳსაგან

დღეს, და მარადის, ყოველი განსაცდელისაგან სულისა და ჴორცისა, დაუმზადებელი სიკვდილისაგან და ღირს მყავთ რათა სიკვდილის წამს დავავედრო სული ჩემი კეთილად ღ̃თის მადლში საქებლად და სადიდებლად ღვთისა მარადის თქვენთან ერთად სასუფეველსა შინა ცათასა, ა მ ი ნ.

## ლოცვა.

უფალო ღმერთო ყოვლის-მპყრობელო, რომელმან მოგჳყვანე ჩვენ განთიადსა ამას, გევედრებით დაგჳცევ ჩვენ ძალითა შენითა დღესა ამას, რათა არა მიიდრიკოს ნება ჩვენი ცოდჳს მიმართ, არამედ ყო-

ველნი, ზრახვანი, სიტყვანი, და საქმენი ჩვენნი წარმართებულნი მადლითა შენითა ეკუთვნოდნენ მარადის შესრულებასა წმიდათა მცნებათა შენთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ამინ.

ლოცვა.

ღმერთო ჩემო, შენ უკეთილესად ჰსცნობ ყოველსა საჭიროებასა ჩემსა, ამისთჳს ნაყოფთა მიერ იესო ქრისტესი საყვარელი ძისა შენისა, და მეოხებითა ყოვლად წმიდა ქალწული მარიამისა, ვთხოვ შენგან სიმდაბლით ყოველთა მადლთა მათ შენთა, რომელნიცა საჭირონი არიან ჩემთჳს სიწმიდით გა·

სატარებლად დღევანდელი დღისა, ამასთანვე გევედრები მომანიჭო მე დღეს ყოველნი სულიერნი და ყამიერნი წყალობანი შენნიცა, ამინ.

## ლოცვა იესოს მიმართ.

თაყვანისსაცემელო იესო, ღვთიულო მაგალითო ყოველი ღუაწლისა, და სისრულისა, რომლისადმი მიწევნისათჳს ჩვენ ყოველნი უნდა ვცდილობდეთ, მნებავს მე დღეს მეწევნითა შენითა გულს-მოდგინედ შრომა, რათა შეძლებისაებრ ჩემისა ჳყო შენსაჳთ მშჳდი, მდაბალი, უბიწო, მორჩილი, მომთმინე, უწყენარი, დავედრებული ღვთიულს ნებასაზედა, მოღვაწე სუ-

ლთა ცხონებისათჳს, კეთილის-
მყოფელი ყოველთა, კეთილი მა-
გალითის მაჩვენებელი ყოველთა,
შემასრულებელი ღვთიური ნებისა
ყოველსა ჟამსა. ამასთანვე დღეს
უნდა ჰხმარო კერძობითად ყოველი
ღონის ძიება, რათა არღარ შთავა-
რდე მე ჩვეულებრივთა ცოდვათა
მათ შინა, რომლებშიაც ამის წი-
ნათ ხშირათ შთავარდნილვარ; გა-
ნჰსწორო ყოვლითურთ ცხოვრება
ჩემი, და გავატარო დღევანდელი
დღე ესე უცოდოდ მადლითა შენი-
თა, აკურთხე უფალო პირობა ესე
ჩემი, და მომეც შეძლება შევასრუ-
ლო ესე ყოველი ეგრედ ჰთარცა
აღვითქჳ ჭეშმარიტის გულითა,
ამინ.

## ლოცვა ღვთის მშობლისა მიმართ.

ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, დიდის სასოებით გავედრებ შენ აწ ყოვლითურთ საწყალსა თავსა ჩემსა, და სიმდაბლით გევედრები რათა იყო შემწე ჩემი განსაცდელსა შინა, შესავედრებელი გაჭირვებასა შინა, ნუგეშინის-მცემელი შეწუხებასა შინა, მფარველი ყოვლის ბოროტისაგან, მზრუნველი ყოველი საჭიროების ჩემისათვის სულიერისა თუ ჴორციელისა და მეოხე თავყანისცემელი ძისა მიმართ შენისა დღეს, ყოველსა ჟამსა ცხოვრების ჩემისა და საკუთრად ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა. ამინ.

აქ ჰქმენ ფიქრის ლოცვა ნახევარ საათსა, წაიკითხე იმ დღის ფიქრის ლოცვა ნელა ნელა, და თჳთოეული ნაწილის წაკითხჳს დროსა განიზრახე წაკითხულნი ჭეშმარიტებანი იგინი; დასდევ მტკიცე პირობაცა რათა უცოდოდ გაატარო დღე იგი, გაისწორო ცხოვრება, ჩვეულობის ცოდჳსაგან ჴელი აიღო და იმოქმედო ქრისტიანევრივნი ღვაწლნი.

## შემდგომი დილის ლოცვათა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ამინ.

უფალო აღახვენ პირი ჩემი, რათა უგალობდე წმიდასა სახელსა შენსა, განსწმიდე გული ჩემი ყოვლისა უქმის, გულ არ-ძნილისა, და უგუანისა ფიქრისაგან, გულისგმაცა განმინათლენ და სიყვარული ჩემი აღაგზენ, რათა ღირსეულად, მორწმუნედ და განმართლებულად შეგწირო შენ ლოცვანი ჩემნი და წინაშე საღმრთოჲსა დიდებისა შენისა შეისმინო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ამინ.

უფალო გვნებავს ჩვენ ლოცვად შენდა შეხებითა საღმრთოჲსა გონებისა მის შენისათა, რომლითაცა სოფელსა ამასა ზედა ილოცჳდი შენ ღვთისა მიმართ ამინ.

## ლოცვა თაყვანის ცემისა.

უფალო ღმერთო ჩემო, მამაო, ძეო, და სულო წმიდაო, ვუმზერ მე შენს დიდებასა დაჳმდაბლებ გონებასა, და ჴორცსა ჩემსა და ყოვლითა საგრძნობელითა ჩემითა თაყვანსა გცემ, ჳთარცა დასაწყისსა და დასასრულსა ყოველთა მყოფთასა და აღვიარებ, რამეთუ ჳთარცა წყალობითა შენითა, დაჰბადე. და იფარავ ყოველთა: ეგრეთვე ძალ-გიძს მა-

თივე განქარვება უკეთუ გნებავდეს, ამისთჳს შენ მხოლოსა გშვენის დიდება დ~ პატივ უკუნითი უკუნისამდე ამინ.

ლოცვა მადლობისა.

რა მოგაგო შენ მიგებულისა მომგებელო უფალო! ყოველთა მათთჳს, რომელნიცა ჩემთჳს მოგინიჭებია, რამეთუ შენ დამბადე. დამიფარე დ~ მომეც მე მხოლოდ შობილი ძე შენი სახსრად სულისა ჩემისა დ~ მოწილე მქმენ სატანჯველთა მისთა. აწ~ გკალად გნებავს რათა დიდებასა მისსა შინაცა წილდებულ მყო, ამისთჳს გწირავ შენ ქ~ასა დ~ მადლობასა აწ~ დ~ მარადის დ~ უკუნითი უკუნისამდე ამინ.

## ლოცვა სინანულისა.

ვნანულობ და ვჰსწუხვარ ჭეშმა-
რიტის გულითა, რამეთუ შეგცოდე
შენ. ამისთჳს გევედრები რათა
ჰშჯული შენი დამამარხჳნო და ყო-
ველთა ცოდათაგან განმარინო. აღ-
გითქვამ რათა ამიერით კეთილ მო-
ქმედება ვქმნა და უფროისი ერთი-
გულსმოდგინებით ვეცადო მოქცე-
ჳსა ჩემისათჳს სიცრუისა და სიამო-
ვნისაგან, და დაჳცვა ჭეშმარიტე-
ბანი შენნი, ამისთჳს კუალად გევედ-
რები რათა დღესა ამას ცხოვრება
ჩემი სათნო გეყოს და უცოდველად
დამიფარო ა მ ი ნ.

## შეწირვა.

ყოველნი წყარონი ზღჳდგან მოვლენან და ზღჳსავე მიიქცევიან, ამისთჳს გწირავ შენ, ჰოი ზღვაო სახიერებისაო, თავსა ჩემსა, სულსა ყოვლითა ძალითა თჳსითა, და გორცსა ყოვლითა საგრძნობლებითა თჳსითა, შრომასა, და შეწუხებასა ჩემსა, რომელნიც მოსასვლელ არიან დღესა ამას ჩემ ზედა, რომელთა დავთმენ დიდებისა შენისათჳს და სალხინებლად ცოდვათა ჩემთა; ამასთანავე გწირავ შენ ლოცვასა და კეთილ მოქმედებასა ყოველთა მორწმუნეთასა, და ქებასა ყოველთა წმიდანთასა და გჱედრებიაღბე-

ჭდე გულსა შინა ჩემსა წმიდა შიში შენი რათა სიკვდილადმდე ერთ გულობით გემსახურო შენ, ამინ.

## ლოცვა ვედრებისა.

უფალო ჩემო, ნება ჩემი წინდმდეგ ჩემდა არს, რომელი არა მაქმნეჳნებს კეთილ-მოქმედებასა, რამეთუ არა თუ რაჲცა კეთილი მნებავს, მასა ვიქმ, არამედ რომელიც არა მნებავს ბოროტი მასა ჳქმ, რამეთუ კეთილი არა არს დამკჳდრებულ ჩემ შორის, გარნა უფალო, რომელი ყოვლის შემძლე ხარ, შენით ვებრძოდე მტერსა ჩემსა, და შენით ჳხსნებოდე საცდურისაგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რო-

მელი ცხოველ არს და სუფევს შენთანა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

აღდეგინ ღმერთი, და განიბნინედ ყოველნი მტერნი მისნი ამინ.

## ლიტანია ყოველთა წმინდათა.

უფალო ნუ მოიხსენიებ უსჯულოებათა ჩვენთა და მშობელთა ჩვენთათა და ნუცა შურს გვაგებ ცოდვათა ჩვენთა ზედა.

კირიე, ელეისონ,
ქრისტე, ელეისონ,
ქრისტე, ისმინე ჩვენი,
ქრისტე, შეისმინე ჩვენი,
მამაო ზეცათაო ღმერთო,
შეგვიწყალენ ჩვენ.

ძეო მაცხოვარო სოფლისაო ღმე-
რთო, შეგჳწყალენ ჩვენ.
სულო წმიდაო ღმერთო, შეგ.
წმიდაო სამებაო ერთო ღმერთო,
წმიდაო მარიამ, ევედრე ჩვენთჳს.
წმიდაო ღვთის მშობელო, ევედ.
წმიდაო ქალწულთა ქალწულო,
წმიდაო მიქაელ, ევედრე.
წმიდაო გაბრიელ, ევედრე.
წმიდაო რაფაელ, ევედრე.
ყოველნო წმინდანნო ანგელოზნო
დ̂ანგელოზთა მთავარნო, ევედ-
რენით ჩვენთვის.
ყოველნო წმინდანნო ნეტართა
სულთა გუნდნო, ევედრენით.
წმიდაო იოვანე ნათლის მცემელო.
წმიდაო იოსებ, ევედრე.
ყოველნო წმინდანნო მამად მთა-

ვარნო და წინასწარ მეტყველნო.

წმიდაო პეტრე, ევედრე.

წმიდაო პავლე, ევედრე.

წმიდაო ანდრია, ევედრე.

წმიდაო იაკობ, ევედრე.

წმიდაო იოვანე, ევედრე.

წმიდაო თომა, ევედრე.

წმიდაო იაკობ, ევედრე.

წმიდაო ფილიპე, ევედრე.

წმიდაო ბართლომე, ევედრე.

წმიდაო მათე, ევედრე.

წმიდაო სვიმონ, ევედრე.

წმიდაო თადეოზ, ევედრე.

წმიდაო მატათა, ევედრე.

წმიდაო ბარნაბა, ევედრე.

წმიდაო ლუკა, ევედრე.

წმიდაო მარკოზ, ევედრე.

ყოველნო წმიდანო მოციქულნო

და მახარობელნო, ევედრენით.
ყოველნო წმიდანო უფლის მო-
წაფენო, ევედრენით.
ყოველნო წმიდანო ჩჳლნო ჰე-
როდეს მიერ მომწყდარნო,
წმიდაო სტეფანე, ევედრე.
წმიდაო ლავრენტი. ევედრე.
წმიდაო ჳქკენთი, ევედრე.
წმიდანო ფაბიანე და სებასტიანე.
წმიდანო იოვანე და პავლე.
წმიდანო კოზმა და დამიანე.
წმიდანო გერვასი და ეფროდასი.
ყოველნო წმიდანო წამებულნო.
წმიდაო სილიბისტრე, ე ვე
წმიდაო გრიგოლ, ე ვე
წმიდაო ამბროზი, ე ვე
წმიდაო აგჳსტინე. ე ვე
წმიდაო იერონიმე, ე ვე

წმიდაო მარტინე, ე ვე
წმიდაო ნიკოლოზ, ე ვე
წმიდაო გრიგოლ გამნათლებელო.
ყოველნო წმიდანო მამად მთავარ-
ნო და აღმსარებელნო, ევედრენ.
ყოველნო წმიდანო ღმერთ შემო-
სჯულნო მამანო, ევედრენით.
წმიდაო ანტონი, ე ვე
წმიდაო ბენედიქტე, ე ვე
წმიადო ბერნარდე, ე ვე
წმიდაო დომინიკე, ე ვე
წმიდაო მამაო ფრნჩისკე, ე ვე
ყოველნო წმიდანო მღვდელნო და
ლეჳტელნო, ევედრენით.
წმიდაო მარიამ მაგდანელა, ე ვე.
წმიდაო აგათა, ე ვე
წმიდაო ლუცია, ე ვე
წმიდაო აგნეს, ე ვე

წმიდაო ცეცილია, ე ვე

წმიდაო ეკატარინე, ე ვე

წმიდაო ანასტასია, ე ვე

წმიდაო ნინა, ე ვე

ყოველნო წმიდანო ქალწულნო და ქვრივნო, ევერენით.

ყოველნო წმიდანო ღვთისანო.

მლხინებელ მეყავნ, მომიტევენ ჩვენ

ყოვლისა ჭირისაგან, გჳხსენ ჩვენ უფალო.

ყოვლისა ცოდჳსაგან, გჳ

რისხჳსა შენისაგან, გჳ

გვემისა და მიწის ძვრისაგან, გჳ

ანაზდეული სიკვდილისა და მისი განუმზადებლობისაგან, გჳ

ეშმაკის მანქანებათაგან, გჳ

რისხვისა და სიძულილისა და ყოვლისა ბოროტის მნებელობისაგან

სულთაგან მეძაობისა, გჳ
მეხთა და ღელვათაგან, გჳ
საუკუნოჲსა სიკვდილისაგან, გჳ
შენის წმიდა განკორციელების სა-
იდუმლოსათჳს, გჳ
შენის მოსვლისათჳს, გჳ
შენის შობისათჳს, გჳ
შენის ნათლისა და წმიდა მარხჳ-
სათვის, გჳ
შენის ჯვარცმისა და ვნებისათჳს,
შენის სიკვდილისა და დამარხჳსათჳს
შენის წმიდა აღდგომისათჳს, გჳ
შენის განსაკჳრვებელისა ამაღლე-
ბისათვის, გჳ
სულისა წმიდისა ნუგეშინის მცე-
მელის მოსვლისათჳს, გჳ
დღესა სამართლისასა, გჳ
ცოდჳლნი, გევედრებით ისმინე

ჩვენი უფალო.

რათა ჩვენ მოგჳტეო, გევედ

რათა ჩვენ გვწყალობდე, გევედ

რათა ჩვენ ჭეშმარიტსა სინანულსა მიწევნად ღირს-გვყო. გევედ

რათა შენსა წმიდასა ეკლესიასა წინამძღვარ ექმნე და დაცვად ღირს ჰყო. გევედრებით

რათა ჩვენი სამოციქულო კათოლიკე მამა მთავარნი და ყოველნი ეკლესიურნი დასნი წმიდასა მსახურებასა შინა დაცვად ღირს-ჰყო

რათა წმიდა ეკლესიის მტერნი დამდაბლებად ღირს-ჰყო.

რათა ძალსა აგარიანთასა აღვირასხმიდე და შეურაცხ-ჰყოფდე.

რათა ქრისტიანეთა ჴელმწიფეთა და მთავართა მშჳდობისა და ჭეშმარიტ-

ტის ერთ პირობისა მინიჭებად ღირს-ჰყო. გევედრებით

რათა ყოველთა ერთა ქრისტიანეთა მშვდობისა ᲓᲐ ერთობისა მინიჭებად ღირს-ჰყო. გევედრებით

რათა ჩვენ შენს წმიდასა მსახურებასა შინა განძლიერებად ᲓᲐ დაცვად ღირს-გვყო. გევედრებით

რათა სულნი ჩვენნი ზეციერთა წდომათა მიმართ აღამაღლო.

რათა ყოველთა ჩვენთა მოკეთეთა საუკუნო კეთილი მიანიჭო.

რათა სულნი ჩვენნი ᲓᲐ ძმათა ჩვენთა მეგობართა ᲓᲐ მოკეთეთა ჩვენთა საუკუნოჲსა სასჯელისაგან დაიხსნა. გევედრებით

რათა ნაყოფი ქვეყნად მისცე ᲓᲐ დაცვად ღირს-ჰყო. გევედ

რათა ყოველთა მორწუნეთა მიცვა-
ლებულთა საუკუნო განსვენება მია-
ნიჭო. გევედრებით
რათა ჩვენი შეისმინო დ̃ ვედრება-
ნი შენთან მოჴდნენ. გევედ
ძეო ღვთისაო. გევედრებით ისმ.
კრავო ღვთისაო რომელმან აღი-
ხვენ ცოვანი სოფლისანი, მომი-
ტევენ ჩვენ უფალო.
კრავო ღვთისაო რომელმან აღი-
ხვენ ცოდვანი სოფლისანი, შეის-
მინე ჩვენი უფალო.
კრავო ღვთისაო რომელმან აღი-
ხვენ ცოდვანი სოფლისანი, შეგჳ-
წყალენ ჩვენ.
ქრისტე ისმინე ჩვენი.
ქრიტე შეიმინე ჩვენი.
კირე ელისონ.

ქრისტე ელეისონ.
კირიე ელეისონ, მამაო ჩვენო.
და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა.
არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან.

## ფსალმუნი 69

ა. ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე.

მ. ჰრცხვენოდენ და კდემობოდენ რომელნი ეძიებენ სულსა ჩემსა.

ა. მართლ უკუნიქცენ და სირცხჳლეულ იქმნენ რომელნი ზრახჳდეს ჩემთვის ძვირსა.

მ. მიიქცენ მუნ თქვესვე სირც-

ხჳლეულნი რომელნი მეტყოდეს მე ვაშა ვაშა .

ა . გალობდენ და იხარებდენ შენ-დამი ყოველნი რომელნი გეძიებენ შენ უფალო და თქვედ მარადის დიდ არს ღმერთი რომელთა უყვარსთ მაცხოვარება შენი .

მ . ხოლო მე გლახაკ და დავარდო-მილ ვარი მე ღმერთო შემეწიე მე :

ა . შემწე და მხსნელი ჩემი ხარ შენ უფალო ნუ ჰყოვნი .

მ . დიდება მამასა და სხვაც .

ა . ჳთარცა პირველად იყო და სხვაც.

ა . ღმერთო ჩემო აცხოვნე მო-ნანი შენნი .

მ . რომელნი მყოვ არიან სასო-ებასა შინა შენსა .

ა. გვეყავ ჩვენ უფალო გოდოლ მტკიცე.

მ. წინაშე პირსა მტერისასა.

ა. არა ირგოს მტერმან ჩვენმან.

მ. და შჯულმან უსჯულოებისამან ვერ შესძინოს ვნებად ჩვენდა.

ა. ცოდვათა ებრ ჩვენთა არა მიყო ჩვენ.

მ. არცა უსჯულოებათა ჩვენთა ებრ მომაგო ჩვენ.

ა. ჳლოცოთ (სახელი) მამა-მთავარისა ჩვენისათჳს.

მ. უფალმან დაიცვას იგი და აცხოვნოს იგი და სანატრელ ჰყოს იგი ქვეყანასა ზედა და არა მისცეს იგი ხელთა მტერთა მისთასა.

ა. ჳლოცოთ მოკეთეთა ჩვენთათჳს

მ. ღირს ჰყავ უფალო მიმადლე-

ზად ყოველთა მოყვასთა ჩვენთა სახლისა შენისათჳს ცხოვრება საუკუნო ამინ.

ა. ჳლოცოთ მორწმუნეთა მათ მიცვალებულთათვის.

მ. განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ უფალო ღ̃ ნათლითა სამარადისოჲთა განანათლენ იგინი.

ა. რათა განისვენონ მშჳდობით.

მ. ამინ.

ა. ჳლოცოთ შორის მყოფთა ძმათა ჩვენთათვის.

მ. ღმერთო ჩემო აცხოვნე მონანი შენნი რომელნი მყოფ არიან სასოებასა შინა შენსა.

ა. მიუვლინე მათ უფალო შეწევანა სიწმიდისა შენისა.

მ. ღ̃ სიონით დაიცევ იგინი.

ა. უფალო შეისმინე ლოცვას ჩემისა.

მ. და ვედრებისა ჩემისა ყურად იღე

## ვილოცოთ

ღმერთო რომელი ბუნებითად მარადის შემწყალებელი, და შემნდობელი ხარ, შეიწყნარე ვედრებანი ჩვენნი რათა შეწყალებამან შენმან გჳხსნას ჩვენ და ყოველნი მონანიცა შენნი შეპყრობილნი ცოდვათაგან.

გევედრებით უფალო შეისმინე ვედრებისა ჩვენისა და შეგჳნდევ ცოდვანი ჩვენნი რათა შეწყალებითა მით შენითა შენდობა და მშჳდობა მოგვანიჭო ჩვენ.

უფალო გამოუთქმელი მოწყალ-

ება შენი მშვენიერად გამოგჳჩინე
რათა ყოველთა ცოდვათა ჩვენთა-
გან გაგვწმიდო ჩვენ ⴃ რისხჳსაგან
რომლისა ღირს ვართ გჳხსნა ჩვენ.

ღმერთო რომელი ცოდვათა
ჩვენთათჳს გარისხდები ⴃ სინან-
ულთა ჩვენთაგან დასცხრები, მო-
ხედე მოწყალებითა ვედრებასა ერ-
ისა შენისასა ⴃ გვემა რისხჳსა შენ-
ისა რომლისა ცოდვათა ჩვენთათჳს
ღირს ვართ მიგჳდე ჩვენგან.

ყოვლის მპყრობელო ⴃ საუკუ-
ნო ღმერთო შეიწყალე მონა შენი,
ⴃ მამა მთავარი ჩვენი ( სახელი ) ⴃ
სახიერებისა ებრ შენისა წინა უძღ
ჳს გზასა საუკუნოჲსა ცხოვრები-
სასა, რათა იგი სათნო გეყოს შენ
ⴃ ყოველნი მცნებანი შენნი ყოვ-

ლითა ძალითა თჳსითა აღასრულოს.

ღმერთო რომლისა წმიდა ნება ჭეშმარიტი მჴსჯავრი და მართალნი არიან საქმენი, გევედრებით მოგვანიჭე მონათა შენთა მშჳდობა იგი რომელი ქვეყანას არა ჴელეშწიფების მიცემად, რათა არღარა გვეშინოდეს მტერთაგან, მცნებათა შენთა ვემორჩილებოდეთ და დაცვითა შენითა მშჳდობითრე იყვნენ ჟამნი.

უფალო ცეცხლითა მით სულისა წმიდისათა დასწვი გული და თირკმელნი ჩვენნი, რათა უბიწო კორცითა გემსახუროთ და გულითა წმიდითა სათნო გეყოთ შენ.

ყოველთა გამჩენო და დამჴსნელო ღმერთო, მონათა და მხევალთა შენთა მიცვალებულთა მათ მიუტე-

ვენ ცოდვანი მათნი, რათ შენ მი-ერ მოიპოვონ გამოხსნა იგი, რომლისათჳს გული უთქვამსთ მა-რადის.

საქმეთა ჩვენთათჳს გევედრებით უფალო, აკურთხო იგინი და შეწევ-ნითა შენითა გაუმარჯვო, რათა ყოველნი ლოცვანი და საქმენი ჩვე-ნნი შენგან მარადის იწყობოდენ და დაწყობილნი შენ მიერ აღსრულ-დებოდენ.

ყოვლის მპყრობელო და სამარა-დისო ღმერთო, რომელი შემწყა-ლებელ ხარ ყოველთა მორწმუნეთა შენთა და უფლებ ცხოველთა და მკვ-დართა, სიმდაბლით გევედრებით რათა შეუნდო ცოდვანი მათნი, რო-მელთათჳს მლოცავნი ვართ შენ-

და მიმართ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელი შენთანა და სულისა წმიდისა-თანა ცხოველ არს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლისა მპყრობელმან და მოწყალემან ღმერთმან შეისმინოს ვედრებანი ჩვენნი ამინ.

და მოწყალებითა ღვთისათა სულთა მორწმუნეთა მიცვალებულთა განისვენონ მშჳდობით, ამინ.

ყოველთა დაბადებულთაგან ეყავნ სამარადისოდ ქება, პატივ, ძალი და დიდება ყოვლად წმიდასა და განუყოფელს სამებასა, კაცებრივ ბუნებასაცა ჯვარცმულისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესასა და უმანკოსა

მას ნაყოფიერებასა ყოვლად ნეტარისა დიდებულისა, და მარადის ქალწული მარიამისასა, და წმიდათა ყოველთა და მეყავ ჩვენცა მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩვენთა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ნეტარ არს მუცელი ქალწულისა მრიამისა, რომელმან იტვირთა საუკუნო ძე მამისა.

და ნეტარ არიან ძუძუნი რომელთა სწოვდა ქრისტე უფალი.

ლოცვა დღეყოველ სათქმელი თხოვნისათვის ღვთისაგან სულიერთა თუ ჴორციელთა წყალობათა მისთა.

სარწმუნოებით აღგიარებ და თაყვანის-გცემ შენ, მამაო, ძეო, და სულო წმიდაო, უქმნელო, და უკვდაო ბუნებაო, შემოქმედო ანგელოზთა, და კაცთა და ყოველთა ქმნულთაო: შეიწყალენ შენნი დაბადებულნი.

სარწმუნოებით აღგიარებ, და თაყვანის-გცემ შენ განუყოფელო ნათელო, ერთ არსებაო სამებაო, და ერთ ღუთაებაო, შემოქმედო ნათლისაო, და განმდევნელო ბნელისაო, განსდევნე სულისა ჩემისაგან სიბნელე ცოდვათა, და უმეცრებათა,



Eigenthum u. Verlag v. Gebr. C. u. N. Benziger in Einsiedeln.

S. GIUSEPPE

და განანათლე გონება ჩემი ჟამსა ამას ლოცუად შენდა სათნოდ, და შეწყნარებად შენგან თხოვნანი ჩემნი: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი:

მამაო ზეციერო ღმერთო ჭეშმარიტო, რომელმან მოავლინე ძე შენი საყვარელი საძიებელად წარწყმედულისა ცხოვარისა, ვსცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა. შემიწყნარე მე ვითარცა უძღები შვილი, და შემმოსე მე სამოსელი პირველი, რომელი აღვიძარცვე ცოდვითა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

ძეო ღვთისაო ღმერთო ჭეშმარიტო. რომელი დამდაბლდი მამე-

ულ წიაღისაგან, და მიიღე ჴორცი წმიდა ქალწული მარიამისაგან ჩვენის დახსნისათჳს, ჯუარს ეცვი, და დაეფალ, და აღჰსდეგ მკუდრეთით, და ამაღლდი მამისა მიმართ. ვსცოდე ცად მიმართ, და წინაშე შენსა. მომიხსენიე მე ვითარცა ავაზაკი, რაჟამს მოხვიდე სუფევითა შენითა. და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

სულო ღვთისაო ღმერთო ჭეშმარიტო, რომელი გარდამოჰხედ იორდანესა, და ქორსა მას, და განმანათლე მე ნათლის ღებითა წმიდის ემბაზისათა, ვსცოდე ცად მიმართ, და წინაშე შენსა, განმწმიდე მე მეორედ საღმთოსა ცეცხლითა შენითა ვითარცა ცეცხლის ენებით

მოციქულნი: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

უქმნელო ბუნებაო, გცოდე შენ გონებითა ჩემითა, სულითა, და ხორციითა ჩემითა. ნუ მოიხსენიებ ცოდვათა ჩემთა პირველთა სახელისათჳს შენისა წმიდისა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

მხილველო ყოველთაო, გცოდე შენ ფიქრითა, სიტყვითა, და საქმითა. ახოცენ ჴელით წერილნი ბრალთა ჩემთანი, და აღწერე სახელი ჩემი წიგნსა მას ცხოვრებისასა: და ცი-
შეიწყალენ შენნი დაბადებ[illegible]ელი მეტ-
მე მრავლად მცოდველ[illegible]ელსა შინა
განკითხველო და[illegible]

გცოდე შენ ნებითა, და უნებლიედ, მეცნიერებითა, და უმეცრებითა, შენდობა მომმადლე მე ცოდვილსა, რამეთუ. მობიდგანვე წმიდისა ემბაზისა ვიდრე დღევანდელ დღედმდე შემიცოდებიეს წინაშე ღუთაებისა შენისა, საგრძნობლებითა ჩემითა, და ყოვლითა ასოებითა კორცთათა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

ყოვლად სახიერო უფალო დასდევ თვალთა ჩემთა მცველად შიში შენი წმიდა, რათა არა მიხედონ სიდისბოროტესა. და ყურთა ჩემთა რათა მართ, და ’ესმინონ სიტყვა ბოროტი, და მე მეორედ ჱთა რათა არა იტყოდნენ შენითა ვითარცა და გულსა ჩემსა, რათა

არა განიზრახვიდეს ბოროტებათა. და ხელთა ჩემთა, რათა არა მოიქმედევდნენ უშჯულოებასა, და ფერხთა ჩემთა, რათა არა ვლიდნენ გზასა უშჯულოებისასა. არამედ წარმართენ ძვრანი მათნი ყოველთა ბრძანებათა შენთა ებრ: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

ცეცხლო ცხოველო ქრისტევ, ცეცხლი სიყვარულისა შენისა, რომელი დაასხი ქვეყანასა, აღაგზენ გულსა შინა ჩემსა, რათა დასწუას მწიკული სულისა ჩემისა, და განსწმიდოს სვინიდისი გონებისა ჩემისა; და გაასუფთაოს ცოდვა კორცისა ჩემისა. და აღანთე ნათელი მეცნიერებისა შენისა გულსა შინა

ჩემსა; და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

სიბრძნეო მამისაო, იესო, მომეც მე სიბრძნე კეთილის განზრახვად, თქმად, და ქმნად წინაშე შენსა ყოველსა ჟამსა. ბოროტთა ფიქრთაგან სიტყვათაგან, და საქმეთაგან მიხსენ მე: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად. მცოდველი.

მნებელო კეთილისაო, უფალო, ნების მყოფელო, ნუ მიმიშვებ მე სვლად ნებასა ზედა კორცთა ჩემთასა, არამედ მიწინამძღურე ქმნად მარადის ყოვლისა ნებისა ებრ შენისა კეთილის მოყვარისა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე

მრავლად მცოდველი.

მეუფეო ზეციერო მომეც მე სუფევა შენი, რომელიც აღუთქვი მოყვარეთა შენთა, და განაძლიერე გული ჩემი შეძულებად ცოდვისა, და შეყვარებად შენ მხოლოჲსა, და ქმნად ნებისა შენისა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

მფარველო დაბადებულთაო, დაიცევ ნიშნითა ჯუარისა შენისათა სული და ჴორცი ჩემი საცდურთაგან ცოდვათა, განსაცდელთა-გან ეშმაკთა, და კაცთაგან უშჯულოთა, და ყოვლისა ვნებისაგან სულისა და ჴორცისა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, და მე მრავლად მცოდველი.

ყოველთა მფარველო, ქრისტე, მარჯვენა შენი მფარველ იყოს ჩემს ზედა, დღისით, ჲ ღამით, დაჯდომასა სახლსა შინა, ჲ სვლასა გზასა შინა, რათა არა სადა შევიძრა: ჲ შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, ჲ მე მრავლად მცოდველი.

ღმერთო ჩემო, რომელი აღაღებ ჴელსა შენსა ჲ აღავსებ ყოველთა დაბადებულთა მოწყალებითა შენითა, შენ შემოგავედრებ სულსა ჩემსა, შენ იზრუნე ჲ განამზადე საზრდელი სულისა, ჲ ჴორცისა ჩემისა ამის შემდგომად ვიდრე უკუნისამდე: ჲ შეიწყალენ შენნი დაბადებულნი, ჲ მე მრავლად მცოდველი.

მომქცეველო შეცდომილთაო;

მომაქციე ბოროტთა ჩვეულებათა-
გან ჩემთა კეთილს ჩვეულებასა ზე-
და, და განმსჭვალე გულსა შინა
ჩემსა საშინელი დღე სიკვდილისა,
და შიში გეენიისა, და სიყვარული სა-
სუფეველისა. რათა შევინანო ცო-
დვანი და ვიქმოდე სიმართლესა:
და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი
და მე მრავლად მცოდველი.

წყარო უკუდავებისაო, აღმოაცე-
ნენ წყაროდ გულისა ჩემისაგან
ცრემლნი სინანულისანი მსგავსად
მეძავისა მის, რათა განვიბანო
ცოდვანი სულისა ჩემისანი, პირველ
განსვლისა ჩემისა ამიერ სოფლით:
და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი
და მე მრავლად მცოდველი.

მომნიჭებელო მოწყალებათა.

მომანიჭე მე მართალი სარწმუნოებით, კეთილ მოქმედებითა, და წმიდა ჴორცისა, და სისხლისა შენისა ზიარებით მოსვლად შენდა მიმართ: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

სახიერო უფალო, ანგელოზსა სახიერსა შთამბარე, რათა სიტკბოებით მიიბაროს სული ჩემი, და უშფოდრად განსავლინოს ბოროტისა მისგან ჰაერის მცველთასა, რომელნი არიან ცასა ქუეშე: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

ნათელო ჭეშმარიტო ქრისტევ, ღირსი ჰყავ სული ჩემი სიხარულით ხილვად ნათლისა დიდებისა შენისა

დღესა წოდებისა ჩემისასა და განსვენებად მართალთა თანა. და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

მართლ-მსაჯულო, რაჟამს მოხვიდე დიდებითა მამისათა, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, ნუ შეხვალ სასჯელსა მონისა შენისასა, არამედ მიხსენ მე საუკუნოჲსა მის ცეცხლისაგან, და მასმინე მე სანატრელი მოწოდება იგი მართალთა სასუფეველსა შინა ზეცისა: და შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

ყოვლად მოწყალეო უფალო შეიწყალენ ყოველნი მორწმუნენი შენდამი, ჩემიანნი და უცხონი, ნაცნობნი, და უცნობნი, ცოცხალნი, და

მკუდარნი, მოჰმადლე მტერთა, და მოძულეთაცა ჩემთა შენდობა ბრალთა, რომელთა ჩემდა მომართ ზცოდეს, და მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელიც ებულვებისთ ჩემთჳს, რათა ღირს იქმნენ მოწყალებისა შენისა: და „შეიწყალენ შენნი დაბადებულნი და მე მრავლად მცოდველი.

დიდებულო უფალო, შეიწყნარე ვედრებანი მონისა ამის შენისანი, და აღმისრულე კეთილად თხოვნანი ჩემნი, მეოხებითა წმიდისა ღვთის მშობლისათა, და იოვანე ნათლის მცემელისათა, და წმიდისა სტეფანე პირველ მოწამისათა, და წმიდისა გრიგოლ განმანათლებელისათა, და წმიდათა მოციქულთა, და წინასწარ-

მეტყველთა, და წამებულთა, და წმი-
დათა მამათ-მთავართა, და მეუდაბ-
ნოელთა, და ქალწულთა, და ყოველ-
თა წმიდათა შენთა ზეციერთა და
ქვეყნიერთა: და შენ დიდება, და თაყ-
ვანის ცემა, განუყრელსა წმიდასა
სამებასა მამასა, ძესა, და სულსა
წმიდასა, აწ და მარადის, და უკუნითი
უკუნისამდე, ამინ.





Ch. et N. Benziger frères à Einsiedeln, N. York, Cinc. et S. Louis.

Son coeur est un asile, un trésor, un foyer,
Que ma glace se fonde à ce divin brasier.

## წირვის რიგი.
## გინა,
## წმიდა წირვის მოსმენის
## დროს სათქმელნი ლოცვანი.

წმიდა წირვა არის იგივე ჭეშმარიტი მსხვერპლი ღვთისა, რომელიცა შეიწირა ერთ-გზის ჯვარსაზედა გოლგოთასა; მხოლოდ ამ განარჩეულობითა რომ მაშინ შეიწირა იგი დათხევითა სისხლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, ხოლო აწ შეიწირჳს დაუთხეველად სისხლისა. წმიდა წირჳს მოსმენითა გავხდებით ჩვენ საკუთრად წილდებულნი ნაყოფთა ვნებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; ამისთჳს დღე ყო-

ველ უნდა მოჳსმინოთ ხოლმე იგი გულ-კმიერებითა, და მხურვალე-ბითა. და რომ მოსმენითა მისითა მიჳღოთ დიდი სარგებლობა, საჭი-რო არს განვზრახოთ წმიდა წირვჳს მოსმენის ჟამსა აღსასრულნი იგინი რომლისათჳსაც იქმნა განწესებული წმიდა წირვა ესე, ჳთამც: ა. წირ-ჳთ შაფიჳ ვჰსცეთ ღმერთსა. ბ. ვე-მადლოთ მას მისგან მიღებულთა კეთილთათჳს. გ. ეღხინოს ცო-დვათა ჩვენთა. და დ. მიჳღოთ ღვ-თისაგან მადლნი და წყალობანი.

ამისთჳს ჟამსა წმიდა წირჳს მო-სმენისასა უნდა ვსთქვათ შემდეგნი ლოცვანი.

დაწყობიდამ წირჳსა ჳდრე სამოციქულოს წაკითხვამდე, სთქვ შემდეგნი ლოცვანი.

## საქმე სინანულისა.

ღმერთო ჩემო, რომელი ჰხედავ ცოდვათა ჩემთა, გევედრები მოხედო წუხილსაცა გულისა ჩემისასა. ვჰსწუხვარ, უფალო, და ვინანულობ ფრიად ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, შეწყენისა შენისათჳს, რადგან ხარ განუზომელად საყვარელი, და გძულს ყოველი ცოდვა. მაქვს მტკიცე პირობაცა რომ ამიერით არღარა ოდეს შეგაწყინო შენ და ვითხოვ სიმდაბლით მოტევებასა ყოველთა ცოდვათა ჩემთასა ნაყო-

ფისათჳს იესო ქრისტესი მაცხოვრისა ჩემისა.

საუკუნო მამაო, გწირავ შენ ამ წირჳს მიერ იესოსა ძესა შენსა ყოველი ნაყოფი-თურთ ვნებათა მისთა. ა. პატივს საცემელად ღვთიური დიდებულობისა შენისა. ბ. სამადლობოდ აურიცხველთა კეთილთა მათ რომელნიცა მიმიღია მე შენგან. გ. სალხინებლად ცოდვათა, თუ ჩემთა, და თუ ყოველთა ცოცხალთა, და თუ მიცვალებულთა; და დ. მისაღებლად შენგან საუკუნო ცხოვრებისა, და ყოველი იმ მადლებისა, რომელნიცა მესაჭიროებიან მე ცხონებისათჳს სულისა ჩემისა.

## იესოს მიმართ.

სიყვარულისა ჩემისათჳს ვნებულო, და ჯვარს-ცმულო ყოვლად საყვარელო, მაცხოვარო ჩემო იესო, გევედრები ფრიად რათა პატიჳსათჳს ხუთთა დაკოდილებათა შენთა, აღბეჭდო გულსა შინა ჩემსა მტკიცე სარწმუნოება, შეურყეველი სასოება და ჭეშმარიტი სიყვარული ღვთისა, და მოყვასისა, სრული სინანული ცოდვებისა ჩემისა და მტკიცე პირობის დადება ამიერით არღარ შეწყენისა შენისა; ესრეთვე შიში შენი რათა დაჳცვა ყოველნი მცნებანი შენნი, და წმიდა ეკკლესიისანი.

## ღვთის-მშობლისა მიმართ.

ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო, ღვთის მერმედ მხოლოდო-იმედო ჩემო, პატიჳსათჳს იმ მჳდთა მწუხარებათა შენთა, რომელთა ორ-პირ აღლესულ ლახვარსაჳთ განვლეს უწმიდესსა სულსა შენსა, ჟამსა ვნებისა მხოლოდ შობილიძისა შენისა, და მაცხოვრისა ჩვენისა , გევედრები მომიმოვნო მე ღვთისაგან მადლი, და შეწევნა რათა ვასრულებდე მარადის შესაბამად წოდებისა ჩემისა სამთა სახარებრივთა წურთნათა ჯთამც , ნებიერ სიგლახაკესა, ჴორცის სიწმიდესა, და მორჩილობასა, და ოთხთა-

ცა საუმფროსო ღვაწლთა, ვითამც, სიბრძნესა, სიმართლესა, მხნეობასა, და ზომიერებასა, და ყოველთა თანამდებობათაცა მდგომარებისა ჩემისათა სიხარულით სადიდებლად ღვთისა, და საცხონებელად სულისა ჩემისა.

კურთხეულ იყავნ წმიდა და უმანკო ჩასახება ყოვლად ნეტარელი ქალწული მარიამისა, ა მ ი ნ.

ჵი მარიამ ქალწულო,
უმანკოდ შთასახებულო,
გჳმეოხე ჩვენ ცოდვილთა,
შენდამი შემოხიზნულთა.

## ყოველთა წმიდათა მიმართ ვედრება.

ურიცხვთა სასწაულთა, და საკჳრველებათა მომქმედნო, ვედრებათა მსმენელნო და თქვენდამი მოლტოლჳლთა სწრაფად ნუგეშის-მცემელნო, წმიდანო ღვთისანო, წმიდაო ღვთის მშობელო, წმიდაო მიქაელ, წმიდაო იოვანე ნათლის-მცემელო, წმიდაო მამაო იოსებ, წმიდაო პეტრე, წმიდაო პავლე, წმიდაო სტეფანე, წმიდაო ნიკოლა, წმიდაო ვასილ, წმიდაო იოვანე ოქრო-პირო, წმიდაო გრიგორ განმანათლებელო, წმიდაო გიორგი, წმიდაო ანტონ მეუდაბნოელო,

წმიდაო ანტონ პატოველო, წმიდაო ფრანჩისკე ქსავერიანო, სახელ-მოდგამო ჩემო წმიდაო (სახელი), წმიდაო ნინა ქალწულო, და ყოველნო ანგელოზნო, წინასწარ-მეტყველნო, მოციქულნო, მამათ-მთავარნო, წამებულნო, აღმსარებელნო, ქალწულნო, და ყოველნო წმიდანო, ილოცეთ ჩემთჳს ღვთისა მიმართ, შემეწიენით, და დამიფარეთ მე დღესა ამას, ყოველსა ჟამსა ცხოვრებისა ჩემისა. და ჟამსაცა სიკვდილისა ჩემისასა, ამინ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგჳწყალენ ჩვენ. გ. გზის სთქჳ.

სახარების წაკითხვამდ ჯდრე წმიდა არსამდი, სთქჳ შემდეგნი ლო-ცვანი.





Benziger frères, Editeurs à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

La Croix est notre salut (Thomas de Kempen)

ღვთის-მშობლისა მიმართ.

მოიხსენიე, ჵი ყოვლად სახიერო ქალწულო მარიამ, ჳთარმედ არა სადა სმენილ არს, რომელ ჳსმესა მოემართოს მფარველობისა შენისადმი, ეთხოვნოს შემწეობა, და შუამდგომელობა შენი, და არ მიეღოს შენგან წყალობა და ნუგეშინის-ცემა, განძლიერებული ესე ჳთარი სასოებითა, მოჳვლტჳ აწ მეც შენდამი, ჵი ქალწულო ქალწულთაო, და დედაო ჩემო, და დავრდომილი ფერხთა-თანა შენთა, ვსტირი სიმძიმეთა-ზედა ცოდვათა ჩემთასა, და მონანული გულითა გევედრები დედაო სიტყჳსაო, ნუ შე-

ურაცხ-ჰყოფ ვედრებათა ჩემთა, არამედ ისმინე სახიერებითა შენითა, და შემიწყალე, ამინ.

ჵი დედუფალო, და დედაო ჩემო მარიამ! მოიხსენიე რომ მე და ძმური ერთობაცა ფამილიისა ამის ჩვენისა ვართ საკუთრებანი შენნი. ამისთჳს ჳთარცა საკუთრებანივე შენნი, ეგრედ დაგჳფარე ჩვენ და იზრუნე ჩვენთჳს.

ნუ ჩვენ, უფალო, ნუ ჩვენ, არამედ სახელსა შენსა ეც დიდება. გ.

ნუ ჩვენ შენდ, ჵი ყოვლად დიდებულო დედუფალო ღვთის-მშობელო ქალწულო მარიამ, არამედ სახელსა შენსა და სახელსა ძისა შენისასა ეც დიდება. გ.

## მამა იოსების მიმართ.

ქალწულთა მფარველო, წმიდაო მამაო იოსებ, შენ მაგვერ ერთგულს სარწმუნო და ღვაწლით შემოსილს მონასა ჩაგაბარა მამა ზეციერმა იესო ქრისტე საყვარელი ძე თჳსი, რომელიც არის თჳთ უმანკოება, და ქალწული ქალწულთა მარიამი ყოვლად წმიდა დედა მისი, მოვლტი აწ შენდამი მე უღირსი ესე, და გევედრები რათა პატივისათჳს ტკბილი გულისა იესოსი, ყოველს ჟამსა იქონიო მამებრივ მზრუნვაობა და კერძოობითი მფარველობა შენი ჩემზედ, იღვაწო მარადის დაცჳსათჳს უბიწოდ კორცისა ჩემისა, და

წმიდად სულისა ჩემისა, და იყო მუ-
დამ მამად და წინა-მძღვრად ჩემ-
და გზასა სისრულისასა. ამისთჳს
მომიშოვნე მე მადლი ღვთისაგან,
რათა ვემსახურო მას წმიდა ფიქ-
რითა, უმანკო გულითა, და უბიწო
ჴორცითა, იყვნენ ყოველნი საქმე-
ნი ჩემნი სადიდებლად იესოსი, და
მარიამისა. ესრეთვე გევედრები იმ-
ყოფე ჩემთანა ჟამსაცა სულ-ამა-
ვალობისა ჩემისასა განუშორე-
ბლად იესოსით, და მარიამი-თურთ
ერთად, წმიდაო იოსებ მეოხეო
სულ-ამამავალთა, რათა მოვარგე-
ლობითა შენითა განვერინო მე ყო-
ველი მზაკვარობისა და საცდური-
საგან მშმაკისა, და შეწევნითა შენი-
თა დავავედრო ღვთის მადლში სუ-

ლი ჩემი, რომელი ხელითა შენითა შთაავედრო ხელთა იესოსი და მარიამისა, ა მ ი ნ.

წმიდათა იოაკიმ და ანნას მიმართ.

ჵ ყოვლად დიდებულნო წმიდანო იოვაკიმ და ანნა, რომელთა შუამდგომლობა ფრიად გამკვეთი არის წინაშე იესოსი და მარიამისა; გევედრები პატივსათჳს იმ გამოუთქმელი სიხარულისა, რომელიც გაქუნდათ ჟამსა შობისა ყოვლად კურთხეული ასულისა თქვენისა ქალწული მარიამისა, მისივე სიყვარულისათჳს, მომიშოვნეთ საყვარელი იესოსაგან გამკვეთი მად-

ლი რომ ნამდჳლად მოჳქცე ყოვე-
ლი ჩემის ცოდვებისაგან, სრული-
ად განვისწორო ცხოვრება ჩემი ჲ
გავატარო იგი უცოდვოდ სიყვა-
რულსა შინა მისსა. ესრეთვე და-
მავედრეთ უმანკოდ შთასახებულს
ასულსაცა მას თქვენსა, რათა აღ-
მწეროს მე რიცხვსა შინა ნეტარე-
ლთა მხურვალე მონათა თჳსთა,
იქონიოს მარადის დედობრივ მფ-
არველობა თჳსი ჩემზედა, ჲ არა
დაჴსცხრეს მეოხებისაგან ჩემთჳს
საყვარელი ძისა მიმართ თჳსისა,
ჳდრემდის არ მიხილოს მე ცხონე-
ბული ცათა შინა მადიდებელად ღვ-
თისა უკუნისამდე, ჲ მადლობის
გარდამხდელად თქვენი ჲ მისი სა-
ნაცვლოდ თქვენგან მიღებულთა

ესოდენთა დიდთა კეთილთა.

## მფარველი ანგელოზისა მიმა-რთ.

ანგელოზო ზეცისაო, სარწმუნო მცველო და მოწყალე წინამძღვარო ჩემო, მომიშოვნე მე ღვთისაგან მადლი, რათა ჳყო მარადის მორჩილი მოვლინებათა გინა შინა-ქრთოლვათა, და დარიგებათა შენთა; განაწრთველე კეთილად სლვანი ჩემნი რათა არა მოვსცილდე ოდესმე გზისაგან მცნებათა ღვთისა ჩემისათა, ამინ.

## სეხნა წმიდისა მიმართ.

ჰოი დიდო და დიდებულო წმიდაო (სახელი) რომლის სახელის წოდების პატივ მომცემიეს მე; გევედრები იყავ მარადის მფარველი და მეოხე ჩემი, რათა ძალს ჯდვა მეცა მსახურება ღვთისა, იმ სახით რა სახითაც შენ ემსახურე მას ამას სოფელსა შინა, და ბოლოს ჯქმნა ღირსი შენთან ერთად ქებისა მისისა ცათა შინა უკუნისამდე, ამინ.






Benziger frères, Editeurs à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Un jour élevé de la terre.
J'attirerai tout à moi. (Jean. 12, 32.)

ჟამსა წმიდა არსისა სთქჳ.

წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ, უფალო ღმერთო ძალთაო, სავსე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა შენითა, ოსანნა მაღალთა შინა. კურთხეულ ხარ მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანნა მაღალთა შინა.

წმიდა არსიდამ ჳდრე წმიდა სიტყვების წარმოთქმამდისინ, სთქჳ შემდეგი ლოცვა.

ლოცვა თხოვნისათჳს ღვთისაგან ყოველთა ღვაწლთა მათ, რომელნიც ესაჭიროებიან კაცსა გატარებისათჳს ცხოვრებისა თჳსისა ქრისტიანურად.

ღმერთო ჩემო მრწამხარ შენ, განამტკიცე სარწმუნოებას ჩემი; ვსასოებ შენდამი, განაძლიერე სასოებას ჩემი; მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, აღაგზენ სიყვარული ჩემი; ვნანულობ ცოდვათა ჩემთა ზედა სიყვარულისა შენისათჳს, აადიდე სინანული ჩემი.

თაყვანის-გცემ შენ, ჳთარცა პირველს დასაწყისსა ჩემსა. გნატრობ, ჳთარცა უკანასკნელს აღსასრულს ჩემსა; გმადლობ, ჳთარცა მარად კეთილის მყოფელს ჩემსა; გხადი შენ, ჳთარცა მხოლოსა შემწესა ჩემსა.

სიბრძნითა შენითა მწყსე მე, სიმართლითა შენითა შემაშინე, გან-

ზებულებითა შენითა იმყოფე ჩემთანა, მოწყალებითა შენითა ნუგეში მეც, და ძლიერებითა შენითა დამიფარე.

რათა შენთჳს ვმყოფებოდე, ჳთარცა იგი თანამდებ ვარ შენთჳს ყოფად პირველ ბუნებისა, და შემდგომ ნათლის-ღებისა გამო; ვშორდები ეშმაკსა, და ყოველს საქმესა მისსა, სოფელსა, და ყოველსა სილაღესა მისსა, ჴორცსა, და ყოველსა გულისთქმასა მისსა, მწვალებლობასა, და ყოველსა შეცდომილობასა მისსა.

ოდესაც მღვდელი წარმოსთქვამს წმიდა სიტყუასა და განსწმედს სეფისკვერსა ჰსთქუ ესრედ.

ღმერთო ჩემო, სიყვარულისათჳს ძისა ამის შენისა მომიტევენ ცოდვანი ჩემნი, და მომეც გამძლეობა უცოდველ ცხოვრებასა შინა. მრწამს უფალო ჩემო იესო, რომ აწმყოდ იმყოფები შენ აწ აქ ამ წმიდა ზიარების საიდუმლოში, გესავ, და მიყვარ ხარ შენუფროს ყოვლისა რაჲმისაგან.

ოდესაც მღვდელი განსწმენდს ზედაშსა სასუმელსა ჰსთქჳ ესრედ.

დაუფასებელი სისხლისათჳს იესოსი, მომანიჭე მე უფალო, წმიდა სიყვარული შენი, და ბოლოს სიწმიდით სიკვდილი მადლსა შინა შენსა. საუკუნო მამაო გწირავ შენ დაუფასებელსა სისხლსა იესო ქრი-

სტესასა მოსატევებლად ყოველთა ცოდვათა ჩემთა, და შესავსებლად ყოველთა საჭიროებათა წმიდისა ეკკლესიისათა.

წმიდა სიტყვების წარმოთქმიდამ ჳდრე ზიარებამდე გინა მიღებამ-მდე მღვდლისაგან წმიდა ჴორცისა, და დაუფასებელი სისხლისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სთქჳ შემ-დეგი ლოცვა.

შენ წგირავ უფალო, ყოველთა ზრახვათა, სიტყვათა, საქმეთა, ნატვრათა, და მოთმინებათა ჩემთა, რათამცა ამიერით განჳზრახჳდე შე-ნზედ, ვუბნობდე შენსას, ვმოქ-მედებდე შენთჳს, მიუჯაჭრდე შენ,

და მოჳთმენდე შენთჳს.

მიმაჩნდეს რაჲც მიგაჩნია, არ მიმაჩნდეს რაჲც არ მიგაჩნია, მძულდეს რაჲც გძულს დაჳმარხემდე რაჲსაც მიბრძანებ.

მნებავს რაჲცა გნებავს, მნებავს ამისთჳს რამეთუ გნებავს, მნებავს ჳთარცა გნებავს, და მნებავს ჳდრემდისინაც გნებავს შენ.

ბევედრები გონება განმინათლო, ნება ჩემი აღაგზნა, ჴორცი ჩემი დაიცვა უმანკოდ, და სული ჩემი განჰსწმიდო.

შემეწიე ღმერთო ჩემო, რათა-მცა ვსტიროდე განვლილთა უჴსჯულოებათა ჩემთა, ვსძლევდე მოსასვლელთა განსაცდელთა, დავთურგუნიდე ბოროტთა მიდრეკილო-

ბათა ჩემთა , და აღვასრულებდე სათნოებათა .

აღავსე უფალო , გული ჩემი სიყვარულითა შენითა ; სიმძულვარითა პირდაპირ ყოველი ცოდჳსა , ზრუნჳთ სიკეთისათჳს მოყვასისა ჩემისა , და არა რაჲად მიჩნეჳთ სოფლისა ამის სიკეთეთა და შვებათა .

შემეწიე უფალო ჩემო , რათა მარადის უფროსთა ვემორჩილებოდე უმცროსთა შევეწეოდე , მეგობრისადმი სარწმუნო ჳქმნებოდე , და მტერთა გულით მიუტევებდე .

ვჰსძლევდე გულის-თქმასა გორცის მოკვდინებითა , ანგაჰარებასა უხვობითა , მრისხანებასა სიტკბოებითა , და გრილობასა მხურვალებითა .

აღბეჭდე უფალო, გულსა შინა ჩემსა შეუძრწუნებელი შიში, უქადნელი სასოება, უტყუვარი მხურვალება, და განუყრელი სიხარული.

მყავ მე ბრძენ საქმეთა შინა ჩემთა, მხნე განსაცდელთა შინა, მომთმინე დამარცხებათა შინა, და მდაბალი გამარჯვებათა შინა.

მყავ უფალო, ლოცვასა შინა გულის-ხმიერი, საზრდელსა შინა ზომიერი, რჩევასა შინა გონიერი და კეთილ-ჰაზრსა ზედა მტკიცე.

ეგრედ დაუმონავებდე საგრძნობელთა ჩემთა, ჳდრე არა შემემთხვეს მე სმენითა ვნება, სიტყჳთა უკეთური, ხილჳთ უწმიდური, და საქმითა ბოროტი.

მარადის მაქუნდეს მიგნეულად

გულის-ტანჯჳს უმანკოება, გარეულად საბატიობა, სამაგალიტო; ზნეობა, და ღვაწლით შემოსილ. ცხოვრება.

ვეხიზლობდე მუდამ ვნებათა და სამონავებლად, მადლის ასაღორძინებლად, ბრძანებათა შენთა და სამარხველად, და ცხოვრების მოსაგებლად.

მაცნობე უფალო, სიმდარე ამიქვეყნისა, სიმდიდრე სასუფეველისა, სიმოკლეჲ ცხოვრებისა, და დაუსრულებელი ნიადაგობა საუკუნოებისა.

უფალო და ღმერთო ჩემო, მომადლე მე, შემწეობა და ძალი რათა ვემზადებოდე სიკვდილისათჳს, ვშიშობდე სასჯისათჳს, ვშორდე-

ზოდე ჯოჯოხეთსა, და ჰმკჳდრემ-
დე სასუფეველსა.

ესრედვე მიანიჭე ცოდჳლთა სი-
ნანული, მართალთა მარად გამძ-
ლეობა, ერთობა ცოცხალთა და ნე-
ტარება მიცვალებულთა.

ქრისტეს ღირსეულობითა, მა-
რიამ ღვთის-მშობლის მეოხებითა
სეხნა წმიდის ვედრებითა ა მ ი ნ.
« ამას იწურთიდ და ამასა შინა
იყავ, რათა წარმატებულება ეგე
შენი ცხად იყოს ყოველსა შინა »
ტიმო. ა. დ. 15.

გვაკურთხოს ჩვენ ყოვლის მპყ-
რობელმან და სახიერმან ღმერთმან
მამამან, ძემან, და სულმან წმიდა-
მან, და დაგჳცვას ჩვენ მარადის,
ა მ ი ნ



Benziger frères, Editeurs à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Dans votre résurrection, ô Christ,
le ciel et la terre se réjouissent.
(Paroles de la sainte Eglise)



ზიარებიდამ მღვდლისა ჳდრე წირჳს დასრულებადმდე, ითქმის შემდეგნი ლოცვანი.

ვედრება ღვთისადმი ცოცხალთა და მიცვალებულთათჳს.

გარდამოავლინე უფალო, კურთხევა შენი, მშობელთა ჩემთა ზედა, მეგობართა ჩემთა ზედა, კეთილის მყოფელთა ჩემთა ზედა, და მტერთა ჩემთა ზედა, დაიცევ ყოველნი სასულიერო წინამძღვარნი და სამოქალაქო მმართველნი ჩვენნი. შეეწიენ გლახაკთა, დატყვევებულთა, სნეულთა, და მომაკვდავთა მოაქციე მწვალებელნი, და განანათლე ურწმუნონი, რათამცა გიცნან, და

შეგიყვარონ შენ. ღმერთო სახიერო, რომლისა მოწყალებაჲ განუზომელ არს, შეიწყალენ სულნი ყოველთა ქრისტეს მიერ მიცვალებულთანი, და განუსვენენ მათ ყოველთა, რომელთათჳსაცა თანამდებ ვარ მე ლოცვად.

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ უფალო, და ნათლითა სამარადისოითა განანათლენ იგინი.

განისვენონ მშჳდობით, ამინ.

კლემენტე მერვე პაპმან, რომელთაც ჰსთქვან შემდეგი ლოცვა მიჰმადლა შენდობა ყოველთა ნაკლებულობათა წირვასა შინა, და მერმეცა შენდობა ორი ათას სამასი წლისა.

## ლოცვა.

გევედრები შენ, ჵი უტკბილესო უფალო ჩემო იესო ქრისტეო, რათა ვნება შენი მეყოს მე ძლიერებად, რომლითა აღვიჭურნო და ვიქმნა დაცულ; წყლულნი შენნი მექმნენ მე საზრდოდ, და სასუმელად, რომლებით ჰქმნე გამოზრდილ, განძლარი. და განმხიარულებული. სხურება სისხლისა შენისა, მეყავნ მე განმწმენდელად ყოველთა ცოდვათა ჩემთა. სიკვდილი შენი იყავნ სამარადისო დიდებად ჩემდა და ამათ შორის იქმნეს განახლება, შვება, სიმრთელე, და სიტკბოება გულისა ჩემისა, რომელი ცხოველ-ხარ და სუფევ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



Benziger frères, Editeurs, à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Jésus, Marie, Joseph, je vous consacre mon âme et ma vie. (Prière de l'Eglise.)

## საღამოს ლოცვანი.

ა. მოვედ სულო წმიდაო,

მ. აღავსე გულნი მორწმუნეთა შენთანი და აღაგზნე მათ შორის ალი სიყვარულისა შენისა.

ა. გამოავლინო სული შენი, და დაბადნე იგინი.

მ. და განაახლო პირი ქვეყანისა.

### ვილოცოთ.

ღმერთო, რომელმან ნათლითა სულისა წმინდისათა განასწავლენ გულნი მორწმუნეთა შენთანი, მოგვმადლენ რათა ძალითა იმავე სულისათა წრფელად გვსცნათ ყოვ-

ლო კეთილი, და მისივე ნუგეშინის-ცემითა მარადის ჰშვებდეთ, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ,

თაყვანის-ვცემ შენ, ღმერთო ჩემო, და მიყვარხარ ყოვლითა გულითა ჩემითა. გმადლობ რამეთუ დამბადე, მყავ ქრისტიანედ, და დამიფარე დღესა ამას, მომეც მე მადლი, რათა ჰცნა ცოდვანი ჩემნი, და შეჰნანო იგინი ჭეშმარიტებით.

აქ წაიკითხე ლექტურა გინა სულიერი წიგნი რაიმე ერთს ჩარექს. შემდგომ გამოიძიე სჳნიდისი შენი ათუთხმეტ მინუტს, და გაშინჯე ამ დღის საქმენი, სიტყვანი, განზრახვანი, და გარდამავალობანი შენნი,

თუ რა და რომელნი ნაკლებულო-ბანი მოგიხვდნენ შენ დღესა ამას წინაღმდეგად ღვთისა, წინაღმდე-გად მოყვასისა, და წინაღმდეგად თაჳსა შენისა, და რით შეაწყინე დღეს ღმერთი? შეინანე იგინი ჭე-შმარიტის გულითა და დასდევ მტკი-ცე პირობა გასწორებისათჳს სი-ცოცხლისა შენისა, და ხმარებისა-თჳს შემდეგს დღიებშიდ ყოველი შე-საძლო საშუალობისა, რათა სრუ-ლიად მოსპო შენგან ჩვეულებრივნი ნაკლებულობანი შენნი.

## სახე სჳნიდისის გამოძიებისა.

განჳზრახოთ აწმყოობა ღვთისა, და წინაშე მისსა ყოფნა ჩვენი და გა-

მადლოთ მას, ყოველთა სიკეთეთა მათთჳს, რომელნიცა მოუნიჭებია ჩვენთჳს, თუ დღეს და თუ ყოველს ჟამსა ცხოვრებისა ჩვენისასა. (დაფიქრება)

ვთხოვოთ მისგან ნათელი რათა გვაცნობოს ყოველნი ცოდვანი ჩვენნი და მოგვაძულებინოს იგინი. (დაფიქრება)

მდაბალი და მონანული გულითა, ვთხოვოთ მისგან შენდობა ყოველი ჩვენი ცოდვებისა, რომელნიცა გჳმოქმედებია დღეს ფიქრითა, სიტყჳთა, საქმითა და გარდამავალობითა; და შევსდგეთ უფროსი ერთი იმ ნაკლებულობათზედ, რომელზედაც უმეტეს მიდრეკილნი ვართ, და რომელნიცა მოგჳხდნენ ჩვენ დღეს

წინაღმდეგად დილანდელს ფიქრის ლოცვაში ჩვენგნით ნაქმნარი გარდაწყვეტილებაებისა. (დაფიქრება)

მივსცეთ მტკიცე პირობა ღმერთსა ამიერით არდარაოდეს შეცოდებისა შემწეობითა წმიდისა მადლისა მისისათა. (დაფიქრება)

ამიერით იმნაირად ვცოცხლოთ, როგორათაც ვნატრამთ რომ გვეცოცხლოს, იმ საშინელს წამსა სიკვდილისა ჩვენისასა. (დაფიქრება)

(აქ წაიკითხე და განიმზადე ხვალინდელი ფიქრის ლოცვს ნივთი)

### საქმე სარწმუნოებისა.

ღმერთო ჩემო, მრწამს მე მტკი-

ცედ რომ შენ ხარ მხოლოდ ერთი ღმერთი სამთა თანასწორთა და განრჩეულთა გვამთა შინა, რომელთა ეწოდებისთ მამა ძე და სული წმიდა. გვალად რომ ამ ყოვლად წმიდას სამების მეორე გვამი, ჯთამც, ძე, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, გარდამოხდა ზეცით განკაცდა, ჯვარს ეცვა და მოკვდა ჩვენის დახსნისათჳს, აღსდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცას. ეგრეთვე რომ ჩვენი სული არის უკვდაჳ, და შენც ღმერთო მართალო მოსამართლევ, მართალთა მიაგებ საიქიოს სასუფეველის დიდებასა და ცოდვილთა საუკუნო ჯოჯოხეთის სატანჯველსა. ამათ გარდა მრწამს და ვწყნარულობ გვალად ყოველსა მას, რაიც ჰრწა-

მს და წყნარულობს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკკლესია. და ესე ყოველი მრწამს მე ამისთჳს რამეთუ შენ ღმერთო, რომელი დაუსრულებელი ჭეშმარიტება ხარ, არ მოატყუებ და არც მოსტყუვდები, ესრედ გამოგიცხადებია ესენი წმიდისა ეკკლესიისათჳს, და იგიცა მიზრძანებს მე რწმუნებასა ამათსა.

## საქმე იმედისა.

ღმერთო ჩემო რადგან შენ ყოვლის მპყრობელი მოწყალე და სარწმუნო ხარ, ამისთჳს მე დიდი იმედი მაქვს შენგანა, რომ ჩემი სული ცხონდება იესო ქრისტეს სატანჯველის ძალითა და ჩემი კეთილის

საქციელის შემოქმედებითა: რომელსაც გპირდები და კიდევაც აღვასრულებ შეწევნითა შენითა.

საქმე სიყვარულისა.

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რადგან შენ ყოვლად სახიერი და დაუსრულებლად საყვარელი-ხარ, ყოვლითა გულითა, სულითა, და გონებითა ჩემითა მიყვარხარ და მიყვარს მოყვასიცა ჩემი როგორც თავი ჩემი შენის სიყვარულისათჳს.

საქმე სრული სინანულისა.

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელი კეთილი, ამისთჳს მო-

ჳარსხარ ყოვლითა გულითა ჩემითა
უფროს ყოვლისა რაჲმისაგან, და
რადგან მიყვარხარ, ამისთჳს ვნანუ-
ობ და ვჰსწუხვარ ჭეშმარიტის გუ-
ლითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა
ზედა, რამეთუ მათითი შემიწყენიხარ
შენ: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნა-
ვად ვაჲ მე. მომიტევე უფალო ყო-
ველნი ცოდვანი ჩემნი, რომელნი
რადგან არიან საძულველნი და სა-
წყენნი შენნი, ამისთჳს მეც მძულს
იგინი და შეურაცხ ვჰყოფ მათ ყო-
ვლითა გულითა უფროს ყოვლისა
ბოროტისაგან. და მტკიცედ გპი-
რდები ამიერით არღარ შეცოდება-
სა მადლითა შენითა, და განშორე-
ბასა ცოდვათაგან, და მიზეზთაგა-
ნაც ცოდვათა, რამეთუ ამიერით

უმეტესად მნებავს სიკვდილი ჯირე-მტლა კვალად შეცოდებას შენი.

## ღვთის მშობლის მიმართ.

ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო ქალწულო მარიამ ტკბილო, და მოწყალე დედაო, მფარველო ანგელოზთა, და ყოველნო წმიდანო იყავთ შემწედ და მფარველად ჩემდა, რათა ამიერით ჳცოცხლო მე ღმერთში, და ღვთისათჳს. ვჰგიო გამძლედ წმიდასა სიყვარულსა შინა მისსა, ვემსახურო მას სიკვდილამდე კეთილად და ბოლოს დღის ჳქმნა საუკუნო ნეტარებისა სასუფეველსა შინა ცათასა.

უმანკოდ შთასახებულო ქალწულო მარიამ, გჳმეოხე ჩვენ შენდამი შე-

მოხიზნულთა . გ .

სიყვარულითა ჩვენითა აღტყინებულნო გულნო იესოსაო და მარიამისაო, სიყვარულითა თქვენითა აღაგზენით გულნი ჩვენნი .

ვთხოვოთ ღვთისაგან მოტევება ყოველთა ცოდვათა ჩვენთა, მეტყუველთა ესრედ .

ვაღჳარებ წინაშე ღვთისა ყოვლის-მპყრობელისა, ნეტარელისა და მარადის ქალწული მარიამისა, ნეტარელისა მიქაელ მთავარ ანგელოზისა, ნეტარელისა იოვანე ნათლის მცემელისა, წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და ყოველთა წმიდანთა, რამეთუ მიცოდებია ფიქრითა, სიტყჳთა, და საქმითა: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ

მე . ამისთჳს გვევედრები ნეტარელსა და მარადის ქალწულს მარიამსა, ნეტარელსა მიქაელ მთავარ ანგელოზსა, ნეტარელსა იოვანე ნათლისცემელსა, წმიდათა მოციქულთა პეტრესა და პავლესა, და ყოველთა წმინდათა, რათა ილოცონ ჩემთჳს უფლისა მიმართ ღვთისა ჩვენისა, ა მ ი ნ.

შეგჳწყალოს ჩვენ ყოვლის შემძლებელმან ღმერთმან, მოგჳტევოს ცოდვანი ჩვენნი და აღგჳყვანოს ჩვენ ცხოვრებასა მას საუკუნოსა, ა მ ი ნ.

შენდობა, აღხსნა, და მოტევება ცოდვათა ჩვენთა მოგვმადლოს ჩვენ ყოვლის-მპყრობელმან და მოწყალემან უფალმან. ა მ ი ნ.

ყოვლად წმიდაო სამებაო, მამაო, ძეო, და სულო წმიდაო, იესოვ, მარიამ, და მამაო იოსებ, ყოველ-ნო ანგელოზნო, და წმიდანო სა-სუფეველისანო, მოგჳმოვნეთ ღვ-თისაგან ეს შემდეგნი მადლნი, რომელთაც ვითხოულობთ მისგან დაუფასებელი სისხლისათჳს იესო ქრისტესი.

ა. რათა მარადის ვასრულებდეთ ნებასა ღვთისასა.

ბ. რათა ვჰბიებდეთ მარადის გა-ნუყრელად ღვთისაგან.

გ. რათა შეჳყვაროთ ღმერთი ყო-ვლითა გულითა.

დ. რათა ყოველს საქმესა ჩვენსა ვჰყოფდეთ სადიდებლად ღვთისა,

ე. რათა მარადის ვეცადოთ წმი-

ნდად განხდენისათჳს ჩვენი თავჲსა, მხოლოდ სადიდებლად ღვთისა .

ვ. რათა ჰცნათ კარგად არა რა-ჲობა ჩვენი თავჲსა.

ზ. რათა ვსცნათ მარადის ნება ღვთისა და აღვასრულოთ იგი გულს მოდგინებითა .

იყავნ ყოველსა შინა ქებულ და დიდებულ ამიერითგან ვიდრე უკუ-ნისამდე უმწვერვალესი, სამართ-ლიერი, და სახიერი ნება ღვთისა. ( ასი დღის შენდობა ).

იყავნ დიდებულ და ქებულ ყოვე-ლსა წამსა ღვთიური საიდუმლო ყოვლად წმიდა ზიარებისა . ( ასი დღის შენდობა ).

მაცხოვარო ჩემო იესოვ, შენ შე-მოგწირავ სულსა, ჴორცსა, და გუ-

ლხა ჩემსა.

ტკბილო გულო იესოსაო, მომეც მადლი შენი შეყვარებისა მარადის და ფრიად.

კურთხეულ იყავნ სახელი იესოსი, ამიერითგან ჳდრე უკუნისამდე.

კურთხეულ იყავნ წმიდა და უმანკოჩასახება ყოვლად ნეტარელისა ქალწულისა მარიამისა.

( ასი დღის შენდობა )

კურთხეულ იყავნ სახელი მარიამისა დედისა ღვთისა.

ყოვლად წმიდაო გულო მარიამისაო, მოიდე კურთხევა შენი სულსა ჩემსა ზედა.

შენ შემოგწირამ გულსა ჩემსა მარიამ, დედაო სიყვარულისაო!

დედაო ღვთისაო, ნუ დამიჳწყებ

მე ნურაოდეს!

ჵი მარიამ მიმეოხე რათა არა აი-ღოს ხელი თჳსი ჩემგან იესომ და არა განმაგდოს მე პირისა თჳსისა-გან.

ჵი მარიამ შემეწიე სიყვარულისა-თჳს იესოსი, რათა მარადის მიყ-ვარდეს მე იგი.

გიხაროდენ ძელო ცხოვრებისაო, ფარო სარწმუნოებისაო, საჭურ-ველო უძლეველო, მახჳლო ორ პი-რო აღლესილო წინამდღეგად მტე-რთა ჩემთა, ეტლო საშეჳფევო, რომელსა ზედა ჰსჯდა მხსნელი სოფლისა, დიდებაო წმინდანთაო, ცხოვრებაო მორწმუნეთაო, ჵი სა-შუელო ჯვარო მაცხოვრისა ჩვენი-სა იესო ქრისტესაო, მეოხ მეყა-

ჯნ მე ცოდჳლსა დ~ უღირსსა მონა-
სა ამას შენსა ა მ ი ნ .

( შენდობა შჳდი წლისა )

უფალო ჩემო, მიიღე დ~ მიითვა-
ლე ყოველი თაჳს უფლება, მეხსი-
ერება, გულ-ხმიერება, დ~ მრთლი-
ვად ნება ჩემი. რაჲც მაქვს დ~ რა-
ჲც მომეძევა მე, ყოველნი შენ მო-
გიცია ჩემთჳსა: ამისთჳს შენვე შე-
მოგწირავ მათ ყოველთა, რომე-
ლნი შენნივე არიან. განაგე, უფა-
ლო, იგინი ყოვლითურთ ნებისა-
ებრ შენისა, ოლონდა კი მომეც მე
სიყვარული დ~ მადლი შენი, რად-
გან მხოლოდ ამათით გავხდები მე
ნამდჳლად მდიდარი დ~ ბედნიერი.

გვაკურთხოს ჩვენ ყოვლის-მპყ-
რობელმან ღმერთმან მამამან, ძე-

მან და სულმან წმიდამან, და დაგჳ-
ცვას ჩვენ მარადის ა მ ი ნ.

---

შემდეგი საღმრთო ლოცვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ა მ ი ნ.

უფალო აღახვენ პირი ჩემი, რა-
თა უგალობდე წმიდასა სახელსა შე-
ნსა, განსწმიდე გული ჩემი ყოვლის
უქმისა გულ-აღრძნილისა და უცხო-
ჲსა ფიქრისაგან, გულის კმა განმი-
ნათლენ და სიყვარული ჩემი აღა-
გზნე, რათა ღირსეულად მორწმუ-
ნედ და განმართლებულად შევწირო

შენ ლოცვანი ჩემნი, და წინაშე სა-
ღმრთოჲსა დიდებისა შენისა შეი-
სმინო უფლისა ჩვენისა იესო ქრი-
სტეს მიერ ა მ ი ნ.

უფალო გვნებავს ჩვენ ლოცვად
შენდა შეხებითა საღმრთოჲსა გო-
ნებისა მის შენისათა, რომლითაცა
სოფელსა ამას ზედა ილოცვედი
შენ ღვთისა მიმართ ა მ ი ნ.

წმიდაო ღმერთო წმიდაო ძლი-
ერო წმიდაო უკვდავო შეგჳწყალენ
ჩვენ. (სამჯერ სთქჳ.)

ჵი უფალო ნუ მისცემ მხეცთა სუ-
ლსა, რომელმან აღგიაროს შენ და
დაიცევ მონანი შენნი რომელნი და-
უფასებელის სისხლითა შენითა და-
იხსენ. (სამგზის სთქჳ)

დიდება მამასა და ძესა და სულსა

წმიდასა, ჳთარცა პირველად იყო აწ
და მარადის და უკუნითი უკუნისამდე
ა მ ი ნ . ა . უფალო შეისმინე
ლოცჳსა ჩემისა .

მ . და ვედრებისა ჩემისა ყურად იღე

ვილოცოთ .

ღმერთო, რომელი ცოდვათა ჩვენთათჳს განრისხდები და სინანულთა ჩვენთაგან დაცხრები, მოხედე მოწყალებითა ვედრებასა ერისა შენისასა და გვემა რისხჳსა შენისა რომლისა ცოდვათა ჩვენთათჳს ღირს ვართ, მიგჳდე ჩვენგან, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ა მ ი ნ

მადრიელი ვარ შენგან უფალო ჩემო, ყოვლისა კეთილისათჳს, რომე

ლიც გიბოძებია ჩემთჳს, მადრიელი ვარ რამეთუ შენ დამბადე დამიხსენ, დამიფარე ჲ ჭეშმარიტი სარწმუნოება მასცნობე, მადრიელი ვარ ყოველთა ნიჭთათჳს რომელნიცა დღეს მიბოძე რომელნიც გიბოძებია ჲ რომელსაც მიბოძებ, მომანიჭე გევედრები ესეცა რათა ყოველთა წმიდათა შენითა თანა მარადის გაქებდე ა მ ი ნ .

განანათლე უფალო გონება მონისა შენისა ჲ განაღჳძე გული ჩემი მადლითა სულისა წმიდისათა, რათა ჳცნობდე ცოდვათა ჩემთა, ჲ ღირსეულად ჳძულებდე ჲ ჳგლტოდე მათგან უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, რომელი ცხოველ არს ჲ სუფევს შენთანა ერთობით

სულით წმიდითურთ უკუნითი უკუნისამდე ა მ ი ნ.

აჰა უფალო, აჰა მაგიერი რომელიც მომიგებია შენთჳს ურიცხვთა კეთილოვნებათა შენთათჳს ვაჲმე საწყალსა, ჳნანი უფალო ჭეშმარიტად რამეთუ ცოდჳთა სახიერება შენი განვამწარე, ამისთჳს ჳძულებ ცოდვათა ჩემთა და ვშორდები მათ, რამეთუ არიან იგინი შემაწყენელნი შენნი რომელი ხარ ყოვლად კეთილი და ყოვლად საყვარელი მამაო ჩემო და ღმერთო ჩემო, უკეთუ განმაგდო მე პირისა შენისაგან ღირს ვარ, არამედ გევედრები რათა არა განმაგდო მე ძისა შენისა იესო ქრისტეს სიყვარულისა და სიკვდილისათჳს, რომელი შენთანა და სუ-

ლისა წმიდისათანა ცხოველი არს და სუფევს უკუნითი უკუნისამდე ა მ ი ნ.

ღმერთო ჩემო რომელი არცა მოატყუებ და არცა მოსტყუვდები, ამისთჳს მე მტკიცედ მრწამს ჳთარმედ შენ ერთი ხარ არსებითა და სამი გვამოვნებითა, რამეთუ შენ ესრეთ გამოუცხადე წმიდა ეკკლესიასა და იგიც ჩვენ გვცხადებს, და ამისთჳს რაჲცა მას ჰსწამს და აღჳარებს ყოველთა ზედა მორჩილნი ვართ ა მ ი ნ.

ღმერთო ჩემო რომელი ხარ ყოვლის მპყრობელი, დაუსრულებელი, კეთილი, მოწყალე და სარწმუნო, ამისთჳს დიდი იმედი მაქვს შენგანა რომელ მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტეს სატანჯველისა და

სიკვდილის მადლითა და შეწევნითა მე მომცემ საუკუნოსა ცხოვრებასა, უკეთუ მეცა კეთილის ქრისტიანისა კეთილ მოქმედებათა ვქმოდე, რომელთა ქმნასაცა გჳრდები შეწევნითა წმიდისა მადლისა შენისათა ა მ ი ნ .

ღმერთო ჩემო რამეთუ შენ ხარ ყოვლად მაღალი და ყოვლად სრული კეთილი, ამისთჳს მიყვარხარ შენ ყოვლისაგან უფროს ყოვლითა გულითა ჩემითა, და მზად ვარ უფროს დავკარგო ყოველი, ჳრემც თუ ერთხელ კიდევ შეგცოდო შენ

განაძლიერე უფალო უძლურებანი ჩემნი და დაამტკიცე გული ჩემი მადლითა სულისა წმიდისათა, რათა მხნედ ვუძლებდე საცდურთა ეშ-



A. Nauer pinx. 136. A. Pickel sc.

Benziger frères, Editeurs, à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Implantez en nos coeurs le lys de l'innocence
Et gardez-nous ô Vierge exempt de toute offense.

მაკისათა და სიკვდილი უფროს მწე-
ბავდეს ჯრემტდა შეცოდება შენი

სიხარულის საიდუმლონი ყოვ-
ლად წმინდისა სავარდისა .

ა . ერთი მამაო ჩვენო და ათი გი-
ხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ
პირველი საიდუმლო სიხარულისა .
ოდეს ღმერთი ყოვლის მპყრობე-
ლი დაუტკბა ქვეყანასა მოავლინა
გაბრიელ მთავარ ანგელოზი და ახა-
რა ქალწულსა მარიამსა და მიუდგა
სულისა მიერ წმიდისა .

ბ . ერთი მამაო ჩვენო და ათი გი-
ხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ მე-
ორე საიდუმლო სიხარულისა .

რაჟამს წმიდა ქალწული მარიამი მიუდგა წარჯდა მსწრაფლ ქალაქად იუდასა და შეჯდა სახლსა ზაქარიისასა და მოიკითხა ელისაბედ და ელისაბედის მუცლისა გამო იოვანემ თაყვანი ჰსცა და იესო ქრისტემან ადამისა ცოდჳსაგან განსწმიდა.

გ. ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ მესამე საიდუმლო სიხარულისა. რაჟამს მოიწია ჟამი შობისა დედისა უფლისა შვა გამოუთქმელი უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბეთლეემსა ჰურიასტანისასა ქალაქსა დავითისასა.

დ. ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ მეოთხე საიდუმლო სიხარულისა.

რაჟამს აღასრულნეს დღენი გან-
წმედისანი სჯულისა მისებრ მო-
სესისა აღმოიყვანნეს იესო წარ-
დგინებად უფლისა და სჳმონ მიი-
რქვა იგი მკლავთა თჳსთა ზედა და
აკურთხევდა ღმერთსა და ჰსთქვა აწ
განუტევე მონა შენი მეუფეო სი-
ტყჳსა ებრ შენისა მშჳდობით.

ქ. ერთი მამაო ჩვენო და ათი გი-
ხაროდენი ვსთქვათ და ვფიქროთ
მეხუთე საიდუმლო სიხარულისა.
რაჟამს იქმნა ათორმეტისა წლისა
აღიყვანნეს იგი მშობელთა ტაძრად,
დაშთა იესო ყრმა და შემდგომად
სამისა დღისა ჰპოვეს იგი შორის
მოძღვართა მჯდომარე ასწავებდა
სასუფეველისათჳს.

ⴋⴜⴓⴞⴀⴐⴄⴁⴈⴑ ⴑⴀⴈⴃⴓⴋⴊⴍⴌⴈ ⴗⴍⴅⴊⴀⴃ ⴜⴋⴈⴌⴃⴈⴑⴀ ⴑⴀⴅⴀⴐⴃⴈⴑⴀ.

ⴀ. ⴄⴐⴇⴈ ⴋⴀⴋⴀⴍ ⴙⴅⴄⴌⴍ ⴃⴀ ⴀⴇⴈ ⴂⴈⴞⴀⴐⴍⴃⴄⴌⴈ ⴅⴑⴇⴕⴅⴀⴇ ⴃⴀ ⴠⴔⴈⴕⴐⴍⴇ ⴎⴈⴐⴅⴄⴊⴈ ⴑⴀⴈⴃⴓⴋⴊⴍ ⴅⴌⴄⴁⴈⴑⴀ ⴕⴐⴈⴑⴒⴄⴑⴈ: ⴐⴀⴏⴀⴋⴑ ⴀⴖⴈⴗⴅⴀⴌⴀ ⴀⴇⴍⴐⴋⴄⴒⴌⴈ ⴋⴍⴜⴀⴔⴄⴌⴈ ⴃⴀ ⴀⴖⴠⴗⴃⴀ ⴋⴇⴀⴑⴀ ⴋⴀⴐⴒⴍ ⴈⴊⴍⴚⴅⴈⴃⴀ ⴋⴀⴋⴈⴑⴀ ⴋⴈⴋⴀⴐⴇ ⴃⴀ ⴈⴒⴗⴍⴃⴀ: ⴋⴀⴋⴀⴍ, ⴓⴉⴄⴇⴓ ⴘⴄⴑⴀⴛⴊⴄⴁⴄⴊ ⴀⴐⴑ ⴇⴀⴌⴀ ⴜⴀⴐⴋⴞⴄⴃⴈⴌ ⴑⴀⴑⴓⴋⴄⴊⴈ ⴄⴑⴄ ⴙⴄⴋⴂⴀⴌ.

ⴁ. ⴄⴐⴇⴈ ⴋⴀⴋⴀⴍ ⴙⴅⴄⴌⴍ ⴃⴀ ⴀⴇⴈ ⴂⴈⴞⴀⴐⴍⴃⴄⴌⴈ ⴅⴑⴇⴕⴅⴀⴇ ⴃⴀ ⴠⴔⴈⴕⴐⴍⴇ ⴋⴄⴍⴐⴄ ⴑⴀⴈⴃⴓⴋⴊⴍ ⴅⴌⴄⴁⴈⴑⴀ ⴕⴐⴈⴑⴒⴄⴑⴈ; ⴍⴃⴄⴑ ⴈⴓⴃⴀⴋ ⴄⴐⴇⴋⴀⴌ ⴀⴇⴍⴐⴋⴄⴒⴇⴀⴂⴀⴌ ⴀⴖⴈⴗⴅⴀⴌⴀ ⴂⴓⴌⴃⴌⴈ ⴋⴖⴅⴃⴄⴊⴇ ⴋⴍⴛⴖⴅⴀⴐⴇⴀⴂⴀⴌⴈ ⴋⴀⴞⴅⴈⴊⴄⴁⴀ-

თა და წათებითა მოჯდნენ შეიპყრეს შეჰკრეს იესო და მიიყვანეს წინაშე პონტოელისა პილატესსა ჯვარცმად ცოდვათა ჩვენთათჳს .

გ . ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჰფიქროთ მესამე საიდუმლო ვნებისა ქრისტესი და შემდგომად მრავალთა გითხვათა და გამოცდათა ერისაგანთა შესთხიზნეს გჳრგჳნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა იესოსსა და გარდამოჯდოდა სისხლი პირისაგან ქვეყნად ცოდვათა ჩვენთათჳს .

დ . ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჰფიქროთ მეოთხე საიდუმლო ვნებისა ქრისტესი : რაჟამს შეჰკაზმეს მძიმე ჯვარი ძელისა დასდვეს მხარსა ზედა

ქრისტესა და წარიყვანეს ჳდრე გოლგოთადმდე ჯვარცმად ცოდვათა ჩვენთათჳს .

ე. ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჰფიქროთ მეხუთე საიდუმლო ვნებისა ქრისტესი: რაჟამს ჯვარს აცვეს უფალი იესო და აღამაღლეს ჯვარსა ზედა ბნელი იქმნა ყოველი ქვეყანა, მზე და მთოვარე დაბნელდნენ ქვეყანა შეიძრა კლდენი განსკდნენ და მრავალთა საფლავნი განიხვნეს და მეცხრესა ჟამსა ჴმა ჰყო ჴმითა დიდითა იესო ჯვარსა ზედა და ჰსთქვა: მამაო, ჴელთა შენთა შევვედრებ სულსა ჩემსა და ესე რა ჰსთქვა, დაიმდაბლა თავ და განუტევა სული, და გარდმოიღეს ჯვარისაგან და დას-

დღეს სათვლავსა .

დიდების საიდუმლონი ყოვლად წმინდისა სავარდისა .

ა . ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ პირველი საიდუმლო დიდებისა ქრისტესი: რაჟამს აღსდგა მკვდრეთით ეჩვენა მარიამსა და მერმე ათერთმეტთა ყოველთა .

ბ . ერთი მამაო ჩვენო და ათი გიხაროდენი ვსთქვათ და ჳფიქროთ მეორე საიდუმლო დიდებისა ქრისტესი: რაჟამს იქცეოდა ქვეყანასა ზედა თჳსითა ყოვლის მპყრობელობის ძლიერებით, ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვნივ ღვთისა მამისა .

გ. ერთი მამაო ჩვენო და ათი გა-
ხაროდენი ვსთქვათ და ვიფიქროთ
მესამე საიდუმლო დიდებისა: რა-
ჟამს ქრისტე ამაღლდა ზეცად მო-
ავლინა სული წმიდა მოციქულთა
ზედა, აღივსნენ სულითა წმიდითა
და იქადაგეს ყოველსა სოფელსა
ზედა სასუფეველისათჳს.

დ. ერთი მამაო ჩვენო და ათი გა-
ხაროდენი ვსთქვათ და ვიფიქროთ
მეოთხე საიდუმლო დიდებისა: რა-
ჟამს მოიწია ჟამი მიცვალებისა დე-
დისა უფლისა, იწვევდა მას უფა-
ლი ზეციერსა განსვენებასა, სადა-
ცა არს სასუფეველი ცათა.

ე. ერთი მამაო ჩვენო და ათი გა-
ხაროდენი ვსთქვათ და ვიფიქროთ
მეხუთე საიდუმლო დიდებისა: რა-

ჟამს წმიდამან სამებამან დაადგა გჳრგჳნი თავსა დედუფლისასა, და დასვა იგი უკვდავების ტახტსა ზედა ეწოდა დედუფალი ცისა და ქვეყნისა რომელი არს მეოხე უფლისა მიმართ ჩვენ ყოველთა მართლმადიდებელთა ერთათჳს.

გიხაროდენ დედუფალო, მოწყალების დედაო, ცხოვრებაო, სიტკბოებაო, და სასოებაო ჩვენო, გიხაროდენ, შენდამი ვღაღადებთ გამოდევნილნი ევას ძენი შენდამი სულს ჳთქვამთ ცრემლითა და გოდებითა ღელესა ამას გლოჳსასა მაშ ჵი შუამდგომელო ჩვენო მოაქციე შენი მოწყალების თვალნი ჩვენ ზედა; და კურთხეული იესო ნაყოფი მუცლი-

სა შენისა ამ ექსორიის შემდგომ გვჩვენე ჩვენ, ჰო მოწყალეო, ჰო კეთილო, ჰო ტკბილო ქალწულო მარიამ.

შეოხ მეყავ ჩვენ წმიდაო ღვთის-მშობელო.

რათა ღირს ჯქმნეთ აღთქმათა ქრისტესათა.

ვ ი ლ ო ც ო თ.

ყოვლის მპყრობელო ჲ სამარა-დისო, ღმერთო, რომელმან დიდე-ბული ქალწულისა მარიამისა სუ-ლი ჲ ჴორცი სულისა წმიდისა მი-ერ უწინარეს განამზადე, რათა მშ-ვენიერად ღირსეული სადგომი ყო-ფილ იყო ძისა შენისა, მოგვეც ჩვენ

[library stamp]

გევედრებით რათა რომელნიც მო-
ხსენებითა მისითა ვზარობთ, მისი-
ვე მოწყალისა მეოხებითა აწინდე-
ლთა ბოროტთაგან დ҃ სამარადისოჲ-
სა სიკვდილისაგან დაჳხსნებოდეთ
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს
მიერ ა მ ი ნ .

## ლითანია ყოვლად წმიდისა .

კირიე, ელეისონ. ქრისტე ელე-
ისონ. კირიე, ელეისონ. ქრისტე
ისმინე ჩვენი. ქრისტე, შეისმინე
ჩვენი.

მამაო ზეცათაო ღმერთო, შეგვი-
წყალენ ჩვენ.

ძეო მაცხოვარო სოფლისაო ღმერ-

თო, შეგვიწყალენ ჩვენ.
სულო წმიდაო ღმერთო. შეგჳწყა-
ლენ ჩვენ.
წმიდაო სამებაო ერთო ღმერთო.
შეგვიწყალენ ჩვენ.
წმიდაო მარიამ, მეოხ მეყავ ჩვენ.
წმიდაო ღვთის მშობელო,
წმიდაო ქალწულთა ქალწულო,
დედაო ქრისტესაო,
დედაო საღმრთოჲსა მადლისაო,
დედაო უწმინდესო,
დედაო უხრწნელო,
დედაო შეუგინებელო,
დედაო უბიწო,
დედაო საყვარელო,
დედაო განსაკვირვებელო,
დედაო დამბადებელისაო,
დედაო მაცხოვრისაო,

მეოხ მეყავ ჩვენ.

ქალწულო ყოვლად მეცნიერო,
ქალწულო პატივსაცემელო,
ქალწულო საქადაგებელო,
ქალწულო ძლიერო,
ქალწულო სახიერო,
ქალწულო სარწმუნო,
სარკეო სიმართლისაო,
სადარო სიბრძნისაო,
მეოხ მეყავ ჩვენ.

მიზეზო მხიარულებისა ჩვენისაო,
ჭურო სულიერო,
ჭურო პატიოსანო,
ჭურო ზეშთა მხურვალებისაო,
ვარდო საიდუმლოჲსაო,
გოდოლო დავითისაო,
გოდოლო სპილოს ძვლისაო,
პალატო ოქროჲსაო,
კიდობანო აღთქმისაო,
ბჭეო ზეცისაო,
მეოხ მეყავ ჩვენ.

ვარსკულაო ცისკრისაო,
ცხოვრებაო სნეულთაო,
შესავედრებელო ცოდვილთაო,
ნუგეშინის-მცემელო შეჭირვე-
ბულთაო,
შემწეო ქრისტიანეთაო, გ.
დედუფალო ანგელოზთაო,
დედუფალო მამათ მთავართაო,
დედუფალო წინასწარ-მეტყველ-
თაო,
დედუფალო მოციქულთაო,
დედუფალო მოწამეთაო,
დედუფალო აღმსარებელთაო,
დედუფალო ქალწულთაო,
დედუფალო ყოველთა წმიდანთაო,
დედუფალო ყოვლად წმინდის
სავარდისაო,
წმიდაო მარიამ უბიწოდ მუცლად-

დებულო,
კრავო ღვთისაო, რომელმან აღი-
ხვენ ცოდვანი სოფლისანი, მო-
მიტევენ ჩვენ, უფალო.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღი-
ხვენ ცოდვანი სოფლისანი, შეი-
სმინე ჩვენი, უფალო.
კრავო ღვთისაო, რომელმან აღი-
ხვენ ცოდვანი სოფლისანი, შე-
გჳწყალენ ჩვენ.
ქრისტე, ისმინე ჩვენი.
ქრისტე, შეისმინე ჩვენი.

საფარველსა ქვეშე შენისა დაფა-
რვით დაგჳფარე ჩვენ წმიდაო ღვ-
თის-მშობელო, სათხოვარსა ჩვე-
ნსა ნუ უგულებელს ჰყოფ ჭირთა
შინა ჩვენთა, არამედ ყოვლისა წა-
რწყმენდილებისაგან გჳხსენ ჩვენ

მარადის ქალწულო დიდებულო და კურთხეულო.

მეოხ მეყავნ ჩვენ წმიდაო ღვთისმშობელო.

რათა ღირს ჳქმნათ აღთქმათა ქრისტესათა.

ვილოცოთ.

მოგვმადლე ჩვენ მონათა შენთა, უფალო ღმერთო, რათა სამარადისოჲთა ცხოვრებითა სულისა და ჴორცისათა ჳხარებდეთ, და მეოხებითა ნეტარისა დიდებულისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა დაჳხსნებოდეთ აწინდელთა მწუხარებათაგან და სამარადისოჲთა სიხარულითა ჳშვებდეთ. ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა. ამინ.

ანგელოზმან უფლისამან ახარა ქალწულს მარიამსა და მიუდგა სულისა მიერ წმინდისა. გიხარ.

აჰა მხევალი უფლისა მეყავნ მე სიტყჳსაებრ შენისა. გიხარ.

და სიტყუა იგი ჴორციელ იქმნა და დაემკჳდრა ჩვენ შორის. გიხ.

მეოხ მეყავნ ჩვენ, წმიდაო ღვთის-მშობელო.

რათა ღირს ჳქმნეთ აღთქმათა ქრისტესათა.

ვ ი ლ ო ც ო თ.

გევედრებით უფალო გონებათა ჩუენთა შინა შთაღვარე შენი წმიდა ნათლის მადლი რათა რომელთა გარებიითა ანგელოზისათა გვცნიეს განჴორციელება ქრისტესი ძისა

შენისა, სატანჯველითა მისითა და ჯვარითა მივეწიენოთ დიდებასა შინა აღდგომისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ. ა მ ი ნ.

ღრმით ამოღაღად ვჰყავ შენდამი უფალო, უფალო შეისმინე ლოცჳსა ჩემისა

იყვნედ ყურნი შენნი მორჩილ ხმასა ვედრებისა ჩემისასა.

უკეთუ უსჯულოებათა-ებრ მიაგებდე უფალო, უფალო ჳნმე დაუთმოს.

რამეთუ შენ მიერ არს ლხინება სახელისა შენისათჳს დაგითმე შენ უფალო.

დაუთმის სულმა ჩემმა სიტყვასა შენსა ესავს სული ჩემი უფალსა.

სახმილაჳთგან განთიადისა მიმ-

წუხრადმდე, სახმილავთგან განთიადის ესევდინ ისრაელი უფალსა.

რამეთუ უფლისა მიერ არს წყალობა, და მრავალ არს მის მიერ გამოხსნა.

და თავადმან იხსნას ისრაელი ყოველთაგან უსჯულოებათა მისთა.

ა. განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო; მ. და ნათლითა სამარადისოჲთა განანათლენ იგინი.

ა. კარისა ქვეშსკნელისა მისგან.

მ. აღმოიხსენ სულნი მათნი უფალო. ა. განისვენონ მშჳდობით. მ. ა მ ი ნ.

ა. უფალო, შეისმინე ლოცვისა ჩემისა; მ. და ვედრებისა ჩემისა ყურად იღე.

ვ ი ლ ო ც ო თ.

მორწმუნეთა ყოველთა გამჩენო ჲ დამსხნელო ღმერთო, მონათა ჲ მხევალთა შენთა მიცვალებულთა მათ მიუტევენ ცოდვანი მათნი რათა შენ მიერ მოიპოონ შენდობა ჲ გამოხსნა იგი რომლისათჳს გული უთქვამსთ მარადის, რამეთუ ცხოველ ხარ ჲ სუფევ უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

აღდგომის დღეებში ნაცვლად ანგელოზმანისა ითქმის შემდეგი.

გიხაროდენ დედუფალო ცისაო, ალელუია.

რამეთუ რომლის ტჳრთვად ღირს იქმენ, ალელუია.

აღსდგა მკვდრეთით ვითარცა ჰს-თქვა, ალელუია.

ევედრე ჩვენთჳს ღმერთსა, ალე-ლუია.

ა. იშუებდ, და იხარებდ, ქალწუ-ლო მარიამ, ალელუია.

მ. რამეთუ ნამდჳლვე აღჰსდგა უფალი, ალელუია.

ვ ი ლ ო ც ო თ.

ღმერთო, რომელმან აღდგომი-თა ძისა შენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა სოფელი განა-ხარე, გევედრებით მოგვმადლე რა-თა მშობელისა მისისა ქალწული მარიამისა მიერ მიჳღოთ ჩვენ სი-ხარულნი სამარადისოჲსა ცხოვ-რებისანი, მისივე უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ ა მ ი ნ.

## შჳდნი ფსალმუნნი სინანულისანი .

### ფსალმუნი . ვ .

ა . უფალო , ნუ გულის-წყრომითა შენითა მამხილებ მე , ნუცა რისხჳთა შენითა მჯსწავლი მე .

ბ . მიწყალე მე უფალო , რამეთუ უძლურ ვარ , განმკურნე მე უფალო . რამეთუ შემიძრწუნდეს ძვალნი ჩემნი .

გ . და სული ჩემი შეჯსძრწუნდა ფრიად , და შენ უფალო ჳდრემდის .

დ . მოიქეც უფალო , იხსენ სული ჩემი , და მაცხოვნე მე წყალობისა შენისათვის .

ე. რამეთუ არა არს, ჳნ სიკვდი-ლსა შინა მოგიჴსენოს შენ, ანუ ჯოჯოჴეთს შინა, ჳნ აღგიაროს შენ.

ვ. დავშვერი მე სულთქმითა ჩე-მითა, დავჰბანო მარად ღამე ცხე-დარი ჩემი, ცრემლითა ჩემითა სა-რეცელი ჩემი დავალტო.

ზ. განჰრისხდა გულის-წყრო-მითა თვალი ჩემი, განვჰკვდი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა.

ჱ. განმეშორენით ჩემგან ყოვე-ლნი მოქმედნი უსჯულოებისანი, რამეთუ შეესმა უფალსა ხმაჲ ტი-რილისა ჩემისა.

თ. ისმინა უფალმან ვედრებისა ჩემისა. უფალმან ლოცვაჲ ჩემი შეიწყნარა.

ი. ჰრცხვენოდნენ და შეჰძრწუნდედ ყოველნი მტერნი ჩემნი. მართლ-უკუ-იქცენ, და ჰრცხვენოდენ ფრიად და მსთუად. დიდება.

ფსალმუნი. ლა.

ა. ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნეს უსჯულოებანი, და რომელთა დაეფარნეს ცოდვანი.

ბ. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხოს უფალმან ცოდვანი, არცა არს პირსა მისსა ზაკვა.

გ. რამეთუ დავსდუმენ მე, განჰკფდეს ყოველნი ძვალნი ჩემნი ღაღადებითა ჩემითა მარადღე.

დ. რამეთუ დღე და ღამე, დამძიმდა ჩემზედა ხელი შენი, მი-

ქეც მე გლახაკობად, რამეთუ გან-
მესხა მე ეკალი.

ე. ცოდუვაჲ ჩემი გაუწყე შენ, და უშჯულოებაჲ ჩემი არა დავჰფა-რე შენგან, ვსთქუ აღუარო ბრალი ჩემი უფლისა, და შენ მომიტევე უღმრთოებაჲ გულისა ჩემისა.

ვ. ამისთჳს ილოცვიდეს შენდამი ყოველი წმიდა ჟამსა შეწყნარები-ასა, ხოლო რღუნა წყალთა მრა-ვალთა მას არა მიეახლოს.

ზ. შენ ხარ შესავედრებელი ჩემი ჭირისა-გან, რომელნი გარე მო-ადგეს მე, სიხარულო ჩემო, მიხ-სენ მე მათგან რომელთა გარე მო-ავ მე.

ჱ. გონიერ გჰყო შენ, და გუ-ლისხმა-გიყო შენ გზასა მას რო-

მელსაცა ჰხვიდოდე, ვიგნე შენ-ზედა თუვალნი ჩემნი.

თ. ნუ იყოფით ვითარცა ცხენი და ჯორი, რომელთა თანა არა არს გულის-ჴმა, ჭიმითა და აღვირითა უქცინე ღაწჳნი მათნი, რომელნი შენ არა მოუახლნეს.

ი. მრავალ-გუემა არიან ცოდვილთათჳს, ხოლო რომელნი ესვენ უფალსა წყალობა გარე მოადგეს მათ.

ია. იხარებდით უფლისა მიმართ, და იშუებდით მართალნო, და იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა.

### ფსალმუნი . ლზ .

ა. უფალო, ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნუცა რისხვითა შენითა მჴსწავლი მე.

ბ. რამეთუ ისარნი შენნი განმეწონნეს მე, და დამტკიცე ჩემ-ზედა ხელი შენი.

გ. არა არს კურნება ჴორცთა ჩემთა პირისაგან რისხვისა შენისა, არა არს მშვიდობა ძუვალთა ჩემთა პირისაგან ცოდვათა ჩემთასა.

დ. რამეთუ უსჯულოებანი ჩემნი აღემატნეს თავსა ჩემსა, და ვითარცა ტვირთი მძიმე დამიმძიმდეს ჩემ ზედა.

ე. შეყროლდეს და დალპეს წყ-

ლულებანი ჩემნი, პირისაგან უგუნურებისა ჩემისა.

ვ. დავგლახაკენ და დავმდაბლდი სრულიად, მარადღე მწუხარე ვიდოდე.

ზ. რამეთუ თეძონი ჩემნი აღივსნეს ნაგუემთაგან, და არა არს კურნება ჴორცთა ჩემთა.

ჱ. შევჭბოროტდენ და დავმდაბლდი ვიდრე ფრიად, ვჭხმობდე სულთქმითა გულისა ჩემისათა.

თ. უფალო შენ წინაშე არს ყოველი გულის-თქმა ჩემი, და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა.

ი. გული ჩემი შეძრწუნდა, და დამიტევა მე ძალმან ჩემმან, და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემთანა.

ია. მოყვარენი ჩემნი, და მეგობარნი ჩემნი ჩემ წინაშე მომეახლნეს და დადგეს, და მახლობელნი ჩემნი შორს დადგეს ჩემგან.

იბ. და მაიძულებდეს მე რომელნი ეძიებდეს სულსა ჩემსა, და რომელნი ეძიებდეს ძვირსა ჩემსა იტყოდეს ამაოებასა, და ზაკვასა მარადღე ზრახვიდეს.

იგ. ხოლო მე ვითარცა ყრუსა არა მესმოდა, და ვითარცა უტყუმან რა არა აღაღის პირი თჳსი.

იდ. და ვიქმენ მე ვითარცა კაცი უსმი, რომლისა თანა არა არნ პირსა მისსა სიტყუა.

იე. არამედ მე შენ უფალო გესავ, და შენ შეგესმინ ჩემი უფალო ღმერთო ჩემო.

ივ. რამეთუ ვჰსთქუ, ნუ სადა უხა-
როდის ჩემ ზედა მტერთა ჩემთა და
შეძრვასა ფერხთა ჩემთასა, ჩემ
ზედა მდიდრად იტყოდეს.

იზ. რამეთუ მე გუემად განმზა-
დებულ ვარ, და სალმობაჲ ჩემი ჩემ
წინაშე არს მარადის.

იჱ. რამეთუ უშჯულოებაა ჩემი
მე უთხრა, და ვზრუნვიდე მე ცოდ-
ვისა ჩემისა-თჳს.

ით. ხ̃ ესერა მტერნი ჩემნი
ცხოველ არიან, და განძლიერებულ
ჩემსა უფროს, და განმრავლდეს
რომელთა მომიძულეს მე უსამარ-
თლოდ.

კ. და რომელთა მომაგეს მე ბო-
როტი კეთილისა წილ, მასმენდეს
მე, რამეთუ ვჰსდევდ სიმართლესა.

კა. ნუ დამაგდებ მე უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან.

კბ. მოიხილე შეწევნად ჩემდა უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო.

ფსალმუნი. ნ.

ა. მიწყალე მე ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა, და მრავლითა მოწყალებითა შენითა, აჴოცე უშჯულოება ჩემი.

ბ. უფროს განმბანე მე უშჯულოებისა ჩემისაგან, და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე.

გ. რამეთუ უშჯულოება ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე

ჩემსა არს მარადის.

დ. შენ მხოლოსა შეგცოდე, და ბოროტი შენ წინაშე ვჰყავ, რათა განმართლდე სიტყუათაგან შენთა, და სძლო სჯასა შენსა.

ე. რამეთუ ესერა უშჯულოებათა შინა მიუდგა, და ცოდვათა შინა მშუა მე დედამან ჩემმან.

ვ. რამეთუ ესერა ჭეშმარიტება შეიყუარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე.

ზ. მასხურო მე უსუპითა, და განვჰსწმიდნე მე, განმბანო მე, და უფროს თოვლისა განვსპეტაკნე.

თ. მასმინო მე გალობაჲ და სიხარული, და იხარებდენ ძუალნი დამდაბლებულნი.

თ. გარემიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან, და ყოველნი უშჯულოებანი ჩემნი აჴოცენ.

ი. გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა.

ია. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან, და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

იბ. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა, და სულითა მთავრობისათა დამამტკიცე მე.

იგ. ვასწავლენ უშჯულოთა გზანი შენნი, და უღმრთონი შენდა მოიქცენ.

იდ. მიხსენ მე სისხლთაგან ღმერთო, ღმერთო, ცხოვრებისა ჩემისაო, იხარებდეს ენა ჩემი სიმარ-

თლესა შენსა.

იე. უფალო ბაგენი ჩემნი აღა-ხვენ და პირი ჩემი უთხრობდეს ქე-ბულებასა შენსა.

ივ. რამეთუ უკეთუმცა გენება მს-ხვერპლი, შემცა მეწირა, არამედ საკუჰრთხი არა გთნდეს.

იზ. მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუს-ვრილი და დამდაბლებული ღმერ-თმან არა შეურაცხ-ჰყოს.

იჱ. კეთილი უყავ უფალო ნები-თა შენითა სიონსა, და აღაშენნენ ზღუდენი იერუსალემისანი.

ით. მაშინ გთნდეს მსხვერპლი სიმართლისა, შესაწირაჲ და ყოვ-ლად დასაწველი, მაშინ შეწირ-ნენ საკურთხეველსა შენსა ზედა

ზუარაკნი .

## ფსალმუნი . რა

ა. უფალო ისმინე ლოცჳსა ჩემისა, და ღაღადება ჩემი შენდა შევედინ.

ბ. ნუ გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, რომელსა დღესა მჭირდეს მე, მოჰყავ ჩემდა ყური შენი, და რომელსა დღესა გხადოდი შენ მსწრაფლ შეგესმინ ჩემი.

გ. რამეთუ მოაკლდა ჳთარცა კუამლსა დღეთა ჩემთა, და ძვალნი ჩემნი ჳთარცა ქარქვეტი განხმეს.

დ. იწყლა ჳთარცა თივა, და განხმა გული ჩემი, რამეთუ დაჳწყე ჭამად პური ჩემი.

ე. ჴმითა სულთქმისა ჩემისათა შეჰხმეს კორცნი ჩემნი ძვალთა ჩემთა.

ვ. ვემსგავსე მე ვერხუსა მას უდაბნოსასა და ჳქმენ მე ჳთარცა ბუჲ ნატამალისა.

ზ. უძილ ჳქმენ და ჳყავ ჳთარცა სირი მხოლო სართულსა ზედა.

ჱ. მარადღე მყვედრიდეს მე მტერნი ჩემნი, და მაქებელნი ჩემნი ჩემდამო ფუცჳდეს.

თ. რამეთუ ნაცარი ჳთარცა პური ვჰსჭამე, და სასუმელი ჩემი ტირილითა ჩემითა განვზავი.

ი. პირისაგან რისხჳსა და გულისწყრომისა შენისა, რამეთუ აღმიღე და დამკვეთე მე.

ია. და დღენი ჩემნი ჳთარცა აჩრ-

დილი წარჴდეს, და მე ჳთარცა თი-ვა განვჴმე.

იბ. ხოლო შენ უფალო, უკუნისამდე ჰგიე, და სახსენებელი შენი თესლითი თესლადმდე.

იგ. შენ აღსდეგ და შეიწყალო სიონი, რამეთუ ჟამი წყალობისა მისისა, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი.

იდ. რამეთუ სთნდეს მონათა შენთა ქვანი მისნი, და მიწასა მის-სა სწყალობდენ.

იე. და ეშინოდის წარმართთა სა-ხელისაგან უფლისა, და ყოველთა მეფეთა ქვეყანისათა დიდებისაგან მისისა.

ივ. რამეთუ აღაშენოს უფალმან სიონი, და გამოუჩნდეს მას დიდე-

ბითა მისითა.

იზ. მოხედნა ლოცვასა ზედა მდაბალთასა, და არა შეურაცხ-ჰყო ვედრება მათი.

იჱ. დაიწერენ ესე ნათესავად სხვად, და ერი დაბადებადი აქებდეს უფალსა.

ით. რამეთუ მოიხილა მაღლით წმიდით მისით, უფალმან ზეცით ქვეყანად გარდამოიხილა.

კ. რათა შეისმინოს სულთქმა შებორკილებულთა, და განჰჴსნნეს ნაშობნი მოკლულთანი.

კა. თხრობად სიონს სახელი უფლისა, და ქებულება მისი იერუსალიმს.

კბ. შეკრებად ერისა ერთად, და მეფენი მონებად უფლისა.

კგ. მიუგო მას გზასა შინა ძლი-ერებისა მისისასა, სიმცირე დღე-თა ჩემთა მითხარ მე.

კდ. და ნუ განმიყვანებ მე კერძ-ოთაგან დღეთა ჩემთასა, თესლითი თესლადმდე არიან წელიწადნი შე-ნნი.

კე. დასაბამსა შენ უფალო ქვე-ყანა დააფუძნე, და ქმნულნი ჴელ-თა შენთანი ცანი არიან.

კვ. იგინი წარჴდებიან, ხოლო შენ ჰგიე, და ყოველნი ჳთარცა სა-მოსელნი დაძველდენ, და ჳთარცა შესამოსელნი სცვალნე იგინი და იცვალნენ.

კზ. ხოლო შენ თავადი იგივე ხარ, და წელიწადნი შენნი არა მო-აკლდენ.

კთ. ძენი მონათა შენთანი დაემკჳდრნენ, და ნათესავჲ მათი უკუნისამდე წარემართოს.

## ფსალმუნი. რკთ.

ა. ღრმითა ამო ღაღად იძიე 150

## ფსალმუნი. რმბ.

ა. უფალო შეისმინე ლოცჳსა ჩემისა, ყურად იღე ვედრება ჩემი ჭეშმარიტებითა შენითა, შეისმინე ჩემი სიმართლითა შენითა.

ბ. და ნუ შეხვალ სასჯელსა მონისა შენისათანა, რამეთუ არა განმართლდეს შენ წინაშე ყოველი ცხოველი.

გ. რამეთუ დევნა მტერმან სული ჩემი, და დაამდაბლა ქჳეყნად ცხოვრება ჩემი, დამსვა მე ბნელსა შინა, ჳთარცა მკვდარი საუკუნო.

დ. და მოეწყინა ჩემ-თანა სულსა, ჩემსა, და ჩემ შორის შემიძრწუნდა გული ჩემი.

ე. მოჳჴსენე დღეთა პირველთა, და ჳწურთიდ ყოველთა მიმართ საქმეთა შენთა და ქმნულსა ჴელთა შენთასა ვზრახევდ.

ვ. განჳპყრენ შენდამი ჴელნი ჩემნი, და სული ჩემი ჳთარცა ქვეყანა ურწყული შენდამი.

ზ. მსთვად შეისმინე ჩემი უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა, ნუ გარე მიიქცევ პირსა შენს

ჩემგან, და ვემსგავსო მათ რომე-
ლნი შთავლენან მღჳმესა.

ჱ. მასმინე მე განთიად წყალო-
ბა შენი რამეთუ მე შენ გესავ. მა-
უწყე მე უფალო გზა რომელსაცა
ჳდოდე, რამეთუ შენდამი აღჳღე
სული ჩემი.

თ. მიჴსენ მე მტერთა ჩემთაგან,
უფალო რამეთუ შენ შეგევედრე.

ი. მასწავე მე რათა ვჰყო ნება
შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩე-
მი, სული შენი სახიერი მიძღო-
დეს მე ქვეყანასა წრფელსა.

ია. სახელისა შენისა-თჳს უფა-
ლო მაცხოვნო მე, და სიმართლითა
შენითა განმოიყვანო ჭირისაგან სუ-
ლი ჩემი.

იბ. და წყალობითა შენითა მო-

ჰსრენ მტერნი ჩემნი, და წარჰსწყმიდნე ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისანი, რამეთუ მე მონა შენი ვარ.

### დღის განმავლობაში სათქმელნი ლოცვანი.

დაიწყებ რა საქმესა შენსა ჰსთქჳ.

უფალო ჩემო გწირავ შენ შრომასა ამას ჩემსა, გარდამოავლინე ამასა ზედა კურთხევა შენი..

### საზრდელის მიღების უწინარეს·

გარდმავლინე უფალო, კურთხევა შენი ჩვენ ზედა, და საზრდელსა ამასა ზედა, რომელიც უნდა მივი-

ლოთ გამოსაზრდელად ჩვენი წმი-დასა მსახურებასა შინა შენსა.

შემდგომ საზრდელის მიღებისა

გმადლობ შენ უფალო, მონიჭ-ებისათჳს ჩვენდა საზრდელისა ამის, მოგვეც მადლიცა კეთილად მსახურებისა შენისა.

ოდესაც დარეკს საჰათი, და არცა გექმნების რაჟამზე განსაცდელი ჰსთქჳ

მომანიჭე მე უფალო მადლი შენი რათა არა ოდეს შეგაწყინო შენ.

ოდესაც ჰსცნობ, და არცა გაეჯ-ჯანდები რომ ჰქმენ რაჟამზე ცოდ-ვა, ჰყავ სრული სინანული, და თუ ცოდვა იგი იყოს მძიმე გაერდე სწრაფად.

რადგან ფრიად საქებური ჩვეულება არის მრავალთა, რომელნი დღეში მაინც ერთხელ და მრავალჯერაც მიხედვენ ხოლმე წმიდა ზიარების საიდუმლოსა წინაშე იმ ტრაპეზისა, სადაცა ასვენია იგი, და იტყჳან ჳზიტის ლოცვასა. ესრეთვე ღვთისმშობელი ქალწული მარიამის რომელიმე ხატის წინაშე წარდგომილნი იტყჳან მის მიმართცა სხვა ჳზიტის ლოცვასა, ამისთჳს აქ დავსდევით ჩვენცა ორ ნაირი ჳზიტის ლოცვა, რათა შეგეძლოს შენც შედგომა ამ ნაყოფიერი კეთილ მსახურებისადმი.

ლოცვა ჳზიტისა ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოს მიმართ.

მაცხოვრო ჩემო იესო რომელი
გამოუთქმელი სიყვარულისა გამო,
რომელიც გაქუს შენ კაცთ მიმართ,
ბრძანდები დღე და ღამე ამ ყოვლად
წმიდა ზიარების საიდუმლოში;
სავსე სიყვარულითა, და მიელი ყო-
ველსა, დაიწვევ ყოველსა შენთან,
და ყოველსავე მიიღებ სიტკბოებ-
ითა, რომელნიც მოვლენ შენს
მოსაკითხავად ამ წმიდა საიდუმ-
ლოში: მწამხარ უფალო ჩემო,
რომ აწმყოდ იპოები შენ ამ ყო-
ვლად წმიდა საიდუმლოში; და ამ-
ისთჳს არა რაჲობისა ჩემისაგან
სიმდაბლით თაყვანის-გცემ, და გ-
მადლობ შენ იმ აურაცხველი მად-
ლებისა და სიკეთებისათჳს, რომე-
ლნიც გიქმნია ჩემთჳს დღევანდლა-

შდი ჲ კერძოობითად მისთჳს რომ მოგინიჭებია ჩემთჳს თავ შენი ამ წმიდა ზიარების საიდუმლოში, გიბოძებია ჩემთჳს შუამდგომელად ჲ მეოხედ წმიდა ქალწულ მარიამი საყვარელი დედა შენი, ჲ მოგიყვანი-ვარ დღეს შენს მოსაკითხავად ამ ეკკლესიაში. ამისთჳს დავრდომილი შენს ფერხ ქვეშ დიდი სურჳლით მოჳკითხავ აწ სიყვარულით აღსავსე გულსა მაგას შენსა ამ სამი აღსასრულისათჳს; პირველად, მადლობის გარდასახდელად ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოს გამოუთქმელი ნიჭის მოცემისათჳს ჩვენდა. მეორედ, რათა სამაგიეროპატიჳ ჲ კდემა მოგაგო შენ, იმ შეურაცხყოფათათჳს რომელნიც მო-

გიდია შენ ტკბილო მაცხოვარო, ამ ყოვლად წმიდა საიდუმლოში ურწმუნოთაგან, მწვალებელთაგან და თჳთ იმავე ბოროტთა კათოლიკეთაგანაც. მესამედ, რათა ამ ჳზიტის გაკეთებით თაყვანი-გცე შენ სურჳლით მრთელი ქვეყნის იმ ყოველს ადგილსა, სადაც კი იმყოფები შენ ამ ყოვლად წმიდა საიდუმლოში და სადაც უფრო ნაკლებად პატივ-ცემული ხარ შენ, და ანუ სადაც უმეტესად დატოებული ხარ კაცთაგან. მიყვარ-ხარ ყოვლითა გულითა ჩემითა, საყვარელო ჩემო იესო; და დიდად ვსწუხვარ ამაზედ რომ გავლილს ცხოვრებასა შინა ჩემსა იგოდენ გზის შემიწყენიხარ შენ, განუზომელო სახიერებაო, და

გპირდები რათა ამიერით აღარა-
ოდეს შეგაწყინო შენ მადლითა შე-
ნითა. შემოგწირავ შენ ყოვლად
საწყალს თავსა ამას ჩემსა; ამას-
თანვე გწირავ ყოვლითურთ ნებასა
ჩემსა, ყოველთა სურჳლთა და ნა-
ტვრათა გულისა ჩემისათა და ყო-
ვლსავე, რაც კი მაბადია მე. დღე-
ის იქით განაგე შენ ესენი ყოვლი-
თურთ ეგრედ, როგრათაც შენ გნე-
ბავს ოღონც რომ, გევედრები,
მომანიჭე მე წმიდა სიყვარული
შენი, უცოდვო სიცოცხლეში გამ-
ძლეობა სიკვდილამდე და შენი კუ-
რთხეული ნების შესრულება მარა-
დის. დაგავედრებ შენ, ტკბილო
მაცხოვარო ჩემო, განსაწმედელში
მყოფთა სულთაცა, და უმეტესად

მათ, რომელნიც თაჳანთ სიცოცხლეში უფრო მხურვალენი და პატიჳსმცემელნი ყოფილან ამ ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოსი და ქალწული მარიამისა დედისა შენისა. კვალად დაგავედრებ შენ ყოველთა ცოდჳლთა, რათა მიჰმადლო მათ ნათელი და ჭეშმარიტი სინანული, რათა რომ გამოჳდნენ იგინი სიბნელისა და ტყვეობისაგან ცოდვათა თჳსთა. აღსასრულად ყოვლად საყვარელო და ტკბილო მაცხოვარო ჩემო ვაერთებ ამ ყოველთა ნატვრათა ჩემთა, ნატვრათა თანა ყოვლად საყვარელისა გულისა შენისა, და ესრედ შევსწირავ ამათ საუკუნო მამასა შენსა, და სიმდაბლით ვევედრები გამოუთქმელს სახიერებასა

მისსა რათა სახელითა შენითა და სიყვარულისა შენისათჳს შეიწყნარის იგინი და შემისმინოს მე ამინ.

ლოცვა ჳშილისა ღვთის-მშობელი ქალწული მარიამისა მიმართ.

ყოვლად წმიდაო ქალწულო მარიამ, საყვარელო დედაო ჩემო, და დედაო უფლისა ჩემისა იესო ქრისტესაო, დედოფალო ცისა და ქვეყნისაო, მეოხევ სასოებავ და შესავედრებელო ცოდვილთაო, შენ მოგმართამ ყოველა ცოდვილებზე საწყალობელი ცოდვილი ესე შენ შემოგეხიზნვი, და დიდის სიმდაბლით დავარდომილი წინაშე შენსა, გმადლობ იმ აღურაცხველთა მადლ-

თა და შემწეობათა-თჳს, რომელნიც დედობრივ მეოხებითა შენითა მიმიღია მე დღევანდლამდი შენი საყვარელი ძისა იესოსაგან; და უფრო იმისთჳს რომ იგოდენ გზის დაუხსნივარ მე მას საუკუნო ჯოჯოხეთისაგან, რომლისაც ღირსი შექმნილ ჳყავ მე ჩემის ცოდვებითა. მიყვარ-ხარ, ყოვლად სახიერო დედაო ჩემო, და იმ დედობრივ სიყვარულისა შენისათჳს, რომელსაც აჩვენებ ხოლმე მარადის ჩემზედ, გპირდები რათა გემსახურო შენ მუდამ ერთ გულობით, პატივ ვცე, და ვეცადო თანვე რაოდნათაც შემიძლია, რათა ყოველთაგან ქებული და პატივ-ცემული იყო შენ მარადის. იესოს შემდგომ, შენზე

დამიძს ყოველი იმედი ჩემი სულის ცხონებისა . დედაო მოწყალებისაო , მიმიღე მე რიცხვთა შორის მხურვალე მონათა შენთა , და დამიფარე შენი წმიდა მფარველობის ქვეშ მუდამ . დედაო ჩემო მარიამ , რადგან ეგრეთი დიდი გავლენა აქუს შენს მეოხებასა ღმერთთან , დამიხსენ მე ყოველი განსაცდელისაგან , ანუ მომითხოვე ძალა და შეწევნა რათა ვერეოდე და ვძლეოდე ხოლმე მათ სიკუდილამდისინ . შენგან ჳთხოვ ჭეშმარიტს სიყვარულსაცა იესოსი ძისა შენისასა , და შენით იმედი მაქუს მეღირსოს ერთი კეთილი სიკვდილიც : ჩემო საყვარელო დედაო , სიყვარულისა თჳს ყოვლად საყვარელი ძისა

შენისა ნუ დამტოებ მე ნურაოდეს არამედ შემეწიე მარადის და უფროსი-ერთი იმ საშინელს წამსა სიკუდილისა ჩემისასა, ნუ მამაშორებ მე შენი მოწყალების თვალსა სანამ არ მნახამ მე მიწვენილსა ზეციერს ბედნიერებასა შინა საქებლად და სადიდებლად ღვთისა და გამოუთქმელი მოწყალებისა შენისაცა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

საქმე სურვილით ზიარებისა სასარგებლოდ პირთა მათ, რომელნიც ჰყოფენ ხოლმე ამას სარწმუნოებით; სიმდაბლით; და სიყვარულითა.

უფალო ჩემო იესო ქრისტე, მრწამს რომ აწმყოდ იპოვები შენ

წმიდა ზიარების საიდუმლოში, მიყვარ-ხარ შენ და ვნატრობ მოსვლასა შენსა საწყალობელს სულსა შინა ჩემსა. მოვედ უფალო მონანულსა და დამდაბლებულსა გულსა შინა ჩემსა... და აწ ჳთარცა მოსულსავე ჩემშიდ მოგემთხვევ და გწირავ შენ ყოვლითურთ თავსა ჩემსა; გევედრები მომეც მე წმიდა სიყვარული შენი, გამძლეობა კეთილს ცხოვრებასა შინ, ნუღარაოდეს ნუ წახვალ ჩემგან და ნურცაღა მიმიშვებ მე ოდესმე განყრად შენგან ცოდვითა.

## შუა დღის ლოცვა.

ლოცვა გჳრგჳნისა ეკლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა-წმიდისათა ამინ.
უფალო, აღახვენ პირი. იბი. 32.
უფალო, გვნებავს. იბი. 33.

ღმერთო ჩემო და საყვარელო უფალო იესო ქრისტე, რაჟამს განჯზრახავ, რამეთუ შენ საუკუნო და ჭეშმარიტი ღმერთი შეწყალებისა ჩვენისათჳს ჴორციელ იქმენ, და შემდგომად ოცდა ცამეტის წლის პატიოსნისა და შეწუხებულის ცხოვრე-

ბისა შენისა მწარედ გატანჯული ჯვარზედ მოკუდი, მეც დიდად მო-ჳძულებ უმადლოსა ცხოვრებასა და ბოროტ-მოქმედებასა ჩემსა, რამეთუ მრავალ-გზის შეგცოდე შენ, დამბადებელო და მხსნელო ჩემო. ამისთჳს ჳნანი ჭეშმარიტად და მნებავს, რათა მრთელი ცხოვრება ჩემი სინანულით გავატარო, ხოლო დიდად ვსასოებ საუკუნო მოწყალებისა და გამოუთქმელისა მადლისა შენისა მიერ, და შენის მშობლის ქალწულის მარიამის მეოხებითა, რათა ვნებული ცხოვრება შენი საწყალობელისა გულისა ჩემისაგან არა განეშოროს, და უწესო ცხოვრება ესე ჩემი წმიდასა ნებასა შენსა მივაბაძო, და ამისთჳს, რათა კეთილითა

განზრახჳთა ამით მოჳხსენიო შენი საკჳრველი ცხოვრების გჳრგჳნი, სადიდებლად შენდა ჲ სასარგებლოდ სულისა ჩემისა ჲ ყოველთა ცოცხალთა ჲ მკვდართათჳს, ჲ მათთჳს, რომელთათჳსცა ლოცვა თანა-მაძს, შეიწყნარე, უფალო, ლოცვანი ჩემნი, რომელსა მტერთა ჲ განმტანჯველთა ჩემთათჳსცა მნებავს ლოცვა ჲ შეყვარებ მათი პატიჳსა შენისათჳს, ვითარცა შენ შემიყვარე მე ცოდჳლი, საყვარელო უფალო ჲ მამაო ჩვენო. ამინ

გჳრგჳნი უწმიდესისა ცხო-ვრებისა, ვნებისა, და სიკვდილისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

ა. უფალო ჩემო იესო ქრისტევ, თაყვანის-გცემ შენ, ჭეშმარიტო ღმერთო განხორციელებულო, და ამისთჳს დიდის სიმდაბლით ერთი გიხაროდენი და ათი მამაო ჩვენო ვსთქვათ და ჰფიქროთ, პირველსა საიდუმლოსა ამასა ზედა:

ოდეს შენ დახსნისა ჩვენისათვის ყოვლად წმიდა ქალწულისაგან ბეთლემის ქალაქსა შინა იშობე, მწ-ყემსთა და მეფეთა თაყვანი-გცეს შენ, და მერვესა დღესა წინა-დაიცჳთე, იროდეს მიერ დევნული ეგჳპტეს წარგიყვანეს და ნაზარეთიდ უკუნ მოიქეც, ტაძარსა შინა მჯდომარე მოძღვართა ასწავებდი, მწუხარემან დედამან შენმან და შეწუხებულმან მამა იოსებმან, შემდგომად სამისა

დღისა დაკარგული მუნ გპოვეს.

ბ. უფალო ჩემო იესო ქრისტევ, თაყვანის-გცემ შენ ჭეშმარიტო ღმერთო განხორციელებულო, და ამისთჳს დიდის სიმდაბლით ერთა გიხაროდენ და ათი მამაო ჩვენო ვსთქვათ და ჳფიქროთ მეორესა საიდუმლოსა ამას-ზედა: შენი საკვირველი მორჩილება საყვარლისა დედისა შენის და წმიდისა მამისა იოსებისა-თანა; ოდეს ოცდა-ათის წლის ოდენი იქმენ, სახისა ჩვენისათჳს თაჳ მოიმდაბლე და წმიდა იოვანე ნათლის-მცემელისაგან იორდანეს წყალსა შინა ნათლის-ღება იკადრე; უდაბნოსა შინა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე იმარხვე, ეშმაკისა საცდურნი განაგდე, ესრეთ დიდებუ-

ღმან სრულიად ურიასტანი მოვლე ქადაგებითა და მრავალთა სასწაულთ-მოქმედებითა; უძლურთა შეწირვებულთა და ცოდჳლთა განკურნებდი, რათა დახსნა ჩვენი უფროს უადვილეს გექმნა.

ბ. უფალო ჩვენო იესო ქრისტე, თაყვანსა-გცემ შენ ჭეშმარიტო ღმერთო განხორციელებულო, და ამისთჳს დიდის სიმდაბლით ერთი გიხაროდენი და ათი მამაო ჩვენო ვსთქვათ და ჳფიქროთ მესამესა საიდუმლოსა ამასა ზედა: რაოდენ გზის ურწმუნოთა ურიათაგან დევნული და მოძულებული იქმენ, და მდაბლითა გულითა შენითა იუდასაც შენს მიმცემს ფერხნი დაბანე. შენი ცხოველი კორცი და სისხლი

უბოძე, გეთსამანის მტილსა შინა სისხლის ოფლი იდინე, მოწაფეთაგან შენთა დატოებული, ერისაგან შეპყრობილი ანას და კაიაფას სახლში წაყვანილი, გვემით შეგინებული იქმენ სიყვარულისა ჩვენისათჳს.

დ. უფალო ჩემო იესო ქრისტე, თაყვანის-გცემ შენ, ჭეშმარიტო ღმერთო განკორციელებულო, და ამისთჳს დიდის სიმდაბლით ორი გიხაროდენი და სამი მამაო ჩვენო ვსთქვათ და ვიფიქროთ მეოთხესა საიდუმლოსა ამასა ზედა: შენი სიმდაბლე და მოთმინება ოდეს ირ-ოდემ განგკიცხა, პილატემ შენი უმანკოება აღჳარა, და შემდგომად უწყალოდ შოლტითა გცა, ეკლით დაგაგჳრგჳნა სასიკვდინედ გაგასა-

მართლა, ორთა ავაზაკთა შორის ჯვარცმულსა გწყუროდა ძმარი და ნაღველა გასვეს, და შენ მტანჯველთა შენთათჳს ლოცულობდი: მამამან შენმან დაგიტევა შენ, და წინაშე თვალთა დედისა შენისათა თავ მიიდრიკე და სული განუტევე; ლახვრითა გვერდი განგიგმირეს; გვამი შენი საფლავსა შინა დასდვეს, და მესამესა დღესა აღსდეგ და დიდებული ეჩვენე განსახარებლად მართალ-მადიდებელთა.

სთქჳ აქ მო-ციქულთა აღჳარჭება
გინა პავლარა მჩწვამსი.

ღმერთო, გევედრები მოხედე ერსა შენსა ამას, რომლისათჳს უფალი ჩვენი იესო ქრისტე მიეცა ხვ-

ლთა ცოდჳლთასა ტანჯვად და ჯვარცმად.

უფალო შეისმინე ლოცჳსა ჩემისა. და ვედრებისა ჩემისა ყურად-იღე. აკურთხე გჳრგჳნი წელიწადისა სიტკბოებითა შენითა. და ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა.

## ვილოცოთ.

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისა ცხოველისაო, რომლის პატიჳსათჳს ცხოვრებისა შენისა გჳრგჳნის ლოცვა ესე შეგწირეთ შენ, ჰვედრებით ცხოვრება, ვნება, ჯვარი და სიკვდილი შენი დასდევ სამართლისა ჩვენისა შორის აწ და

ჟამსა სიკვდილისა ჩვენისასა, და მოგვანიჭე ჩვენ წმიდა მადლი შენი და წყალობა ცხოველთა, და მკვდართა განსვენება და შენდობა, ეკკლესიასა შენსა მშჳდობა და ერთობა. ჩვენ ცოდჳლთა ცხოვრება და საუკუნო დიდება, რომელი ცხოველ ხარ და სუფევ მამა ღმერთისა-თანა და სულისა წმიდისა-თანა ერთობით, ღმერთო უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## ლოცვა მანასე მეფისა.

უფალო ყოვლის-მპყრობელო უფალო ღმერთო მამათა ჩვენთაო, აბრაამისა, ისააკისა, და იაკობისაო, და ნათესაჳსა მათისა მართლისაო. ყოვლის-მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი. რომელმან შექმენ ცანი და ქვეყანა ყოვლითურთ სამკაულითა მათითა. ყოვლის-მპყრობელო უფალო, მომიტევენ ცოდვანი ჩემნი. რომელმან შეჰკარ ზღვაჲ სიტყჳთა ბრძანებისა შენისათა, რომელმან შეყრობილ-ჰყვენ უფსკრულნი და დაბეჭდენ საშინელითა მით დიდებულისა სახელითა შენითა. ყო-

ვლის მპყრობელო უფალო მომი-
ტევენ ცოდვანი ჩემნი.

რომლისაგან ყოველივე იშიშჳს ჲ
ძრწის პირისაგან ძლიერებისა შე-
ნისა. ყოვლის მპყრობელო უფა-
ლო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

გამოუთქმელ არს დიდ-მშვენიე-
რება დიდებისა შენისა ჲ მოუთმე-
ნელ არს ცოდჳლთა ზედა რისხვა
საშინელებისა შენისა, აღურაცხელ
ჲ გამოუკვლეველ არს მართალთა
ზედა წყალობა სიტკბოებისა შე-
ნისა. ყოვლის მპყრობელო უფა-
ლო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რამეთუ შენ უფალო ღმერთო მა-
რთალ ხარ, სახიერ, სულ გრძელ ჲ
მრავალ მოწყალე, რომელმან შეი-
ნანი ბოროტის ყოფა კაცთა ზედა,

ყოვლის მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რამეთუ შენ, უფალო ღმერთო, სიმრავლითა წყალობისა შენისათა, აღუთქუ სინანულით შენდობა შეცოდებულთა, სიმდიდრითა სახიერებისა შენისათა. ყოვლის მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რამეთუ შენ, უფალო ღმერთო ძალთაო, არა დასდევ სინანული მართალთათჳს, აბრაამ, ისაკ, და იაკობისათჳს, რომელთა არა შეგცოდეს შენ. ყოვლის-მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

არამედ დასდევ სინანული ჩემფერ ცოდჳლსა ზედა. რომელმან

ვსცოდე უფროს რიცხჳსა ზღჳსა ქჳშისა, და განმრავლდნენ უშჯულოებანი ჩემნი. ყოვლის-მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

არა ღირს ვარ მე აღხილვად და განცდად სიმაღლისა ცისა სიმრავლისაგან ბოროტთა ჩემთა. ყოვლის-მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

დალოსნებულ-ვარ მძიმითა საკრველითა რკინისათა ვერ აღებად თაჳსა ჩემისა, არა არს ლხინება ჩემდა. ყოვლის-მპყრობელო უფალო მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რამეთუ განვარისხე გულის წყრომა შენი, და ბოროტი შენს წინაშე ვჰყავ, არა ვჰქმენ ნება შენი, და არცა დაჳცევ მცნებანი შენნი.

ყოვლის-მპყრობელო უფალო,
მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

და აწ, უფალო, მოვჰდრეკ მუხ-
ლთა გულისა ჩემისათა, და ვითხოვ
შენ მიერ წყალობასა. ყოვლის-
მპყრობელო უფალო, მომიტევენ
ცოდვანი ჩემნი.

შეგცოდე, უფალო, შეგცოდე,
და უსჯულოებანი ჩემნი მე ვუწყი.
ყოვლის მპყრობელო უფალო,
მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

გევედრები და ვითხოვ შენგან მი-
ლხინე მე. უფალო, მილხინე მე
ცოდვილსა, და ნუ თანა-წარმწყმედ
მე უსჯულოებათა შინა ჩემთა. ყო-
ვლის მპყრობელო უფალო, მო-
მიტევენ ცოდვანი ჩემნი.

ნუ უკუკე რისხჳთ იხსენებ ბორო-

ტთა საქმეთა ჩემთა ჲ ნუმცა დამ-
სჯი მე ქვეშკნელთა ქვეყანისათა.
ყოვლის მპყრობელო უფალო,
მომიტევენ ცოდვანი ჩემნი,

რამეთუ, შენ ღმერთო, ღმერთი
მონანულთა ხარ, ჲ აწ ჩემზედაც
გამოაბრწყინე სახიერება შენი,
ყოვლის მპყრობელო უფალო,
მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რათა უღირსი ესე მაცხოვნო მე
მრავლითა მოწყალებითა შენითა.
ჲ გაქებდე შენ მარადის ყოველთა
დღეთა შინა ცხოვრებისა ჩემისათა,
ყოვლის მპყრობელო უფალო,
მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

რამეთუ შენ გიგალობენ ყოვე-
ლნი ძალნი ცათანი, ჲ შენი არს
დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ

დიდება მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა. ჳთარცა პირველად იყო აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ა მ ი ნ.

გევედრები და ჳთხოვ შენგან უფალო, მომიტევენ ცოდვანი ჩემნი.

მრავალ მოწყალეო უფალო, შემიწყალე მე, ღმერთო მილხინე მე ცოდჳლსა.

გამჩენო და სასოებაო ჩემო, მილხინე მე შემცოდეს მონასა შენსა და შემიწყალე მე მრავალ შემცოდე.

ყოვლად კურთხეულო წმიდაო და მარადის ქალწულო ღვთის-მშობელო მარიამ, მეოხ მეყავნ უფლისა მიმართ ჩემთჳს ცოდჳლსა.

ყოველნო წმიდანო უფლისანო,

მეოხ მეყავნ მამისა მიმართ ზეცი-
ერისა ჩვენ ცოდვილთათჳს .

ქრისტე ძეო ღვთისაო ძჳრის უხ-
სენებელო , შეიწყნარე ვედრებანი
ჩვენნი , რამეთუ შენზედ მონდო-
ბილ არიან სულნი ჩვენნი .

მძლეველი ძალითა წმიდითა და
ცხოველს-მყოფელი პატიოსანი
ჯვარითა შენითა , უფალო , დაგჳ-
ცევ ჩვენ .

მოავლინე , უფალო , ანგელოზი
შენი მშჳდობისა , რომელი მოჳ-
დეს და დაგჳცვას ჩვენ უშიშრად
დღე და ღამე .

და კაცთა მოყვარებითა შენითა
მოგჳხსენიე ჩვენ , უფალო , რა-
ჟამს მოხჳდე სუფევითა შენითა , და
შეგჳწყალენ ჩვენ . ამინ .

მოსრულნი აღსარებად სინანუ-
ლით, სარწმუნოებით და სასოებით
მხოლოდ შობილისა ძისა ღვთი-
სათანა, დავსდვათ გულსა შინა ჩვე-
ნთა თხოვნითა მისგან ლხინებსა და
მოტევებსა ბრალთა ჩვენთა. ამი-
სთჳს, რამეთუ იგი თავადი არს წი-
ნა გამგებელი ღმერთი საუკუნო,
რომელი მოჳდა ნებითა მამისათა
დასახსნელად შექმნულთა, და ბრძა-
ნა, თავადი ყოვლად მლხინებელი
ცოდჳლთა, სასოება შემნანებელ-
თა, მიმადლებით განსვენება მაშუ-
რალთა, შეწყნარებითა ტჳრთ მძი-
მეთა და შეიწროებულთა, და სინა-
ნულად ლხინებისა. აწ მოვედით
ყოველნი მდაბალნი სულითა და შე-
მუსვრილნი გულითა, დავარდეთ და



527 A. Pickel sc.
Benziger frères, Éditeurs, à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Qui prend Jésus pour son partage
Reçoit de son amour un gage.

ვსტიროდეთ წინაშე უფლისა გამჩენისა ჩვენისა, რათა გარდაროჯნოს წყრომა რისხვა ბრალთა ჩვენთა სახიერებითა თჳსითა. ყოვლისმპყრობელო უფალო ღმერთო, გვაცხოვნე და შეგჳწყალენ ჩვენ. ამინ.

რავდენიმე სულთქმითნი ლოცვანი გინა სურჳლით მოკლე ვედრებანი დრო-დამ დრო-ზედ სათქმელნი თჳთო-ეულად განმავლობასა შინა დღისასა.

მრწამხარ უფალო, გესავ და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან.

იესოვ ჩემო, შენ მხოლოდი სა-

კმარ ხარ ჩემთჳს.

იესოვ საყვარელო ჩემო, ნუ მი-ტევებ მე განყრად შენგან.

სხვა რაღა შეჳყვარო, თუ შენ არ შეჳიყვარებ იესოვ.

აჰა მონა შენი უფალო, ჰყავ ჩე-მთანა ყოველი იგი რაჲცა და ჳთა-რცა სათნო გეყოფის შენ.

მომეც მე უფალო სიყვარული შენი, და გამძლეობა შენს მადლში.

საუკუნო მამაო, სიყვარულისა-თჳს იესოსი შემიწყალე მე.

ღმერთო ჩემო შენ მხოლოდ მი-ნდიხარ მე, და სხვა არა რაჲ.

შენს მიახურებაში მნებავს გატა-რება დანაშთი ცხოვრებისა ჩემისა.

მნებავს უფალო, ის მხოლოდი და იგი ყოველი რაჲცა შენ გნებავს.

ვჰსწუხვარ ფრიად უფალო, შე-წყენისა შენისათჳს.

მნებავს უმეტესად სიკვდილი, ჯ-რემცდა კვალად შეწყენა შენი უფა-ლო.

შენ სრულიად მოგინიჭებია ჩე-მთჳს თავი შენი, იესოვ, მეც სრუ-ლიად მოგიძღვნი შენ თავსა ჩემსა.

მაცნობე მე უფალო, უკიდურესი და უმწვერვალესი სახიერება და კე-თილობა ეგე შენი, რათა შევიყვა-რო შენ ფრიად.

უფალო ფრიად მიხარის რომ ხარ შენ ეგრედი განუზომელი კეთი-ლი, და ეგრედ გამოუთქმელად ნე-ტარელი.

რადგან ყოვლის შემძლე ხარ უფალო, ზეშედრები გამხადო მე

წმიდა .

მიყვარხარ შენ, იესოვ, და მიყვარხარ შენ ყოვლითა გულითა ჩემითა, და უფროს ყოვლისა რაჲმისაგან.

მირჩევნია, უფრო გასმო და გასისამოვნო შენ უფალო, ჯრემც თუ მიჯდო ყოველი გემოთ მოყვა რება ამის სოფლისა.

ნეტამც შეჯძლებდე უფალო რომ, შეგაყვარო შენ ყოველას ეგრედ, ჯთარცადა ღირსი ხარ შენ შეყვარებისა.

ჵი მარიამ დედაო ჩემო, დამაგავშირე მე ღვთის სიყვარულითა ყოვლითურთ.

ჵი მარიამ, ჰყავ, რათა გხადჯდე შენ მე მარადის.

შენგან მოგელი მე ჩემს წმიდად გახდენასა.

იესოვ, მარიამ, და იოსებ, შემიწყალეთ, და შემეწიეთ მე მარადის.

ღმერთო შეწევნასა ჩემსა მოხედენ, უფალო შეწევნად ჩემდა ისწრაფე.

გლახაკი და დავრდომილი ვარი მე, ღმერთო შემეწიე მე.

შემწე და მხსნელი ჩემი ხარ შენ, უფალო ნუ ჰყოვნი.

გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან, და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღხოცენ.

გული წმიდა დაჰბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლენ გვამსა ჩემსა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან, და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისა, და სულითა მთავრობისათა დამამტკიცე მე.

მასწავე მე რათა ვჰყო ნება შენი.

სული შენი სახიერი მიძღოდეს მე ქვეყანასა წრფელსა.

მსთვად შეისმინე ჩემი უფალო, რამეთუ მოაკლდა სულსა ჩემსა.

უფალო ნუ გულის წყრომითა შენითა მამხილებ მე, ნურცა რისხჳთა შენითა მსწავლი მე.

შენ გესავ უფალო, არა შევრცხვე უკუნისამდე.

ნუ გარე მიაქცევ პირსა შენსა ჩემგან, და ნუ დამიტევებ მე.

მომეც ნათელი, და წმიდა შიში შენი.

არა ცოდვათა ჩვენთაებრ მიყო ჩვენ, და არცა უსჯულოებათაებრ ჩვენთა მომაგო ჩვენ.

შენს სადიდებლად იყოს, უფალო, მარადის ყოველი ზრახვა, სიტყვა, და საქმე ჩემი.

წმიდაო მარიამ ღვთის-მშობელო, შემეწიე მე მარადის, და მეტადრე ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა.

## ლოცვა ხუთთა წყლულთა მიმა-რთ იესო ქრისტესთა.

სიმშჳდითა სულისა ჩემისათა და-ვრდომილი ქვეშე უწმიდესთა ფე-რხთა შენთა, ჵი კეთილო იესოვ! ვედრებით გთხოვ შენგან შემსჭვა-ლნე გულსა შინა ჩემსა ხუთნი ესე სათნოებანი: სარწმუნოება, იმე-დი, სიყვარული, სინანული, და მტკიცე პირობა, რათა არასოდეს შეგცოდო შენ, წინააღმდეგ შენთა ღვთიულთა ბრძანებათა.

## წყლულისსა მიმართ მარჯვენა ჴე-ლისა იესო ქრისტესისა.

მამაო ჩვე, გიხაროდენ, დიდება.

გევედრები შენ სულისა ჩემისა სავსე წადიერებითა, ჵი კეთილო იესოვ! მომანიჭე მე, მარჯვენა ხელისა შენის წყლულისა შეამდგომლობითა, სიმტკიცე სარწმუნოებისა. რამეთუ აჰა ესერა აღვითქვამ, რომელ მადლითა შენითა ჳრწმუნო მტკიცედ მუდამ ყოველნი წევრნი კათოლიკეწმიდა სარწმუნოებისანი და მზათცა ვარ იმავე სარწმუნოებისათჳს დაღვრად სისხლისა ჩემისა; რამეთუ ვშობილვარ უწმიდესსა სარწმუნოებასა ამას შინა, აღზრდილ-ვარ და ამაშივე მნებავს სიკვდილი.

### წყლულისა მიმართ მარცხენა ხელისა იესო ქრისტესისა.

მამაო ჩვენ, გიხარო, დიდება.

შეამდგომლობითა უწმიდესი მარცხენა ხელისა შენისა წყლულისათა, გევედრები შენ, ჵი სახიერო იესოვ! განამტკიცე სასოება ცხოვრებისა ჩემისა შენდამი დამტკიცებულისა. კურთხეულ იყოს კეთილ სახიერება ეგე შენი, რომელი მარადის მამხნევებს მე, რათა შევჰწყნარო მოტევება ცოდვათა ჩემთა. არასოდეს დავსცხრები მოთხრობისაგან წყალობათა შენთა; რამეთუ განმბანე მე სისხლითა შენითა პატიოსნითა, და მიეც თავი შენი სიკვდილად სიყვარულისა ჩემისათჳს. აწ მომეც მე იმედი სრული, რათა შენ მხოლოსა შე-

გავედრებდე თავსა ჩემსა .

წყლულისა მიმართ მარჯვენა ფე-
რხისა იესო ქრისტესისა .
მამაო ჩვე , გიხარო , დიდება .

შუამდგომლობითა უწმიდესისა მარჯვენა ფერხისა შენისა დაწყ-ლულებულისა , ჵი სახიერო იე-სოვ ! განმაწრფელე მე გზასა ზე-და ღვთიური სიყვარულისა შენი-სასა ; რამეთუ მნებავს შეყვარება შენი ჯდრე უკუნისამდე , არა მხო-ლოდ სახიერებისა მისთჳს , რომე-ლიც ჰყავ ჩემდა , არამედ ღირსეუ-ლობისა შენისათჳს , რამეთუ შენ ჰსთქჳ « რომელსა უყვარ მე , მა-მამანცა ჩემმან შეიყვაროს იგი . »

### წყლულისა მიმართ მარცხენა ფერხისა იესო ქრისტესისა.

მამაო, ჩვენ, გიხარო, დიდება.

შეამდგომლობითა მარცხენა ფერხისა შენისა დაწყლულებულისა, ჵ სახიერო იესოვ! მომმადლე მე სინანული ცოდვათა ჩემთა. ვაჲ მე უბადრუკსა! ნეტამც არაოდეს უგუნურ ქმნილ ვყავ წინაშე შენსა! ხოლო შენ, ჵ უფალო ჩემო, შურის არა მძიებელო, მომეც მე ცრემლნი მეზვერისა და სინანული მეძაჳსა მის, რათამცა ვსტიროდე დღე და ღამე უბადრუკებისა ჩემისათვის.

## წყლულისა მიმართ უწმიდესი გვერდისა იესო ქრისტესი.

მამაო ჩვე, გიხარო, დიდება.

აწ სადა ვჰპოვო მყუდროება გონებისა ჩემისა, თუ არ წყლულსა შინა უწმიდესის გვერდისა შენისასა, ჰოი სახიერო იესოვ! თუმცა აქამომდე უკუ ვსდეგ მცნებათა წმიდათა შენთაგან, აწ მოვიქცევი შენდამი ვითარცა უძღები შვილი, და პირობასა ვსდებ, ამიერიდგან ვივლტოდე ცოდვათაგან და ვიქმოდე სიმართლესა; მაშასადამე მომეც მე სულგრძელობა ეგე შენი, რომელმანც დაითმინე ჩემთვის ჯვარსა ზედა.

## მხურვალებაჲ შჳდთა მწუხარებათა მიმართ ყოვლად წმიდისა ქალწულისა მარიამისა.

თაყუანის გცემ შენ, უფალო ჩემო იესო ქრისტევ! და გევედრები შენ მოხსენებითა მახჳლისა მის ალლესილისა, რომელმანცა განვლო გულსა შინა ყოვლად წმიდისა დედისა შენისა ქალწულის მარიამისასა, რაჟამს გამოეცხადა მას მოხუცებულის სჳმონის მიერ მძიმე სატანჯველნი შენნი და სიკვდილი შენი მწარე, რათა დირს მყო მოპოვებად სრულის ცნობისა და ჭეშმარიტი საკანუნოჲსა, ჩემთა გარდახდომათათჳს.

მამაო ჩვენ, გიხარო, დიდება,

მეორისა მწუხარებისა მიმართ.

თაყვანისა გცემ შენ, უფალო ჩემო იესო ქრისტევ! და გევედრები შენ შუამდგომლობითა მწუხარებისა რომელიც იტჳრთა დედამან შენმან ყოვლად კურთხეულმან, რაჟამს უწყებითა ანგელოზისათა განიჳლტენით იროდეს დევნულებისაგან, და წმიდა იოსების თჳსისა უწმიდესისა სიძისათანა წარგიყვანა შენ დედამან შენმან ეგჳპტედ და თავს იდვა დიდნი მწუხარებანი გზასა ზედა, რათა ღირს მყო და მიბოძო შეწევნა წინააღმდეგ საცდურისა, და მოვარველობა წინაშე განხეთქილობისა და საცდურისა მტრისა მის ჯოჯოხეთისასა

მამაო ჩვენ, გიხარო, დიდება.

## მესამისა წუხჳლისა მიმართ.

თაყვანსა გცამ შენ, უფალო ჩემო იესო ქრისტევ! და გევედრები შენ შუამდგომლობითა წუხჳლისა მის, რომელი იტჳრთა კურთხეულმან დედამან შენმან, ჟამსა მას რომელსა შინა ჳთარცა დაკარგულად გგონებდა შენ, ოდესაც გპოვა შენ ტაძარსა შინა. რომელი ასწავლიდი მოძღვართა და მეცნიერთა, ღირს მყავ მონიჭებად სრულისა მოტევებისა ყოველთა ცოდვათა ჩემთათა. და განჰსწმიდევ სული ჩემი შენის ღვთაებრიჳს მადლითა.

მამაო ჩვენ, გიხარო, დიდება.

მეოთხე წუხვილისა მიმართ.

თაყუანის გცემ შენ, უფალო ჩემო იესო ქრისტევ! და გევედრები შენ შეამდგომლობითა უდიდესისა წუხვილისა მის, რომელი შეიწყნარა ყოვლად წმიდამან დედამან შენმან, რაჟამს განუცხადეს მას მწარე შესმენა იგი, ჳთარმედ გარემოადგეს შენ მომქმედნი უსჯულოებისანი ურწმუნონი იუდიანნი, შეიპყრეს, შეგკრეს, ძლიერად გვემეს, და ეკლით გჳრგჳნოსან ჰყვეს შენ, ისათნოე მოცემად ჩემდა მადლი მონებისა შენდა მომართ, სიწმიდით, სიმდაბლით, და

სულგრძელობითი ჳდრე აღსასრულადმდე .

მამაო ჩვენ , გიხარო , დიდება .

მეხუთისა წყლულისა მიმართ .

თაყვანის გცემ , უფალო ჩემო იესო ქრისტევ ! და გევედრები შენ მეოხებითა წყლულისა მის მწარისათა , რომელი იტჳრთა ყოვლად წმიდამან დედამან შენმან ჟამსა მას , ოდეს გიხილა შენ აღტჳრთულ მხართა ზედა შენთა წმიდა ძელის ჯვრითა , რომელიც აღგექონდა მთასა გოლგოთისასა , ისათნოე მონიჭებად ჩემდა ჭეშმარიტი სინანული , და მწუხარებასა შინა ჩემსა ღვთაებრივსა დიდებულებასა

შენსა ვავედრო თავი ჩემი ცოდვა-თა ჩემთა გარდახდად.

მამაო. ჩვენ. გიხარო. დიდება:

შეექვსისა წუხჳლისა მიმართ.

თაყვანსა გცემ შენ, უფალო ჩე-მო იესო ქრისტევ! და გევედრები შენ შეამდგომლობითა მძაფრთა წუხჳლთა მათ, რომელნიც იტჳრ-თა ყოვლად წმიდამან და მტკივნე-ულმან დედამან შენმან, რაჟამს გიხილა შენ დიდთა სატანჯველთა მიერ დამსჭვალული ძელის ჯვარ-ზედა, მკვეთრთა სამსჭვალთა მი-ერ უწმიდესნი ჴელნი და ფერკნი შენნი იყვნენ გალურჯებულ და ზე ხლმატებულ სახილველ ყოვლისა

სოფლისა, ისაითნოე მოცემად ჩუ-
ენდა მადლი შენი, რომლითა შე-
ვძლოთ უწინარეს სიკვდილისა ჩუ-
ენისა მიღებად მხურვალედ ღირ-
სეულად და სიწმიდით უწმიდესი და
პატიოსანი ჴორცი და სისხლი შენი
და მიცვალებულ ჰქმნე ერთგულო-
ბასა შინა მკლავთა შენთა ზედა.
მამაო ჩვენ. გიხრო. დიდება.

მეშჳდე წყლულისა მიმართ.

თაყუანისა გცემ შენ, უფალო ჩუ-
ენო იესო ქრისტე! და გევედრები
შუამდგომლობითა მძიმე წყლული-
სა მის, რომელიც იტჳრთა ყოვლად
წმიდამან დედამან შენმან მწუხარე-
მან, რაჟამს გიხილა შენ მკვდარი და

დაფლული და სრულიად მოწყლული და ფერ-მიხდილი, ისათნოე დასასრულსა ცხოვრებისა ჩემისასა ნუგეშინის-ცემად ჩემდა მადლითა შენითა და მომეც მე მკჳდრობა შენთანა შემდგომად სიკვდილისა ჩემისა დიდებასა შენსა შინა საუკუნოსა.

მამაო ჩვენ. გიხარო. დიდება.

## ლოცვა.

ჵი ყოვლად წმიდაო ქალწულო! ჵი დედაო მოწყალებისაო და სასოებაო ჩვენ, საწყალობელთ ცოდჳლთაო! გევედრები შენ, იმ მწუხარებათა შენთა მიერ, რომელთაგამო შეძლებისაებრ ჩემისა წადილით შეგჳსწირნე შენდა ჴმოდ

აღწერილნი ლოცვანი, ისათნოე თხოვნად ჩემთჳს საყვარლისა ძისა შენისაგან ჭეშმარიტი სინანული ცოდვათა ჩემთა ზედა მუდამ და დაშთომა მისსა წმიდასა მსახურებასა შინა სადიდებლად უფლისა ღვთისა კურთხეულისა უკუნითი უკუნისამდე.

მხურვალებაჲ შჳდთა სიხარულთა მიმართ, რომლითა დასტკბების დედოფალი ჩვენი ცათა შინა.

განიხარე, ჵი სძალო უბიწოო სულისა წმიდისაო! სიხარულითა მით, რომელიც გაქვს აწ სასუფეველსა შინა, რამეთუ შენის ჭეშმარიტის სიწმიდით და ქალწულობით ზე

ამაღლდი უფროს ყოველთა ანგე-ლოზთა და უზეშთაეს ყოველთა წმიდანთა. აქ ერთი გიხარო. სთქჳ.

მეორე სიხარულისა მიმართ.

განიხარე, ჰოი ჭეშმარიტო დედაო ღმრთისაო! სიხარულითა მით, რომლითაცა გიხარის სასუფეველსა შინა, რამეთუ ჳთარცა აქ მზე ყოველსა ქვეყანასა განანათლებს, აგრეთვე შენ ბრწყინვალებითა შენითა ნათელ-ჰყოფ და განამშვენებ სრულიად სასუფეველსა.

აქ ერთი გიხაროდენი სთქვი.

მესამისა სიხარულისა მიმართ.

გიხაროდენ, ჵი ჭეშმარიტო სა-ყდარო ღვთისაო! სიხარულითა მით, რომლითაცა გიხარის სასუფეველსა შინა, რამეთუ ყოველნი მღვდელთ-მოძღვარნი, ანგელოზნი და მთა-ვარ-ანგელოზნი, საყდრობანი, და უფლებანი და ყოველნი სულნი ნე-ტარებულთანი პატივსა-გცემენ შენ და გიცნობენ დედად მაცხოვრისა მა-თისა, ჰმორჩილებენ ყოველთა ბრძანებათა შენთა.

აქ ერთი გიხაროდენი სთქვ.

შეოთხისა სიხარულისა მიმართ.

განიხარე ჵი მხევალო ყოვლად წმიდის სამებისაო! სიხარულითა მით, რომლითაცა გიხარის სასუ-

ფეველსა შინა, რამეთუ ყოველთა მადლთა, რომელთაც ითხოვ შენის უტკბილესის და უმორჩილესის ძისაგან, მყის მოგემადლებიან შენ; და აგრეთვე ჳთარცა იტყჳს წმიდა ბერნარდე: « ვერჳს ძალ-უძს ქვეყანასა ზედა მოგება მადლისა, უკეთუ უწინარეს არა განვლოს ჴელსა შინა შენსა » და თჳნიერ შენსა არაჳს ძალ-უძს მოღებად უმცირესის მადლისაცა.

აქ ერთი გიხარო-დენი ჰსთქჳ.

### მეხუთისა სიხარულისა მიმართ.

განიხარე ჵი დედუფალო წმიდაო! სიხარულითა მით რომლითაცა გიხარის სასუფეველსა შინა, რა-

მეთუ შენ მხოლოდ გამდიდრებულ იქმენ მიღებითა ესოდენ ღირსეულობათა შორის ყოველთა ნეტარელთა, რომელნიც არიან ცათა შინა, და ჰგიებ ახლოს წმიდისა სამებისა უფროს ყოველთა წმიდანთა.

აქ ერთი გიხაროდენი ჰსთქ.

მეექვსისა სიხარულისა მიმართ.

განიხარე, ჰოი სასოებაო ცოდვილთა და შესავედრებელო შეჭირვებულთაო! სიხარულითა მით, რომლითაცა გიხარის სასუფეველსა შინა, რამეთუ ყოველნი მონანი შენნი მხურვალენი, რომელნიც გადიდებენ და აღგამაღლებენ შენ ამ

ქვეყანასა ზედა, მიიღებენ წმიდა-
სა მადლსა მამისაგან ყოვლის მპ-
ყრობელისა, და მერმესა მას წმიდა-
სა დიდებასაცა სასუფეველისასა.
აქ ერთი გიხაროდენი ჰსთქჳ.

მეშჳდისა სიხარულისა მიმართ.

გიხაროდენ შენ დედაო ასულო და
სძალო ღვთისაო! რამეთუ ყოვლი-
თა მადლითა და მხიარულებითა,
რომლითა აწ ჰხარობ სასუფევე-
ლსა შინა, არაოდეს მოგაკლდები-
ან, არამედ უფროს, და უმეტეს მო-
გემატებიან ბრწყინვალებანი ჳდ-
რე უკანასკნელ დღედმდე და დაგშ-
თებიან უკუნითი უკუნისამდე.
ამინ,

დიდი მრწამსი.

მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა, და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდ შობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა, ღმერთი ღვთისაგან ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი, და არა ქმნილი, თანა არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, რომელი ჩვენთჳს კაცთათჳს, და ჩვენისა ცხოვრებისათჳს, გარდამოხდა ზეცით, და ჴორცნი

შე ისხნა სულისაგან წმიდისა, და მა-
რიამისაგან ქალწულისა, განკაცდა.
და ჯვარს ეცვა ჩვენ-თჳს პონტიე-
ლისა პილატეს ზე, და ივნო, და და-
ეფლა, და აღსდგა მესამესა დღესა,
მსგავსად წერილისა. და ამაღლდა
ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვე-
ნითმამისა, და კვალად მომავალ-არს
დიდებით განსჯად ცხოველთა და
მკვდართა, რომლისა სუფევჳსა არა
არს დასასრულ. და სული წმიდა,
უფალი, და ცხოველს მყოფელი რო-
მელი მამისაგან და ძისაგან გამოვ-
ალს, მამისა-თანა და ძისა-თანა თა-
ყვანის იცემების და იდიდების, რო-
მელი იტყოდა წინასწარ-მეტყველ-
თა მიერ. ერთი წმიდა, კათოლიკე,
და სამოციქულო ეკკლესია. აღჳა-

რებ ერთსა ნათლის-ღებასა, მოსა-
ტევებელად ცოდვათა. მოველი აღ-
დგომასა მკვდრეთით: და ცხოვრე-
ბასა მერმისა მის საუკუნესასა ამინ.

## სულის ანდერძი.

ღმერთო ჩემო, თუმც კი მტკიცედ
ჳცი უნდა მოვჰკვდე, მაგრამ რად-
გან არ ჳცი თუ როდის, ამისთჳს
მინდა ახლავე დავემზადო იმ დღი-
სათჳს და ვქმნა ეს სულის ანდერძიც.
ა. მრწამს უფვალო მტკიცედ სა-
იდუმლო ყოვლად წმიდა სამებისა
მამა, ძე, და სული წმიდა, თუმც კი
სამი გვამი, მაგრამ ერთი მხოლო-
დი ღმერთი, რომელი მისცემს მუ-
დამ მართალთა სასუფეველსა და



A. Müller pinx. 329 A. Pfeiffer sc.

Benziger frères, Editeurs, à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Donnez, Seigneur, à tout jamais
Aux morts, le repos et la paix.

ცოდჳლთა ჯოჯოხეთისა; მრწამს რომ მეორე გვამი, ჳთამც ძე ღჳთისა, რომელიც არის უფალი ჩვენი იესო ქრისტე განხორციელდა, იგნო ჲ მოკვდა დახსნისა ჩვენისათჳს. ამათ გარდა მრწამს კვალად ყოველი იგი რაჲცა ჰრწამს წმიდა ეკკლესიასა, რადგან შენ გამოგიცხადებია მისდამი ყოველი იგი, ღმერთო, რომელი არ მოატყუებ ჲ არც მოსტყუვდები: ჲ ამის გამო უფრო მტკიცენი არიან ყოველნი იგინი, ჳრემც თუ იგინი რაჲსაც თვალით ვჰხედავ ჲ რასაც ხელს შევახებ.

ბ. თუმც კი ღირსი ვარ მე ჯოჯოხეთისა, მაგრამ იმედი მაქვს განუზომელი მოწყალებისა შენისაგან უფალო, რომ ნაყოფისათჳს ქრი-

ხტეს ვნებისა, მომანიჭებ მე მო-
ტევებასა ცოდვათა ჩემთასა, კეთი-
ლის სიცოცხლეში განმძლეობასა და
ბოლოს დიდებასა სასუფეველისასა

გ. მიყვარხარ შენ უფალო, უფ-
როს ყოვლისა რაჲმისაგან, რად-
გან ხარ დაუსრულებელი კეთილი,
და რადგან მიყუარ ხარ, ამისთვის
ვსწუხვარ და ვნანულობ ფრიად და
გულით ყოველს ჩემს ცოდვებზედ
შეწყენისა შენისათჳს, ვსდებ მტ-
კიცე პირობასაც ამიერით ჳრჩიო-
უმჯობრო სიკუდილი და ყოველი ზია-
ნი, ჳრემცდა შეცოდება შენი მად-
ლითა შენითა.

დ. გმადლობ, იესო, ჩემო, იმ
ყოველი წყალობისათჳს, რომელ-
საც მომანიჭებია ჩემთჳს და უფ-

როსი ერთი მისთჳს რომ დაგიხსნივარ მე ვნებითა შენითა.

ე. ჳსაც კი შეუწყენივარ მე, მიტევებისა გულით ყოველსათჳს სიყვარულისა შენისათჳს, იესოვ, ჲ გევედრები, მიანიჭე მათ კეთილი შენი. ჲ ჳსთჳსაც მე შემიწყენია ჲ ანუ რაიმე სახით შემიწუხებია იგინი, სიმდაბლით ვთხოულობ ყველასაგან ბოდიშსა ჲ მოტევებასა.

ვ. ვნატრობ ჩემს სიცოცხლეში თუ სიკვდილის ჟამს მიღებასა წმიდა საიდუმლოებისა განდობისა, ზიარებისა, ჲ ბოლოს ზეთის ცხებისასა".

ზ. ვწყნარულობ ნებიერად უთვალო ყოველს შეწუხებასა, სნეულობასა, ჲ თჳთ იმავე სიკვდილ-

საცა, რომელთაცა შამივლენს მე ხელი შენი. უფალო, განაგე ჩემზედ და ყოველს ჩემს რაჟმებზედ მარადის ეგრედ, ვითარცა სათნო გეყოფის შენ, ოდონდა მომეც მე სიყვარული შენი და უცოდვო სიცოცხლეში მარად გამძლეობა და მეტს არა რაჟსა გთხოვ უფალო.

ტ. მარიამ დედაო ჩემო, შემეწიე მე მარადის, და მეტადრე ჟამსა სიკვდილისა ჩემისასა. შემეწიე ამაზედაც რათა ვცოცხლო მარადის ღვთის მადლში. შენ ხარ იმედი ჩემი, წმიდაო ღვთის მშობელო, და შენი მფარველობის ქვეშ მნებავს მე სიცოცხლე და სიკვდილიცა. წმიდაო იოსებ, წმიდაო მიქაელ მთავარ ანგელოზო, ჩემო

მფარველო ანგელოზო, შემეწიეთ მე მ̃უდამ და უფროსი ერთი ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისასა.

თ. და შენ, ქ̃ი საყვარელო ჩემო იესოვ, რომელმანც თავზედ აიღე იმფერი მწარე სიკვდილი ჯვარზედ, იმისთჳს რათა რო̃მ მღირსებოდა მე კეთილი სიკვდილი შენს მადლ-ში, ნუ დამიტევებ მე იმ საშინელს წამსა სიკვდილისა ჩემისასა. აგერ ახლავე მოგემთხვევჳ შენ სინანული-თა და სურჯლითა, იმ ჴაზრით რო-გორც თუ გემთხვეოდე შენ სიკ-ვდილის წამსა. თუმცა ღირსი ვარ მე ჯოჯოხეთისა, მაგრამ მოვან-დობ თავსა ჩემსა შენს განუზომე-ლს მოწყალებასა, და იმედი მაქვს შენი დაუფასებელი სისხლის ღირ-

სეულობისაგან, რომ მეღირსება მე სიკვდილი შენს მეგობრობაში, და მივღებ შენგან კურთხევას, იმ წამსა როდისაც რომ პირველ-გზის გიხილავ შენ ჩემს მსაჯულად საცალკეო სამართალშიდ. ჩემის სიყვარულისათვის დაკოდილს მაგ შენს ხელშიდ გავედრებ ჩემს სულ-სა ახლაც და სიკვდილის წამსაცა. შენ გესავ უფალო, არ ჰქმნა მაშინ დასჯილი საჯოჯოხეთოდ. « შენ გესავ, უფალო არ შევრცხვე უკუ-ნისამდე. » ამისთვის შემეწიე, უფა-ლო, მუდამ, მაგრამ უფროსი ერ-თი ჟამსა მას სიკვდილისა ჩემისა-სა. შემეწიე რათა დავლიო მე სუ-ლი შენს სიყვარულში, ეგრედ რომ ბოლო ამოსუნთქვა ჩემი იქმნას

საქმე სიყვარულისა შენისა, რომე-
ლმან გარდამიყვანოს მე სააქაოდ-
გან საიქაოს შესაყვარებლად შენი
უკუნისამდე სასუფეველსა შინა.

ო, იესოვ, მარიამ, და მამა იოს-
ებ, შემეწიეთ მე ჟამსა სულთ ამამს-
ვალობისა ჩემისასა. იესოვ, მარი-
ამ, და მამა იოსებ, თქვენ გწირავ
თავსა ჩემსა, თქვენ შეივედრიეთ
სიკვდილის წამსა სული ჩემი.

აჰა რაც ამ სულის ანდერძშიდ გა-
მოვაცხადე, ეს არის ბოლო ნება
ჩემი, და ჩემის სრულის ნებით მი-
ნდა რომ ყოველივეცა ეგრედ აღს-
რულდეს ვითარცა ვსთქვ აქ. და თუ
სხვა ნაირად ვქმოდე რამეს (რომ
ღმერთმა ნუ ჰქმნას.) ან სნეულო-
ბის მიზეზით და ანუ ეშმაკის მო-

ტყჳლებით, ასლა რომ ღვთის მოწყალებით სრულს ჭკუვაზედ ჳმოები, ვაცხადებ და ვამტკიცებ რომ იმისთანა რამეზედ მე არა ვარ თანახმა არაოდეს, და არ მნებავს არა რაჲ რაჲც ამ სულის ანდერძის, და ღვთის წინაღმდეგი იქმნება, რომლისაგან გევედრები ღმერთსა დამიფაროს მარადის და არ აიღოს ხელი თჳსი ჩემგან.

კეთილი სიკვდილის ღირსად გახდენისათჳს ყოველ დღივ სათქმელი ლოცვა.

უფალო ჩემო იესო ქრისტევ, პატიჳსათჳს იმ სიმწარისა, რომელიცა დაითმინა ყოვლად წმიდა

სულმან შენმან ჟამსა გამოსვლისა
კურთხეული ჴორცისა თჳსისაგან,
შეიწყალე ცოდჳლი სული ესე ჩემი
ჟამსა მას ოდეს იწყებს იგი გამო-
სვლასა ჴორცისა ჩემისაგან. ამინ.

### ხშირად მოსაგონნი და დასაფიქ-რებელნი საგანნი.

მოკლეა კაცის სიცოცხლე, და მტ-
კიცე რომ უნდა მოვჰკვდე.
მაგრამ არ ვიცი თუ როდის, და
რომელს წამს უნდა მოვკვდე.
ერთი სული მაქვს მხოლოდი,
რომელიცა თუ დავჰკარგე,
უნდა ვყო დაღუპული მარად და
უკუნისამდე.
ღმერთი მხედავს მე ყოველთვის,

ჵ ისვე გამასამართლების,
ან ცხონება ან წარწყმედა უთუოდ
წილად უნდა მხვდეს.
თუ ახლა არ გავეცდები, ცხონებისთჳს არ ჳშრომობ,
ბოლოს დრო არღარ მექმნება,
სულს წამალს ვერღარ დავადებ.
სოფელი მალე გაივლის, გათავდება სწრაფად ყოველა,
ჵ საუკუნოება კი არა ოდეს დასრულდება.
თუ ამათ მუდამ ჳფიქრებ, სიკვდილისთჳს მოვემზადდები,
ცოდვათაგან შორს დადგომით,
ნეტარელი შეჳქმნები.



Mon Dieu, que j'ai souffert,
quand j'etais loin de vous!

Benziger & Cie Editeurs à Einsiedeln en Suisse. Déposé.

## აღსარების თქმისათჳს განმზადებანი

ჩხრევაზე უწინ დიდის სიმდაბლით ითხოვე მადლი და ნათელი ღვთისაგან.

ლოცვა ჩხრევის უწინ სათქმელი.

შერცხვენილი და პირშავ წარმოვსდგები აწ წინაშე შენსა უფალო, და ღმერთო ჩემო, რომელი ხარ მართლმსაჯულებით გამრისხველი ყოველთა ცოდვილთა, მოწადინებული ვარ ჭეშმარიტის გულითა, რათა დავამშჳდო ჩემის ცოდვებისაგან განრისხებული გული შენი, და შეგირიგდე შენ, რადგან ამისთანა უღირსად და მოუსვენებლად ცხოვ-

რებსა არღარ შეუძლია ჩემს სულს; გულის ტანჯვაცა ჩემი უწყვეტლივ და ყოველს წამს მჩხვლეტს მე ეგრედ, ჳდრედა იმისი სამუდამო ყვედრებისათჳსაც ვეღარ გამიძლია უფალო. ოჰ თუ რაოდნად საბრალო და უბედურია ის კაცი, რომელიც მოძულებულია ღვთისაგან! . . . მაშ აბა ჰოი სულო ჩემო, გამოჳდეთ აწ ამ მოუსვენებელი და საბრალო მდგომარეობისაგან, შეურიგდეთ ღმერთსა და მოჳპოვნოთ ის ჩვენი უწინდელი უძჳრ ფასესი მშჳდობა გულის ტანჯჳსა. გარნა ჰოი ღმერთო განუზომელისა სახიერებისა და მოწყალებისაო, უშენოდ როგორ შეჳძლებ მე ამ საუნჯის შეძენასა სულისა ჩემისათჳს?

რადგან ვაჲ მე, თუმც კი უშენოდ შეჳძელი მე უბედრმა შეწყენა შენი ცოდჳთა . . . მაგრამ აწ კი უშენოდ ვეღარ შეჳძლებ მე მოქცევასა ჩემ-სა და მოძულებასა ცოდვათა ჩემთა-სა; ამისთჳს ჵი ღმერთო სულისა ჩემისაო. მარტო შენს ყოვლის-მპყრობელს სახიერებას შეუძლია, ეს დიდი სასწაული მიყოს მე, და განჰკურნოს ესფერ საშინლად დაწ-ყლულებული გული ჩემი და აღადგი-ნოს მკუდრეთით ცოდვაში მკვდარი საბრალო სული ესე ჩემი. მართა-ლია, უფალო თუმცა დიდნი და აუ-რიცხველნი არიან ჩემი ცოდვები, მაგრამ შენი სახიერება და შენი მო-წყალება უფრო დიდი და გამოუთ-ქმელი არის და შენ დაგვპირები ხარ

რომ ნუგეშინი ჰსცე იმას ჳნც შენ
გესავს, შეუსმინო იმას, ჳნც შენ
მოუგმართავს ლოცვით, დ̃ პირი არ
აღრიკო იმას, ჳნც კი მოიქცევა
შენდამი ჭეშმარიტის სინანულითა.
მაშ ჩემო ტკბილო იესოვ რადგან
მეცა საბრალო ცოდვილსა ამას მო-
მიმართავს აწ შენდამი დ̃ შენზედ
დამიძს სასოება ჩემი, გევედრები
გამომიცვალე გული დ̃ მომაქციე მე
შენდამი; მომანიჭე ნათელი, რათა
ჳცნა ჩემი ცოდვები, სრული სინა-
ნული, რათა მოჳძულო იგინი, სი-
მხნე, რათა გულს მოდგინებით ვა-
ღჳარო იგინი აღსარებაში, ძალი,
რათა გავსწორო სიცოცხლე, დ̃ მა-
დლიცა ჩემი თავს უარის ყოფვისა
დ̃ საკანუნოს გაწევისა. მაცხოვარო

ჩემო, აჰა ესე რა ამ მადლებსა ვთხოვულობ შენგან და იმედი მაქვს რომ არ დამიშურებ და მომანიჭებ მე, რადგან ხარ შენ სახიერი და გულმოწყალე ღმერთი ჩემი.

ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო, შესავედრებელო ცოდჳლთაო, ყოველნო წმიდანო ზეცისანო და მფარველო ანგელოზო, შემეწიენით მე მეტადრე ამ ჟამსა და მომიშოვნეთ უფლისა იესოსაგან მოწყალება და მოტევება ცოდვათა ჩემთა.

აქ ჰქმენ ჩხრეკა, გამოიძიე კარგის გულს მოდგინებითა და ფრთხილად სჳნიდისი შენი და მოიგონე რაც შეგიცოდებია ფიქრითა, სიტ-

ყჳთა, საქმითა, და გარდამავალო-ბითა, მათი სათვალაჳთა და საჭირო-გარემოებითურთ. გარდაათვარიე-ლე ღვთის ათნი ბრძანებანი, ეკკ-ლესიის ბრძანებანი, თავნი მომაკ-ვდინებელნი ცოდვანი და შენი მდ-გომარეობის ვალდებულებანი, თუ-რა და რომელნი ცოდვები მოგვხდე-ნია ამათ წინამდეგად. და როდე-საც შემოიკრიფავ ფიქრში შენს მოქმედებულს ცოდვებსა, მაშინ ჰქმენ ჭეშმარიტი სინანული ყოვე-ლთა ცოდვათა შენთა ზედა ამ მი-ზეზებისათჳს რომ მაგ ცოდვები-თა შეგიწყენია ყოვლად კეთილი და ყოვლად საყუარელი ღმერთი, და-გიკარგია სასუფეველი და მოგიგია ჯოჯოხეთი. დასდევ მტკიცე პირ-

ოსაცა იმიერით არღარაოდეს შეც-ოდებისა და შეწყენისა ღვთისა. და სთქვ მონანული გულით აღსარე-ბის უწინ სათქმელნი შემდეგნი ლოცვანი ესენი.

## საქმე სრული სინანულისა.

უფალო და ღმერთო ჩემო, ვჰსც-ნობ მე უბადრუკი დიდ დიდთა, უა-ნგარიშო და მძიმე მძიმე ცოდვათა ჩემთა. როგორ გავბედე უფალო, შენმავე განჩენილმან ამ ნაირი გლი-სპობა რომ წინა აღგიდგე შენ ეგ-რედ მაღალსა ღმერთსა პატრონსა ცისა და ქვეყანისასა? მე ერთმა მუჭა მიწამა და მტვერმა, როგორ გავბე-დე ფეხ ქვეშ ცოდვითა, შენ ყოვლის-

შემძლებელი ღმერთი ეგე ჩემი? მე მოკვდავმა და განხრწნადმა ამან, როგორ გიწინაღმდეგე შენ უკვდავსა უფალსა ჩემსა? როგორი ურჩობა არის ეს ჩემი რომ შეურაცხ გყავ შენ ამ ქვეყნის ერთი ფუჭი და ჩალის სადირელი რაჲმებისათჳს? შენ დამბადე მხოლოდ მისთჳს რათა მემსახურა შენთჳს, პატიჳ მეცა შენთჳს და შემეყვარებინე შენ. ხოლო მე ნაცვლად ამისა შეგაწყინე შენ, ვაჲ ჩემს უბედურობას და გლისპობასა .. ვაჲ ჩემს სიბოროტესა!

. . . ვსწუხვარ უფალო ღმერთო ჩემო, და ვნანულობ ჭეშმარიტის გულით ყოველთა სიბოროტეთა და ცოდვათა ჩემთა ზედა. მძულს და ვზიზღობ ყოველთა საზიზღართა

ცოდვათა , უღთოებათა და განდგომილებათა ამა ბოროტი ნებისა და გულისა ჩემისათა . ნეტამც , უფალო , არაოდეს შემეწყინე და არ გამემწარებინე შენ ჵ განუზომელო სახიერებაო , არა ვსწუხვარ იმისთჳს , რომ ამ ცოდვებით ღირსი გავსდი ჯოჯოხეთისა , რადგან მარტო ჯოჯოხეთი საკმაო არ არის ჩემი აურიცხველი ცოდვებისათჳს ; არცა ვსწუხვარ იმისთჳს რომ ამ ცოდვებით დამიკარგავს სასუფეველი , რადგან ვაჲ მე , ჩემისთანა უბედური და ცოდვებით აღტჳრთული ჭირი ღირსი არ არის მაგ ფერი ძჳრფასი სასყიდლისა , არამედ ვწუხვარ და ვსტირი ამისთჳს რომ შენ გამოუთქმელი კეთილი და საუნჯე

საუნჯეთა შემიწყუენიხარ ჲ დამი-
კარგავ ხარ ამ ცოდვებითა. შენ
მხოლოსა შეგცოდე, უფალო,
მხოლოდ ამ მიზეზისათჳს არის
უფალო რომ აგერ დედა მიწაზედ
დამხობილი სირცხჳლით თავს
ვერდარ ჳდებ ზეით, ჲ ცხარი
ცრემლითა მტირალი ვღაღადებ
შენდამი ჲ ვთხოულობ შენგან წყა-
ლობასა ჲ მოტევებასა.

### საქმე სრული სინანულისა.

ღმერთო საშინელო მსაჯულო
ცხოველთა ჲ მკვდართა; აგერ და-
ვარდომილი ქუეშე ფერხთა შენთა
ვაღჳარებ რომ მე ვარ ის ბოროტ
მომქმედი, ბრალიერი ჲ გამცემი
შენი ღირსი ყოველ ნაირი რისხვისა

და პატიჟისა. ნუ მე ვარ ის უბედური და გლისში რომელმან განვარისხე მაგ ფერი საშინელი ღმერთი და მოვჰკალ უსამართლოდ სული ჩემი წყეული ცოდვებითა ჩემითა, რა მოვჰგე მე ამ ფერი ბოროტ მოქმედებითა და ავ საქციელითა ჩემითა? სხვა არა ფერი თუ არ, სირცხვილი, შიში, მოუსვენლობა გულისა, და დაუცხრომელი კბენა სჳნიდისისა და ამათ გარდა თანვე ჯოჯოხეთიც, სამუდამო გლოვა, ტირილი და საუკუნო სიკვდილი სულითა თუ კორცითა; ესრედ რომ თუ არ შეჳნანებ, სასუფეველი არღარ არის ჩემთჳსა, რადგან დამიკარგავს მე უბედურს ის ბედნიერი და დაუსრულებელი ნეტარების მამული ზეციერი, სადაც

პირის პირ უნდა მენახა ღმერთი წყაროჲ იგი ყოვლისა სიხარულისა და ყოველი შვებისა. ოჰ წყეულნო ცოდვანო ჩემნო, თქუენგან მოსდის ესოდენი უბედურებანი და ესოდენი სულიერი ზიანი სულსა ჩემსა. ღმერთო ჩემო მძულს და დღეის იქითაც მომიძულებია ყოველნი ცოდვანი ჩემნი ყოვლითა გულითა ჩემითა, რომლების გამოც ღირსი გავხდი მე რისხვისა შენისა. აჰა ეს არის რომელიცა მათრთოლებს და მაკანკალებს ვფიქრობ რა რომ წარვმსდგარვარ მე ჯოჯოხეთის კარსა. და გხედავ შენც ხმალ ამოღებულსა შურის ძიებისათჳს ცოდვათა ჩემთა და გნებავს ცოცხალ ცოცხალი ჩაგდება ჩემი ჯოჯოხეთში

და შთაფლვა იმ საშინელს და დაუშ-
რეტელსა ალსა შინა ცეცხლისასა;
და ამ მიზეზისათჳს ვნანულობ უფა-
ლო ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზე-
და ჭეშმარიტის გულითა, მძულს
იგინი ფრიად, და ვსცნობ პირშაო-
ბასა და სიმძიმესა ცოდვათა ჩემთა-
სა. ამისთჳს ვთხოულობ შენგან
მდაბალი და მონანული გულითა
მოწყალებასა და შენდობასა ცოდ-
ვათა ჩემთასა მღაღადებელი ეს-
რედ.... მიხსენ მე საბრალო
ცოდვილი ესე ჯოჯოხეთისაგან,
რადგან, მაცხოვარო ჩემო, თუ
შენ არ მოიღებ მოწყალებასა
ჩემზედ, მე დაღუპული ვარ სამუ-
დამოდ.

## საქმე პირო-ბის დადებისა

უფალო და ღმერთო ჩემო, ამჯერსათაც მოიდე მოწყალებაა და მომიტევე მე ჩემი აურიცხველი ცოდვები! და გპირდები რომ დღეის იქით აღარა ოდეს გაგამწარო შენ ცოდჳთა, ამისთჳს მართალი და ჭეშმარიტის გულითა პირობას გაძლევ რომ ამიერით ჳრჩიო მე უმფრო სიკვდილი ჳრემც კვალადა შეწყენა შენი. ამიერით არღარ მინდა უწინდებულებ უღირსობით მოქცევა. მართალია უწინ პირობას გაძლევდი ხოლმე ცოდვებისაგან მოშორებისასა და მერე კი ჩემი მოცემული პირობიდამ უბედურობით ისევ გადჳდოდი ხოლმე, მაგ-

რამ დღეის იქით კი ისრე აღარ მოჴქცეჳ უფალო, არამედ თუ რომ ჩემი სულის მტერები საცდურს მომიტანებენ, მე მხნეობით ვუწინამღდეგებ იმათ, და თუ დავატყობ მოუძლურებასა ჩემსა განსაცდელებში, მაშინვე შენ მოგმართამ მხურვალე ლოცჳთ, თუ ბროტი ამხანაკები ეცდებიან მიზიდვასა ჩემსა ცოდჳსაკენ პირ დაუფერებლად დავჴსტუქსავ და იმ წამსვე მოვშორდები იმათ, ამის გარდა არა თუ მარტო მინდა რომ ამიერით არღარაოდეს გავაძანკიერო ჩემი სული ცოდჳთა, არამედ მნებავს თანვე არღარაოდეს შთავაგდო ჩემი თაჳ ცოდჳს საცდურში და მიზეზშიდ, და ამის გამო არღარ მნებავს მე ამი-

ერით მისვლა იმ ჯსმესთან, რომელიცა მიხდება ხოლმე მე მიზეზად ცოდჳსა, აღარც გავლა იმ ადგილსა სიდგანაც შენს შეუწყენლად ვერ გამოვდივარ ხოლმე, აღარც დავესწრობი იმ შექცევას და იმ მუსაიფობას, რომელშიდაც ცოდვას ვერ გარდაურჩები ხოლმე მე. ამათ გარდა, მაცხოვარო ჩემო იესო, კარგის მოწადინებული გულითა მინდა ესეც, რათა გამკვეთი წამალი დავადვა იმ ბოროტთ შედგომილობათა, რომელნიცა წინ წამოსულან ჩემი ნაქმნარი ცოდვებისაგან. ესრედ რომ თუ ჯსმესთჳს ზიანი მომიცია, მინდა რომ სრულად შეუბრუნო მას იგი; თუ რომ ჯსმესთჳს მიწყენია, მინდა ბოდი-

ში მოვსთხოვო მას , თუ რომ ჳს-მესთან გულ მძჳრად ვარ , ანუ ჳს-მეს სიმძულვარე და შური მქონია , მინდა შევურიგდე მას და დღეის იქ-ით კარგის გულითა მიყვარდეს იგი ; თუ რომ დამიბრკოლებია ჳნ-მე ჩემი აჳ საქციელითა , მინდა დღეის იქით სამაგიერო კეთილი მაგალითი ვუჩვენო მას . ტკბილო მაცხოვარო ჩემო იესოვ , ამა ყო-ველი რაჲმის ქმნა გარდამიწყვე-ტია და აღმიბეჭდავს ჩემს გულში , მაგრამ ნუ თუ საქმითაც შევასრუ-ლებ ამით ? დიად რომ საქმითაც შევასრულებ , უფალო , შეწევნითა შენითა , რადგან მარტო სიტყჳთ დაპირება რას გამომადგება ? თუ რომ საქმითაც არ შევასრულებ ამ-

ათ. და ამის გამო დიდი მოწადინებული გულით ვეცდები ამიერით საქმით შესრულებისათჳს მათი, დანდობით არა ჩემს ძალაზე, რომელს არა რაჲ შემიძლია უშენოდ, არამედ დანდობით შენს შემწეობაზედ და დავუძღვნი, პირობის დადებისა ამის ჩემისა ძალასა ზედა წმიდა მადლისა შენისა, რომელიცა ჴის ყოვლის შემძლე, და რომელსაცა უეჭველად მიანიჭებ შენ იმათ, რომელნიც მოუმართვენ შენ სასოებითა და ითხოვენ შენგან მას მდაბალი ლოცვითა, და ამასთან თანჯანთ კერძოდ, რაოდენიცა ძალ უძსთ, იხმარებენ ყოველთა საშუალობათაცა გასწორებისათჳს თანჯანთ სიცოცხლისა, წმ. უფალო მე მრ-

წამს რომ შენ შეგიძლია ერთს წამში აღდგინება ქვათაგან ძეთა აბრაამისათა, ჯთამც, შეცვლა ჩემისთანა უბედური ცოდვილების წმინდანებად, და ამისთჳს ვსდებ სასოებასა ჩემსა შენზედ, და მტკიცე გარ რომ მადლითა და შეწევნითა შენითა შემიძლია საქმითაც აღსრულება იმ ყოველი რაჲმისა, რომელნიცა დაგწირდი შენ ზემორედ ჭეშმარიტის გულითა, და გაჯსწორებ სიცოცხლესა ჩემსა, ამიერით უმეტესად მნებავს სიკვდილი და ყოველი ზიანი ჯრემც კვალადლა შეცოდება შენი. ა მ ი ნ.

სხვა ლოცვა უწინარეს ძლსარჯბისა.

ყოვლად სახიერო მაცხოვარო ჩემო, თუთ შენ განაწესე ეკკლესიაში წმიდა საიდუმლო ესე აღსარებისა საშუალობად და წმიდად ცოდვების მოტევებისა, მაშინ როდესაც მიეცი მღვდელთა შენთა შეძლება ხსნისა და შეკვრისა და დაჰპირდი იმათ რომ შენ დაამტკიცებ ზეცას იმ განჩინებას, რომელსაც მოიღებენ იგინი ამ ქვეყანაზედ: მაშ რათა მეც მქონდეს ნაწილი ამ შენგან მოცემული მადლისა და სახიერებისა, ამისთჳს მივალ და წარვსდგები აწ წინაშე განწდოს მამისა ჩემისა, რომელსაც ვცნობ შენს მომაგიერედ, და დიდის კდემით ჰპატივს ვსცემ შენგან მისდამი მიცემულს შეძლებასა და აგქსონობასა. მაშ ტკბილო

იესოვ ჩემო, გევედრები მიანიჭე მას ნათელი შენი, რათა კარგათ ჰს-ცნას უბედური მდგომარეობა სუ-ლისა ჩემისა, და მომეც მეც სიმხნე რათა სიმართლით დაკაბეზღო მას თაჲ ჩემი, ვაღჲარო მის წინაშე ყოველნი ცოდვანი ჩემნი სისრუ-ლით და მარტიჲ გულითა; არა-ფერი არ დავმალო აღსარებაში სირცხჲლის გამო, არც არა ფერზე გაჲმართლო თაჲ ამპარტაჲნობითა და მოწადინებული გულითაც თავზე აჲღო ჩემი ცოდვებისათჲს მოცე-მული საკანუნო და შევასრულო იგი. ამინ,

ამ ნაირად დამზადების შემდგომ თუ რომ განდოს მამასთან მისვ-ლაზე უწინ კიდევ დრო გაქვს და-

შთენილი, ჴსთქჳ სინანულით შემდგენი ლოცვანიცა.

ლოცვა ყოვლად წმიდა ქალწულის მარიამისა მიმართ სათქმელი უწინარეს აღსარებისა.

ჰოი ყოვლად ნეტარელო ქალწულო მარიამ უშიშარო შესავედრებელო დ̃ ტკბილო შესახიზარო ყოველთა ცოდვილთაო, მომხედე მოწყ:ლების თვალითა საბრალოსა ამას, რომელიცა შენი საყვარელი ძისა იესოს დაუფასებელი სისხლის ძალითა ვნატრობ აწ რათა ამ აღსარების თქმითა აღსდგეს მკვდრეთით ცოდვებში მკვდარი სული ჩემი დ̃ გასხდეს დიდსი საუკუნო

ცხოვრებისა; ამისთჳს მეოხებითა შენითა მომიპოვნე მე ღვთისაგან ჭეშმარიტი სინანული ცოდვათა ჩემთა ზედა და წუხჳლი გულისა, მსგავსი წუხჳლისა და სიმწარისა მის, რომელიცა იგრძნო წმიდამან გულმან შენმან ჯვარ ქვეშ, მთასა ზედა გოლგოთისასა. აჰ მოწყალეო დედაო, შენ ეგრედ მწარედ სტიროდი სხჳს ცოდვებზედ და ჩემი გული კი ესრედ გრილი და უგრძნობია მოძულებაზედ თვისგან მოქმედებული ცოდვებისა!

ლოცვა მფარველი ანგელოზისა მიმართ უწინარეს აღსარებისა.

ჰოი წმიდაო ანგელოზო მფარველ-

ლო ჩემო აწ განიხარე და ნუგეშინის
მეც მე, ჭეშმარიტის გულით მონა-
ნულსა ამას, მომყევ მე თან ამ მოწ-
ყალების სამსჯავროში და შემეწიე,
რათა კეთილი დამზადებითა ვსთქვა
აღსარება ესე, რადგან თუ კარგად
და ნაყოფიერად არ ჰტყჳ აღსარე-
ბას, ვაჲ მე უბედურსა! სიკვდი-
ლის შემდგომ რა უნდა დამემარ-
თოს და რა უნდა გადამხდეს მე ღვ-
თის სამართალში? მაშ, ჵი გულ-
მოძწვაო წინამძღვარო ჩემო, მო-
მიითხოვე მე ახლავე აღსნა და შენდო-
ბა ყოველი ჩემი ცოდვებისა, ღვთი-
საგან რათა სიკვდილის შემრედ ღვ-
თის იმ საშინელს სამართალში არ
ჰქმნა მე ღირსად დასჯილი ჯო-
ჯოხეთში.

## ლოცვა ჩვენს მეოხედ აღრჩეულთა წმიდათა მიმართ უწინარეს აღსარებისა .

ყოვლად საყვარელნო წმიდანო მეოხენო ჩემნო, მომითხოვეთ უკვდავ მეუფისა იესოსაგან სრული შენდობა და მოტევება ყოველი ჩემი ცოდვებისა და ჭეშმარიტი სიმტკიცე, რათა ამიერით აღარ მიუბრუნდე მე ვითარცა ძაღლი, ნარწყევსა თჳსსა, და ვითარცა ღორი განსვრასა ტალახში, არამედ რათა მონანული გულითა გავსწიო სრული საკანონო ჩემი ცოდვებისა ამ ქვეყანაზედვე. ამასთანვე აღბეჭდეთ მტკიცედ ჩემს გულში შემდეგნი სიტყვანიცა ესენი, რომლებითაც მოქცე-

უღან იგოდენნი აურიცხჳელნი, ცოდჳლნი; ჯთამც, რათა რომ ღირსი გახდეს კაცი სასუფეველისა ან სრულ უმანკო უნდა იყოს იგი, და ან ჭეშმარიტებით უნდა შეინანოს თჳსი ცოდვები, ცოდჳლი ან უნდა მოიქცეს და შეინანოს ყოვე-ლი თჳსი ცოდვები, და ან სამუ-დამოდ უნდა წაწყმდეს ჯოჯო-ხეთში; ამ ორი გზის გარდა, სხვა საშუალო გზა არდარ არის.

### აქ მიახლოვდი აღსარების საიდუმ-ლოსა.

### აღსარების შემდგომ მადლობის გარდახდის ლოცვა.

კურთხეულ იყოს უკუნისამდე უფა-
ლო განუზომელი მოწყალება შენი,
რამეთუ წმიდა მადლითა და შეწევ-
ნითა შენითა ვაღიარე სინანულით
ყოველნი ცოდვანი ჩემნი, და ამის-
თჳს დიდი იმედი მაქვს რომ შენცა
მომიტევე მე იგინი. ამას ჰმედოვ-
ნებ დანდობით იმ შენს ღვთიურს
სიტყვასა ზედა, რომლითაცა დაგ-
ვპირდი ჩვენ, რომ მიუტევებ შენ
ცათა შინა იმ ცოდვებს, რომელ-
ნიცა აღხსნილნი და მიტევებულნი
შეიქმნებიან ამ ქვეყანაზედ აღსა-
რებაში: და თჳთ ახლანდელი გულის
მოსვენებაცა ესე ჩემი, რომელსა-
ცა ვგრძნობულობ, იმედს მაძლე-
ვს მე ამაზედ. ჰოი განუზომელო
მოწყალებაო ღმრთისაო, რაოდე-

ნი სიკეთე დ~ ბედნიერება არის ეს ჩემთჳს, რომ ასე ცოტა რამით მომიტევე მე ის აურიცხველნი ცოდვანი ჩემნი, რომლების პატიჟად საუკუნო ჯოჯოხეთის გაუქრობელი ცეცხლი არ იყო საკმაო. დ~ შენ კი, ჵი მოწყალე მამაო, ჭეშმარიტი სინანულით მოჯძულე დ~ ვაღჳარე თუ არა მე იგინი, მაშინვე მომიტევე, დასცხერი რისხჳსა შენისაგან, დ~ ხელახლავ მიმიღე მე შენს წმიდა მადლშიდ. ამისთჳს განუზომელს მადლობას გწირავ, ყოვლად სახიერო ღმერთო ჩემო, ამ დიდი სიკეთისათჳს; დ~ შენცა, ჵი სულო ჩემო, აქე დ~ ადიდე უკუნისამდე დამბადებელი დ~ უფალი შენი, რომელმანცა აღგადგინა შენ

მკვდრეთით ⁊ გამოგიყვანა საუკუნო ცეცხლისაგან ჯოჯოხეთისა, რომელშიც უნდა ჩავარდნილ იყავ. ოჰ თუ რაოდნად გამამადგნენ ⁊ რაოდენს სიკეთეს მიმწიეს მე ამა ღვთიურმა სიტყვებმან: მე გხსნი შენ ცოდვათა შენთაგან . . . რადგან ამ სიტყვებით იქმნა რომ მე სულიერად მკვდარი, გავცოცხლდი ⁊ წარწყმედილი, ვსცხონდი, ყოველი დაკარგული მადლები ⁊ ყოველი ჩემი კეთილ მოქმედების ნაყოფი ⁊ ღირსება კელმეორ მოჯგე, ამითი გამაწმედელს მადლში შევედი, ⁊ ჯოჯოხეთის ღირსი, სასუფეველის ღირსი გავხდი! ახლა შემიძლიან მე ბევრი კეთილ მოქმედება ვქმნა ნაყოფიერად ⁊ ჩემი

სული ვაცხონო. ჰოი ყოვლის შე-
მძლებელო სიტყვავო ღვთისაო; და
გამოუთქმელო სახიერებაო უფლი-
სა ჩემისაო! თუ რომ ერთმა სიტ-
ყვამან შენმან ესრედ საკჳრველად
განმწმიდა მე ცოდვათა ჩემთაგან და
ესრედ ნუგეშინი მცა ცოდჳლსა ამ-
ას, მაშ აბა შენი ნახვა, შეყვარება
და შენთან სიცოცხლე რაღა ნაირი
ბედნიერება იქმნება ჩემთჳს? ამი-
სთჳს არა თუ კიდევ ცოდვებმა, არა-
მედ არცაღა იმათმა ჩრდილმან უნ-
და გაიაროს ამიერითი ჩემს გულში.
რაც გარდამხდება, გარდამხდეს ამ
ქვეყანაზედ, ყოველა ფერზედ გა-
მიწირამს თავ, ოღომც რომ ვაც-
ხონო ჩემი სული და საუკუნოდ ჯ-
ჴარო, უფალო, შენთან სასუფევე-

ღში, ეს მეყოფა მე ყოველაფრად. ამისთჳს ამიერითგან პირველი ჩემი საქმე უნდა იყოს საქმე ჩემი სულის ცხონებისა. ამის გარდა მნებავს რათა სააქაოსვე გარდაჳხადო ჩემი გავლილი ცოდვების ჟამიერი პატიჟიცა მოკვდინებითა და საკანუნოების გაწეჳთა; და ამისთჳს ახლად ახლავე შემოგწირავ შენ უფალო, ქრისტეს სატანჯველების ნაყოფთა თანა ერთად იმ საკანუნოსა რომელიც მომცა განდოს მამამ, და შემდეგშიც ნებიერად გავსწევ სხვა საკანუნოებსაცა. უფროსი ერთი რომ სულ გრძელობით დაჳთმენ ყოველთა ჭირთა, შეწუხებათა, სიძნელეთა მდგომარეობისა ჩემისათა, და წინაღმდეგობათა, რათა

რომ როგორც დღეს შენი წმიდა მადლით გამოჳხსენ ჩემი სული ჯოჯოხეთისაგან, ესრეთვე სიკვდილის შემდგო მისათჳსაცა რავდენათაც შეიძლება, ამიებით გარდავარჩინო იგი განსაწმედელის ცეცხლისაგანაც.



A. Nauer pinx. 549. A. Pickel sc.

Son corps est nourriture et son sang est breuvage
Du pélerin du ciel, il soutient le courage.

Benziger & Cº Editeurs à Einsiedeln en Suisse. Déposé.

## განმზადება

ყოვლად წმიდა ზიარების მიღები-
სათჳს.

საქმე სარწმუნოებისა.

ყოვლად საყვარელო მაცხოვარო ჩემო, რათა რომ დღეს მობრძანებულ იყავი ჩემს გულში და შეერთებულ იყავ ჩემს სულთან ამ ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოს მიერ, რავდენი დიდ დიდნი სიმდაბლის მთანი გარდმოარდჳე და გარდმოვლე შენ! რადგან ყოვლის შემძლებელი ღმერთი ეგე, განკაცდი; ყოვლად მაღალმან და გამოუთქმელმან, მიიღე ხატი მო-

ნისა, საუკუნო მამის წიაღიდგან გარდამოხედ ზეცით და დაემკჳდრე უწმიდესს წიაღსა შინა ქალწული მარიამისასა, იშობე ბეთლეემის გვაბსა შინა, გამოუთქმელი დიდებისა და უკვდავების ტახტიდგან გარდმოსულმან, თავს ისხი ჩემთჳს სიკდილი ძელის ჯვარზედ, და დღესაცა თჳთ შენვე გნებავს, მოხჳდე საზარალო გულსა შინა ჩემსა. ჰოი რაოდნად განუზომელი და მიუწდომელის სახიერება და მოწყალება ეგე შენი ჩემზედა მაცხოვარო ჩემო! მაშ აბა სულო ჩემო, აგერ საყვარელი შენი იესო, აღტყინებული იმავე სიყვარულითა რომლითაცა მოკვდა იგი შენთჳს ძელის ჯვარზედ, იმყოფების აგერ ამ

წმიდა ზიარებაში ქვეშე პურის სახ-
ისა უხილავად. რომელსა თუმც
ვერა ჰხედავ შენ, გარნა იგი კი გხე-
დავს შენ, და რადგან გულთა მხილ-
ველი ღმერთია იგი, კარგად იცის
ისიცა, თუ რას ნატრობს აწ გული
შენი, რა უყვარს მას, რის სურჳ-
ლი აქუს მას, რა ნაირს სამზად-
ისშია იგი, და რა ნაირი შესაფერი
ძღვენი უნდა მოართვას მან თავის
საყვარელს მაცხოვარსა? მაშ აბა
განემზადე კარგად, ჵი სულო ჩე-
მო, და დიდის სიყვარულითა და სუ-
რჳლითა მიიღე ეს ზეციერი სტუ-
მარი შენი იესო, გაუმასპინძლდი
მას შენს გულში დიდის სიმდაბლი-
თა, ყოველი ცოდვებისაგან განწ-
მენდილი სჳნიდისითა, წმიდა გუ-

ლითა, ჲ დავარდომილმან ფერხ-
თა თანა მისთა, მოახსენე მას ცხ-
ოველი სარწმუნოებითა ესრედ:
უფალო ჲ მაცხოვარო ჩემო იესო,
შენ რომელიც ამ ცოტა ხანში უნ-
და მობრძანდე ჩემთანა; დიდათ
ვსწუხ-ვარ რომ დიდი ნაწილი კა-
ცთა ნათესაჳსა ვერა გცნობს, ჲ
საუნჯე ეგე ყოველი კეთილისა,
დაფარულიხარ შენ მათთჳს. გარნა
მე კი ნამდჳლად გიცნობ შენ, მრ-
წამ-ხარ შენ, ჲ ვაღჳარებ რომ აწ-
მყოდ ბრძანდები შენ ამ ყოვლად
წმიდა ზიარებაში. ამისთჳს არა თუ
მხოლოდ სიღრმითა გულისა ჩე-
მისათა თაყანის-გცემ შენ, ჳთარცა
უფალსა ჲ მაცხოვარსა ჩემსა:
არამედ მზად ვარ თანვე რათა ამა

ჩემი სარწმუნოების ჭეშმარიტების აღსარებისა ჲ დამტკიცებისათვის თავ განწირულმა დავღვარო სისხლიცა ჩემი. დასასრულად ყოვლად კეთილო ჲ ტკბილო იესო, გხედავ რა ესოდენს სახიერებასა შენსა რომ გნებავს მობრძანება დღეს საბრალო გულსა შინა ჩემსა, რათა რომ შეერთდე ჩემს სულთან ჲ განმამდიდრო მე წმიდა მადლებითა შენითა, ამფერი სიყვარულიანი მოსვლისა შენისაგან ფრიად დიდი იმედი მეძლევა მე ამაზედ რომ მაშ მიჰღებ დღეს მე შენგან მრავალთა ჲ დიდთა წყალობათა შენთა.

საქმე სიმდაბლისა.

უფალო ჩემო, მე ყოვლად მდა-
ბალმა განჩენილმან და ქვეყნის დიდმა
ცოდვილმან ამან როგორ უნდა ჰკა-
დნიერო მიღება აწ ამა ყოვლად
წმიდა ზიარების საიდუმლოსი,
რომელშიდაც ბრძანდები თჳთ შენ
ყოვლად მაღალი ღმერთი? უფა-
ლო, ჳნ ვარ მე და ჳნ შენ? რადგან
მე ვარ ერთი მუჭა მიწა მტვერი,
შემდგარი არა რაჲსაგან, ჩემი სუ-
ლიც შექმნილ-არს ქვაბ ავა-
ზაკთა, საყოფელი ეშმაკთა, და სა-
ვსეა იგი უწმიდურებით, გახრწნი-
ლებით და აურიცხველი ბოროტ
მიდრეკილებაებითა, ხოლო შენ
ხარ ღმერთი ყოვლის-მპყრობელი,
საუკუნო, გამოუთქმელი, უმწვერ-
ვალესი პატრონი და მფარველი

ცისა და ქვეყნისა: მაშ აბა ამფერმა
უბედურმან როგორ უნდა გავბედო-
მე მოახლოება შენ-თან? ერთ ჭა-
ჭვს მიწას რა საქმე აქვს შენს
სიწმიდესთან? ბნელსა ნათელთან
და პირუტყვსა წმიდათა წმიდასთან?
თვით იოვანე ნათლის-მცემელიცა
რომელი დედის მუცლიდგანვე გან-
წმედილი იყო ადამის ცოდჳსაგან,
და სიკვდილამდისინაც უცოდვოდ
მეცოცხლე, უკან დგებოდა და ვერ
ჰბედევდა შენთჳს ჴელის შეხებასა,
და მე ცოდჳლმა როგორ უნდა გა-
ვბედო არა მხოლოდ შეხება, არა-
მედ მიღებაცა შენი ცოდვებისაგან
დაბნელებულს გულსა შინა ჩემსა?
... ესოდენი სიშორე და გარჩევ-
ობა ჩემსა და შენს შუა მაორთო-

ლამს მე უფალო, და ამისთჳს განზრახჳთა არა რაჲობის უბსკრულისა ჩემისა, ვეღარ გამიბედავს მე ზე ახილვად თვალთა ჩემთა, არამედ სიღრმითა გულისა ჩემისა გიღაღადებ იმ კეთილი და მხურვალე ასის თავთან მეტყველი: უფალო არა ვარ ღირსი ესოდენი პატიჳსა: უფალო არა ვარ ღირსი რათა შემოხჳდე სავანესა შინა ჩემსა, ესრეთვე იმ ყოვლად თავდაბალ პეტრე მოციქულთან, განმეშორე უფალო, რამეთუ კაცი ცოდჳლი ვარ მე.

საქმე იმედისა.

უფალო ჩემო, რა უბედურობა

არ შეემთხვევა სულსა ჩემსა ოდეს უღირსობითა თჳსითა შორს დადგება იგი შენგან? ვაჲ მე რაოდენად დაღუპულია ის კაცი რომელიც უღმერთოთ ატარებს თავის სიცოცხლესა! რადგან როგორ გაიკურნება იგი უშენოდ, რომელი ხარ მკურნალი? როგორ განცოცხლდება იგი სკვდილისაგან უშენოდ, რომელი ხარ ცხოვრება? და როგორ მიაწევს იგი სასუფეველსა უშენოდ, რომელი ხარ გზა სასუფეველისა? ამისთჳს უფალო ჩემო, მართალია თუმც კი უღირსობა ჩემი მაშინებს და მაძრთოლებს მე შენთან მიახლოებისათჳს, მაგრამ ამასთანვე ერთ კერძოდ განუზომელი მოწყალება შენი, და.

მეორე კერძოდ სულიერი დამჭირნეობა ჩემი მამხნევებენ და მაბედინებენ მე შენთან მოსვლასა. რადგან თუმც მართალია უღირსი ვარ, მაგრამ ვარ ამასთანვე სულიერი სიღარიბითა ფრიად გაჭირვებული შვილი შენი, რომელი არა მობრძანდი ქვეყნად «წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად,» (მათეს, თ. 13.) და იწვევ ყოველთა საწყალობელთა შენდამი მეტყველი: «მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ მძიმენი. და მე განგისვენო თქვენ. «(მათეს. ია. 28.) მაშაბა ამითი მიწვევ შენთან მეც ყოველაზე უმფრო უღირსსა ამას. ამის გარდა შენ არ განაწესე წმიდა ზიარების საიდუმლო ესე

ცოდვულებისათჳს ? შენ არა ხარ იგი, რომელი არა მარტო მიწვევ მე ამაზედ, არამედ თანვე მავალიანებ და მექადები სიკვდილისაცა თუ რომ არ მიგიღებ მე შენ ამ ყოვლად წმიდა ზიარებაში? და თუ მიგიღებ მპირდები ცხოვრებასა საუკუნოსა ? და შენნი ღვთიულნი სიტყვანი არა არიან ესენიცა რომელნი ჰსთქჳ :» მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვჰხედ. უკეთუ ჳნმე ჰსჭამდეს ამის პურისაგან არა მოკვდეს, არამედ ცხოვნდეს უკუნისამდე, და პური რომელი მე მივჰსცე ჴორცი ჩემი არს, რომელსა მე მივჰსცემ ცხოვრებისათჳს სოფლისა? » ( იოვანეს . ვ . 51 . ) მაშ ჵი ტკბილო მაცხოვარო ჩემო, ჳს შეუძ-

ლია რომ არ განმხნევდეს ამგვარი შენი სიყვარულიანი დაწვევისაგან? ამის გამოა რომ აგერ მეცა ცოდვი-ლი ესე მოვალ შენთანა და იმედი მაქვს რომ არა მხოლოდ სიტკბოთე-ბით მიმიღებ მე, არამედ ამ ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოს მიერ მომანიჭებ ყოველთა მადლთაცა მათ, რომელნიცა საჭირონი არიან ცხონებისათჳს სულისა ჩემისა.

### საქმე ნატრისა გინა სურვილისა.

უფალო და ღმერთო ჩემო, დი-დის სახოებით მოველი რომ მიჴ-ლებ შენგან, ყოველთა მადლთა და წყალობათა შენთა ამ ყოვლად წმ-იდა საიდუმლოს მიღებითა, რად-

გან როგორ შეიძლება მივეახლო-
ვო მე, ღვთაების საუნჯესა ამას
შენსა, და არ აღჳმსო მე ყოველი
კეთილითა და მადლებითა? თუ რომ
ცეცხლს მივეახლოვდები, გავთბე-
ბი, თუ სიბნელიდამ ნათელში გა-
ვალ, გავნათლდები, თუ ერთს ვა-
რდს ან ყვავილსა ხელს შევახებ,
იმათი მშვენიერი სუნით დავთვრე-
ბი; ერთი სიტყვით ისე კეთილი რა-
მე არ არის, რომელს შევეხო მე
და ერთი სიკეთე არ მიჳდო მისგან,
ამავე ნაირად, ჩემო იესოვ, აწცა
შეერთებითა შენთან რომელი გამ-
ოუთქმელი კეთილი ხარ, რა სიკე-
თეს არ უნდა მოველოდე მე შენ-
გან? . . . თუ რომ საზრდელი კო-
რცისა ძალას მაძლევს მე, თუ მა-

ნანასა მას, რომელიც ცჳვოდა ზე-
ციდგან უდაბნოშიდ, ჰქონდა ეგო-
დენი სიტკბოება, მაშ რაღა იქმ-
ნები აწ ჩემი სულისთჳს შენ, რო-
მელი გამხდარ-ხარ ჭეშმარიტი სა-
ზრდელი სულებისა? უეჭველია,
რომ საიდუმლო ესე არის წყარო
ყოველი მადლისა დ̃ კეთილისა,
ეგოდნად ჯდრედა მხოლოდ ერთ
გზის ღირსეულად მიღებასაცა ამ
წმიდა ზიარების საიდუმლოსასა
შეუძლია წმიდად გამოყვანა ჩემი.
რადგან მოსვლითა ამით შენითა
გახდება ჩემი გული სამყოფელი
ღვთისა ყოვლის მპყრობელისა.
ამის გამოა ჩემო იესოვ, რომ
შენის სიყვარულისა დ̃ ნატვრისა-
გან იღევა აწ საბრალო გული ესე

ჩემი და მოგელის შენ სწრაფად! ამის გამოა რომ გნატრობს შენ აღტაცებით საწყალი სული ჩემი, და ამის გამოა რომ მოელის იგი დიდის ოხვრითა და სულთქმითა იმ ყოვლად სანატრელს წამსა, რომელმიდაც ღირსი უნდა გახდეს იგი შეწყნარებისა შენისა, და სიყვარულით მომთხვეჳსა: ჵი თუ რაოდნად სანატრელი და სანუგეშოა წამი იგი, რომელმიდაც ღმერთი გამჩენი ცისა და ქვეყნისა უნდა შეერთდეს ჩემთვერს თაჳს საწყალობელს განჩენილთანა. მაშ აბა მოვედ სწრაფად, ტკბილო იესოვ, და უთხარ სულსა ჩემსა რომ: « მე ვარ ცხოვრება შენი. » მოვედ, უფალო, და ნუღარ შეიყოვნებ, რამე-

თუ გული მიმიდის სიყვარულითა შენითა.

### საქმე სიყვარულისა.

ყოვლად ტკბილო მაცხოვარო ჩემო იესოვ, ოდეს ესოდნად მიგაჩნივარ და გიყვარ-ვარ მე შენ, როგორ არ უნდა შეგიყვარო მეც უბედურმან და როგორ არ უნდა გიჩვენო შენ მაინც ამ სიკეთისათჳს სამაგიერო სიყვარული? ჳნ ვარ მე ცოდჳლი, რომ ესოდენი სიკეთის ღირსსა მხდი, ჳდრედა ნატრობ მობრძანებასა და შეერთებასა ჩემთან? ჵი განსაკჳრვებელო და მიუწდომელო სასწაულო, უფლისა ჩემისაო! ეს რაოდენი სიყვარულ-

ის ჩვენება არის შენი ჩემზედ უფა-ლო, რომ გინდა დაემკჳდრო ჩემს გულში, თუ ჩემი უღირსობით არ გიწინააღმდეგებ მე შენ, რათა შეს-ცვალო გული ჩემი კეთილზე და გა-მხადო მეც შენსავით თავდაბალი, მშჳდი, კაცთ მოყვარე და ყოველი სათნოებით შემკული? ჰოი თუ რა-ოდნად გამოუთქმელია კაცთ მოყ-ვარება ესე შენი ჩემზედა! ჳს შეუ-ძლია, გაუძლოს ესოდენს ძალასა სიყვარულისა შენისასა! ვაჲ მე! რაოდნად გაქვავებული, უნდო და ურწმუნო უნდა იყოს ის გული, რომელიცა შთავარდეს ესოდენი სიყვარულის ალშიდ, და არა აღეგ-ზნას სიყვარულითა! ტკბილო იე-სოვ, გმადლობ რომ შენის წმიდა

მადლითა გული ჩემი არ არის ამ
საგანზედ უგრძნობი, ამისთჳს მი-
ყვარხარ შენ უფალო, ყოვლითა
გულითა, სულითა, და ყოვლითა ძა-
ლითა ჩემითა, მიყვარ-ხარ შენ, ჩი
უძჳრფასესო საუნჯეო და სიხარუ-
ლო ჩემო, და მიყვარ-ხარ შენ,
ამისთჳს რამეთუ გამოუთქმელი და
განუზომელი კეთილი-ხარ, და თუ
ეგრედ ღირსად და დიდად ვერ შე-
მიყვარები-ხარ შენ, მაინც დიდის
სურჳლითა ვნატრობ შეყვარებასა
შენსა ეგოდნად, რაოდნადაც ღირ-
სი-ხარ შენ შეყვარებისა, და რაო-
დნათაც უყვარ ხართ შენ ზეციერთა
სერაფიმთა და ქერუბიმთა. შენ ბრ-
ძანე, უფალო, ღვთიური პირითა
შენითა რომ » ცეცხლისა მოვედ

მიყვანად ქვეყანასა ზედა « (ლუკას. იბ. 49.) მაშ აბა ტკბილო იესოვ, მოხვალ რა აწ ჩემთან, ეგოდნად აღაგზენ გული ჩემი შენი სიყვარულის ცეცხლითა, ჯდრელა ვსცხოვრებდე მე მხოლოდ შენის სიყვარულითა და შენი სიყვარულითვე მეღირსოს ბოლოსაც სიკვდილი. ა მ ი ნ.

## საქმე შეწირვისა.

ყოვლად ტკბილო მაცხოვარო ჩემო, აჰა მოიწია ჟამი იგი რომელშიაც მობრძანებითა შენითა ნუგეშინი უნდა ჰსცე სულსა ჩემსა. ამისთჳს რაჲსა ქმნად ვარ მე ამ წამსა, რათა ღირსეული პატივჳს

ცემითა მიგიღო შენ? რაჲსა ქმნა გამამივა ხელიდამ საწყალობელსა ამას? თუ არ ეს, რომ თუმცა ცოდჳლი და უღირსი ვარ შენდამი მიახლოებისა, მაგრამ, სულითა და გულით მონდობილი შენს განუზომელს სახიერებაზედ და მოწყალებაზედ, მოგეახლოები აწ ამ აზრითა, რათა მიღებით წმიდა ზიარებისა ამის ვუპასუხო მე იმ აღსასრულთა, რომლებისათჳსაც განგიწესებია შენ ეს თაყვანსაცემელი საიდუმლო წმიდა ზიარებისა. და თანვე რათა ამითი ჩემმა სულმანცა შეიძინოს ყოველნი სულიერნი კეთილნი და მადლნი შენნი, ესე იგი, საღჯარებელად ღვთაებისა საუკუნო მამისა შენისა და შენი მხოლოდ

შობილი ძისა მისისა და სულისა წმიდისა, მოსახსენებლად ყოვლად მწუხარე ვნებისა შენისა. და დაუფასებელი სისხლისა მის, რომელიცა დაჰღვარე შენ ჩემის დახსნისათჳს, შესასრულებლად კურთხეული ნებისა მის შენისა, რომლითაცა მიწვევ და მავალიანებ მე მიღებასა ზეცით გარდამოსული პურისა ამის საზრდოდ სულისა ჩემისა; გარდასახდელად მადლობისა იმ აღურაცხველი მადლებისა და სიკეთებისათჳს, რომელნიცა მოგინიჭებია შენ ჩემთჳს, დასამშჳდებლად შენი რისხჳსა შენისაგან უანგარიშოთა და მძიმეთა ცოდვათა გამო ჩემთა, და რათა რომ მეყოს მე საიდუმლოჲსა გირაოდ საუკუნო ცხოვრები-

სა, რათა რომ პატიჳ ვსცე ყოვე-
ლთა სასუფეველში მყოფთა წმი-
დათა და უფროსი ერთი ღვთის-მშ-
ობელს ქალწულს მარიამსა და სხ-
ვა შეოხე წმიდათა ჩემთა; რათა
მიეცესთ შემწეობა და შვება ყოველ-
თა განსაწმედელის სულთა, და უფ-
როსი ერთი სულთა მათ ნათესავე-
ბისა ჩემისათა, და იმათ რომელნი-
ცა უპატრონობით დაჳწყებულნი
არიან; რათა ყოველნი მორწმუნე-
ნი და ყოველი კაცთა ნათესაჲ ღირ-
სნი გახდნენ მიღებად წყალობისა
და მადლებისა შენისა, და მეტადრე
მე ცოდვილი ესე. აჰა ამ ზემო თქ-
მულთა აღსასრულთათჳს განვიწე-
სების შენ თაყვანსაცემელი საიდუ-
მლო ესე, და მეც ამავე აღსასრუ-

ღოთათჳს მნებავს მიღება ამ წმიდა საიდუმლოსი. ამისთჳს ჰოი უძჳრფასესო კეთილო ჩემო იესოვ, გევედრები განაცხოველე სარწმუნოება ესე ჩემი, და ჳთარცა მოველი მოწყალებისა შენისაგან, აღმისრულე, ყოველი ესე, რაჲსაცა ვთხოულობ მე კეთილი გულისა შენისაგან.

## ლოცვა მეოხე წმიდათა მიმართ ჩვენთა.

ჰოი ნეტარელნო წმიდანო სასუფეველისანო, რომელნიც მარადის პირის პირ უმზერთ უკვდავებისა და დიდებულსა ტახტსა ზედა მჯდომარესა ღმერთსა მას, რო-

მელიცა ჰგიებს აწ აქ დაფარულად ქვეშე პურის სახისა, მიმეოხეთ, და ევედრენით მას ჩემთჳს ამ წამ-ის, რათა პური ესე ცხოვრებისა, არა მექმნეს მე დასასჯელად, არამედ პურად უკვდავებისად.

აქ მიიღებენ წმიდა ზიარების საიდუმლოსა.

---

### შემცნება წმიდა ზიარების მიღების შემდგომი დროისათვის.

წმიდა ზიარების მიღების შემდგომი ჟამი არის ძჳრ-ფასი მოსაგებლად მადლის საუნჯისა, რამეთუ რადგან იმ დროს სული არის

შეერთებული იესო ქრისტესთან, ამისთჳს იმ დროს ლოცვასა, და ვედრებასა აქვს უფრო უდიდესი ღირსებულება, ვინემც ლოცვასა ქმნილსა სხვა დროშიდ. ამბობს წმიდა თერეზია რომ: იესო ქრისტე მყოფი იმ დროს სულსა შინა, ზის ტახტსა მოწყალებისასა, და ეუბნევა სულსა მას. ძეო ჩემო, ითხოვე რაჲც გნებავს, რამეთუ მოვსულ-ვარ მე აქ შენთანა მისთჳს რათა კეთილი გიყო შენ; ჵი თუ რაოდენთა კერძოობითთა მადლთა, და წყალობათა მიიღებენ იგინი, რომელნიცა შეიყოვნებენ უბნობაშიდ იესო ქრისტესთან შემდგომად ზიარებისა, ამის-გამო იყო რომ მამა ავილა არ ააცილებდა შე-

ყოვნებას ლოცვაშიდ ორ საათამ-
დინ შემდგომად ზიარებისა, და წმი-
და ალუიზი კონზაგა გაატარებდა
სამს დღეს მადლობის გარდახდაში
ქრისტესადმი. მაშ აბა ჰსთქვას
მზიარებელმანც შემდგომნი ლოც-
ვანი, და დანაშთენს დროსაც დღისა
მის ეცადოს განახლებასა სურჳლი-
სა და ლოცვებისასა შეერთებულად
დაშთენისათჳს თაჳსი იმ დილით
მიღებულს იესოსთანა.

## მადლობის გარდახდანი შემდგომ წმიდა ზიარების მიღებისა.

## საქმე სარწმუნოებისა და თაყვა-ნის-ცემისა.

ჰო ტკბილო იესოვ, რაოდნად გამოუთქმელი და მიუწდომელის ჩემზედა ქმნული მოწყალება ესე შენი, რომ ყოვლის შემძლებელი ღმერთი და დიდებული უფალი ცისა და ქვეყნისა, მობრძანებულ-ხარ საწყალობელსა გულსა შინა ჩემსა? მრწამს მტკიცედ უფალო ჭეშმარიტება ესე, და დასამტკიცებლად სარწმუნოებისა ამის, მზად ვარ დაღვრად სისხლისაცა. თაყვანის-გცემ, შენ უფალო და ღმერთო ჩემო, გამჩენო ჩემო, გამოუთქმელო კეთილო, საუნჯეო ჩემო, ნეტაი შემეძლოს თაყვანის-ცემა შენი, ეგრედ ჳთარცა თაყვანის-გცემენ შენ ზეციერნი სერაბიმნი და ქერუბიმნი, რომელნი თრთოლითა

და კანკალითა, უწყვეტლივ ღაღადებენ შენ მეტყველნი: წმიდაო, წმიდაო, წმიდაო, უფალო ღმერთო საბაოთა. ამისთჳს გევედრები მაცხოვარო, აღმიმატე და განმიცხოველე სარწმუნოება ესე და როგორც ლიტონი ყოვლის შემძლებელი სიტყჳთა შენითა გააჩინე ნათელი არა რაჲსაგან და განანათლე სოფელი, მსგავსადვე განანათლე აწ სული და გულიცა ჩემი, რათა კარგად გიცნა და გხედვიდე შენ ჩემს გულში გონების თვალითა და იმისა ებრ უდიდესი კდემითა პირქვე დავარდომილი მიწად, თაყვანის-გცემდე შენ უფალსა, ღმერთსა და მეუფესა ჩემსა.

## ლოცვა მადლობისა .

უფალო ჩემო, ჳნაჲდგან ჩემს გულშიდ მოსვლა ესე შენი, ჵ სრულად მონიჭება ჩემდა თავსა შენისა, ფრიად გამოუთქმელი მოწყალება არის ჩემთჳს! ამისთჳს მეც მმართებს განუზომელი მადლობის შემოწირვა ამაზედ, გარნა რა შესაბამი მადლობის ან რა სამაგიეროს შემოწირვა შემიძლია შენდამი მე საბრალოს? რადგან რა სიკეთე მაქჳს, რომელიც შენგან არ მიმეღოს მე? შენ დამბადე მე არა რაჲსაგან შენ მიფარავ მე ყოველს წამს, შენ დამითმინე მე ესოდენს ხანს აღურიცხველს ცოდვებში მყოფსა, შენ დაღვარე დაუფასებელი სისხლი შე-

ნი დახსნისა ჩემისათჳს, და ახლა-
ცა მეუფემან ცისა და ქვეყნისამან
ინებე სიმდაბლით შემოსვლა გლა-
ხაკსა სავანესა შინა სულისა ჩემი-
სასა, ჵი გარდანამეტო და გამო-
უთქმელო სახიერებათ მაცხოვრი-
სა ჩემისაო! ამისთჳს სიღრმით
გულისა ჩემისა განუზომელს მად-
ლობას გწირავ შენ ჵი ტკბილო
იესოვ, ნათელო მიუაჩრდილებე-
ლო, და იგოდნად ფრიად დიდს მა-
დლობასა გწირავ შენ ამაზედ რა-
ოდენიცა შეუძლია სულსა ჩემსა;
მაგრამ რადგან ღირსად და საკმაოდ
არ შემიძლია მე მადლობის გარ-
დახდა შენდამი, ამისთჳს დაჳწვევ
მე ამაზედ, ყოველთა ანგელოზთა
და ყოველთა წმიდათა სასუფეველი-

სათა, რათა ჩემ წილ იმათ შემოგ-
წირონ შენ ღირსეული მადლობა,
ამის გამო თქვენ ჵი ანგელოზნო
ზეცისანო, აქებდით უფალსა ღმე-
რთისა, ამა ჩემდამო მონიჭებული
გამოუთქმელი კეთილისათჳს, მთა-
ვარ ანგელოზნო აკურთხევდით მას
უკუნისამდე, ქერუბიმნო ჴმად-
ლობდეთ მას, სერაბიმნო აკურ-
თხევდით და აღამაღლებდით მას
დაუცხრომელი გალობითა. მოცი-
ქულნო, მოწამენო, ქალწულნო,
მღვდელნო და ყოველნო წმიდანო,
აქეთ და ადიდეთ დაუცხრომელად
მოწყალე უფალი და ღმერთი იგი
ჩემი, რომელმანცა მოხედნა ჩემ-
ფერ დიდსა ცოდჳლსა ამას, და
რომელსაცა დამკჳდრებითა ჩემს

გულში, ჰნებავს რათა ღირსი გამხადოს მეც საუკუნო ცხოვრებისა საქებლად და სადიდებლად თჳსი თქვენთან ერთად სასუფეველში უკუნითი უკუნისამდე.

## საქმე სიყვარულისა.

არა მხოლოდ ვალდებული ვარ მე უფალო ჩემო, რათა ათასეული მადლობა გარდგიხადო შენ ამა მოწყალებისათჳს, რომელიც მოიღე დღეს ჩემზედა; არამედ უფრო უდიდესად ვალდებული ვარ მე იმაზედ, რათა ამიერით შეგიყვარო შენ ყოვლითა გულითა ჩემითა: რამეთუ სიყვარული თხოულობს მარადის სამაგიერო სიყვარულსა. და როგორღა შემიძლია მე რომ ამი-

ერით არ შეგიყვარო შენ, უფალო და ღმერთო ჩემო, რომელმანცა ეგრედ გამოუთქმელი სიყვარული აჩვენე ჩემზედ: ჯდრედა დაიმდაბლე თავცა შენი და ინებე მობრძანება დღეს ჩემს გულში, და მოეცი საზრდელად სულსა ჩემსა წმიდა ჴორცი და დაუფასებელი სისხლი შენი? ესოდნად დიდს სიყვარულსა შენსა, რაოდნადცა გაქვავებული და გაცივებული გული იყოს, მაინც ვერღარ გაუძლებს რომ არ აღეგზნას იგი სიყვარულითა. ამისთჳს უფალო ჩემო, მიყვარ-ხარ შენ ყოვლითა გულითა ჩემითა და ყოვლითა ძალითა ჩემითა, მიყვარ-ხარ, ამისთჳს რამეთუ ხარ გამჩენი და დამხსნელი ჩემი, ბოლო ოხჭანი და ყოველი

კეთილი ჩემი, წყარო ყოველი კეთილისა, და ცხოვრებისა. მიყვარხარ და მირჩევნიხარ შენ უფროს ყოვლისა კეთილისაგან ზემო ხსენებულთა ყოველთა კეთილთა შენთათჳს და მიხარის ფრიად ამაზედ რომ ესრედ ყოვლად უმწვერვალესი საუნჯე და ყოველი კეთილი ხარ შენ და განკჳრვებული არს თანვე გული ჩემი ესოდენთა გამოუთქმელთა სისრულეთა ზედა შენთა, ამისთჳს შენ მოგნდობი-ვარ უფალო ჩემო, და შენ გავედრებ ყოვლითურთ თავსაცა ჩემსა.

## საქმე შეწირვისა.

წე, ყოვლად ტკბილო მაცხოვა-

რო ჩემო , ამიერით სრულად შენი უნდა ჳყო მე ჳდრე სიკვდილამდისინ . და რადგან შენ ყოვლითურთ მომანიჭე მე თაჳ შენი ამ წმიდა ზიარებაში , მეც ყოვლითურთ შემოგწირავ შენ თავსა ჩემსა , თჳნიერ რაჲმის დაზოგჳსა და დატოებისა ჩემთჳს . ამისთჳს შემოგწირამ შენ აწ სულსა ჩემსა , ყოველი შეძლებაებითურთ თჳსითა , ჴორცსა ჩემსა , ყოველი საგრძნობლებითურთ თჳსით და გულსა ჩემსა , ყოველი ნატვრითურთ თჳსითა . მაშ აბა , ჰოი თვალნო ჩემნო , ამიერით ნუღარ შეხედავთ უწმიდურთა და ცოდჳს მამიზეზებელთა საგანთა , ენაო ჩემო , დაბრძანდა რა შენზედ უფალი და ღმერთი შენი , ნუ-

ღარ წარმოსთქვამ ამიერით უწმი-
დურ და ბოროტთ სიტყვათა . . გუ-
ლო ჩემო , რადგან შენში დაისადგანა
და დაემკვიდრა მაცხოვარი და ღმერ-
თი შენი , ამისთჳს ნუღარ შეინახებ
ამიერით შენშიდ ბოროტთა ნატ-
ვრათა და სიამოვნებათა . რადგან
როგორათაც დიდი წმიდა წაპილო-
წჳს ცოდვა იქმნება იგი , თუ გაც-
მან ჩააგდოს წმიდა ბარძიმი ლამ-
ში ? ამავ ნაირად ყოვლად დიდი
გლისპობა იქმნება იმ პირისა ,
რომელმანცა გაამანკიეროს და შე-
ბილწოს ცოდჳთა ის სული და ის
ჴორცი , რომელშიაც დაემკვიდრა
თჳთ ღმერთი მაცხოვარი იესო .
მაშ არღარ , უფალო ჩემო , აღარ ,
ამიერით არღარ უნდა მოხვდეს გს-

ფერი საშინელი გლისპობა ჩემგნ-
ით, რადგან ამიერით მე არღარ ვე-
კუთვნი ჩემს თავსა, არამედ შენ,
და ამიერიდგან აღარც ეს ჩემი ნება
არის ჩემი, არამედ შენი, ჵი ტკ-
ბილო მაცხოვარო ჩემო, ამის გა-
მო ამიერით რაჲსაც ბრძანებ შენ,
მხოლოდ იმას შევასრულებ მე გულ
მოდგინედ, და როგორც შენ განა-
გებ ჩემზედ და ყოველს ჩემს რამე-
ზედ, ყოველში ჳტყჳ მუდამ, ეს-
რედ: » კურთხეულ იყოს უფალო,
ნება შენი » და რადგან ამიერით მე
აღარა ვარ პატრონი ჩემი თაჳსა,
არამედ შენ, ამისთჳს ამიერით
ცოცხალი ჳყო მე თუ მკვდარი, მი-
ნდა ყოველ თჳს შენი ჳყო, და ყო-
ველი რაჲც კი მაბადია მე, ჳთარცა

შენი მოცემულნი არიან იგინი, მინდა რომ შენნივე იყვნენ ყოველნი და ჳთარცა საკუთრებანივე შენნი, ეგრედ შენვე გვმართო თუ მე, და თუ ისინი ნებისაებრ შენისა და შენს სადიდებლად მარადის.

## საქმე თხოვნისა.

მაცხოვარო ჩემო, გევედრები არ წახჳდე ჩემგან თჳნიერ შენი წმიდა მადლებისა და კურთხეჳს მონიჭებისა ჩემთჳს. უფალო, რა ადგილსაცა რომ შენი კურთხეული ფერხი დაადგი, ყოველნივე აღავსე სიკეთებითა, და ისე ადგილს ფერხი არ დაგიდგამს შენ რომ მუნ მყოფთა ერთი დიდი მადლი და სიკეთე არ

მიელოსთ შენგან. მაგალითად: შე-
ბრძანდი რა მათე მახარებელის სახ-
ში, მოციქულობის მადლი მიანი-
ჭე იმას. ზაქეს სახლში მისულ-
მანცა, წმიდად გახადე იგი. პეტრე
მოციქულის სახლშიდ შესულმან,
განჰკურნე სნეული დედა კაცი იგი,
მიხვედი რა მართას სახლში, აღა-
დგინე მკვდრეთით ოთხი დღის მკ-
ვდარი ლაზარე, იერუსალიმის ტა-
ძარში შებრძანდი რა, განსდევნე
წმიდა ადგილის უპატიურად მო-
მპყრობნი ბოროტნი პირნი. შენი
საყვარელი მოციქულების კრებაში
მიბრძანდი რა, აღავსე იგინი წმი-
და სულითა შენითა, ლიმბოზში
ჩახვედი რა განათაჳს-უფლე სულნი
მამათ-მთავართანი ჲ აწ ჩემს საწ-

ყალობელს სულს კი არა ჯთარი მა-
დლი არ უნდა მოსცე შენი კურთხეული მოსვლითა ამაში? ნუ ჩემო იესოვ ნუ იქმნება ესრედ! არამედ მასშიდაცა გამოაცხადე ყოვლის შემძლებელობა შენი. ამისთჳს მსგავსად იაკობ მამა მთავარისა, მოგახსენამ აწ მეცა; უფალო, » არა წარგავლინო შენ, უკეთუ არა მაკურთხო მე » ( დაბადება. ლბ 26.) უამიერს სიკეთებს არა ვთხოულობ მე შენგან ჩემო იესოვ, არც სიმრთელესა, და არც სიმდიდრესა, რადგან ამისთანა რამებსა დავანდობ მე ყოვლითურთ შენს კურთხეულს ნებაზედ. ხოლო ჩემი სულის ცხონებისათჳს საჭირო მადლებსა და შემწეობასა კი ვთხოულობ შენგან, და ამის-

თჳს სიმდაბლით გევედრები უფა-
ლო, შენი ყოვლის-მპყრობელი
მკლავჳთა შეჰმუსრე ბოროტი ჩვეუ-
ლების ჯაჭჳ ესე ჩემი, რომელსაცა
მწარედ შეუკრივარ მე. ღვთიულო და
ზეციერო მკურნალო, გააჰკურნე
სული ჩემი დაწყლულჳლი ესრედ
ნაირ ნაირი ბოროტ მიდრეკილ-
ობის სენითა, და ამპარტავნობი-
თა. წმიდაო წმიდათაო, შეჰმოსე
სული ჩემი, განცარცული ესრედ
ყოველი კეთილისა და ყოველი სა-
თნოებისაგან. მამანიჭე მე სარწ-
მუნოება, იმედი, და სიყვარული,
რადგან ესენი არიან სული და სიც-
ოცხლე ჭეშმარიტი ქრისტიანისა.
მომანიჭე ჭეშმარიტი სინანული
ჩემს ცოდვებზედ, სიმდაბლე და

მოკვდინება, რადგან ესენი არიან თანამდებობანი ერთი მოქცეული ცოდვილისა, ამასთანავე მომადლე მე კორცის სიწმიდე, სიყვარული მოყვასისა, სიმშჳდე შეურაცხ ყოფათა შინა, მოთმინება ჭირთა შინა, შენს კურთხეულს ნებაზედ დანდობილად ყოფნა ზიანთა ჵ შეწუხებათა შინა, ძალა წინამდეგობის ქმნისა განსაცდელთა შინა, სულგრძელობა კეთილთა საქმეთა შინა, ჵ მხურვალება წმიდასა სამსახურსა შინა შენსა; რადგან თჳნიერ ამა სათნოებათა, არა ჴს შეუძლია გატარება შენდამი სათნო საყოფელი ცხოვრებისა. ერთი სიტყჳთ ღმერთო სულისა ჩემისა, მომანიჭე მე ის ყოველნი

მადლნი და შემწეობანი, რომელ-
ნიცა მეჭირებიან მე ცხონებისათჳს
სულისა ჩემისა, და უფროსი ერთი
გამძლეობა კეთილსა და უცოდვო-
სიცოცხლესა შინა სიკვდილამდე.
ვაჲ მე, ცოდჳლსა, ნუ თუ რა უნ-
და გარდამხდეს მე იმ საშინელს
წამსა სიკვდილისა ჩემისასა? ნუ
თუ უნდა ვჰსცხონდე? აჰ ღმერთო
ჩემო, დღეიდგანვე დაგავედრებ
შენ აწ იმ წამისათჳს სულსა ჩემ-
სა . . . რომ ჳთარცა შენ დაჰბადე
იგი, დაიხსენ შენი დაუფასებელი
სისხლითა და განჰბანე წმიდა მად-
ლითა შენითა, ეგრეთვე არ მიუშ-
ვა რომ წარწყმდეს იგი სამუდა-
მოდ ჯოჯოხეთში.

## საქმე დავედრებისა.

უფალო ჩემო იესოვ, შემდგომ ჩემი თაჳსა და სულისა ყოვლითურთ დავედრებისა შენს ხელში, გავედრებ შენ ყოველთა დაბადებულთაცა, და რადგან დღევანდელი დღე ესე მადლების თხოვნის დღე არის, და რადგან ყოველთა დაბადებულთა ჰსჭირჳათ წმიდა მადლი და წყალობა შენი, ამისთჳს გავედრებ შენ ნათესავთა, მეგობართა, კეთილისმყოფელთა ჩემთა. და საცალკეოდ (სახელი ჳსიც გენებოს.) და გევედრები, ნუგეშინი-ეც მათ, მიანიჭე მადლი სინანულისა ცოდვათაზედა თჳსთა და შეიწყალე იგინი. შენ გავედრებ მტერთა, ბოროტის

მყოფელთა , და მდევნელთა ჩემთა-
ცა , მიანიჭე იმათაც კეთილი , მშჳ-
დობა და სიყვარული შენი . გავედ-
რებ შენ კვალად ყოველთა ცოდჳ-
ლთა , ურწმუნოთა და მწვალებელ-
თა მიანიჭე იმათაც უფალო , წმი-
და მადლი და ნათელი შენი . გავედ-
რებ შენ გლახაკთა , სნეულთა , შე-
წუხებულთა , და სულ-ამომავალთა-
ცა , მიჰმადლე იმათაც უფალო , შე-
მწეობა , მოთმინება , და ნუგეშინი-
ს-ცემა შენი . გავედრებ შენ საერ-
თოდ ყოველთა მსახურთაცა ეკლე-
ესიისათა , და მეტადრე უმწვერვალ-
ესის მამათ-მთავარსა , ეპისკოპოზ-
სა , ბაროხსა , და განდოს მამასა
ჩვენსა , მიანიჭე ამათაც უფალო ,
მადლი სიწმიდისა , სიბრძნისა , და

კეთილი შური სულების ცხონებისა. გავედრებ შენ კვალად ქრისტიანთა ჴელმწიფეთაცა, რომელთაგან წინ წარმოვალს ჟამიერი ბედნიერება და კეთილ-დღეობა ყოვლისა ერისა, გევედრები მიანიჭე იმათაც ერთობა და თანხმობა ერთმან ერთშიდ, მშჳდობა, და კეთილი შური სიმართლისა. დაგავედრებ შენ განსაწმედელის სულებსაცა და საცალკეოდ (სახელი ჳსიც გნებავს.) შეუმოკლე მათ ის მწარე სატანჯველი, რომელსაცა სწევენ იგინი მუნ, და მიანიჭე მათ საუკუნო დიდება იგი სასუფეველისა. დასასრულად, ჩემო იესოვ, დაგავედრებ შენ საზოგადოდ ყოველთა დაბადებულთა; რადგან ყოველნი

არიან დამჭირნენი მოწყალებისა და შეწევნისა შენისანი და ყოველნივეცა ღაღადებენ შენდა მომართ; აცნობე მათ უფალო, რომ ხარ შენ ჭეშმარიტად მამა მოწყალებისა და ღმერთი სიტკბოებისა.

შემდგომად წმიდა ზიარების მიღებისა ჯუარცმის წინ სათქმელი, სრული შემდობიანი ლოცვა.

ყოვლად კეთილო და ყოვლად საყვარელო ჩემო იესოვ, აჰა დავარდომილი წინაშე უწმიდესისა აწმყოობისა შენისა, გევედრები შენ ფრიად აღტყინებული და მხურვალე გულითა, რათა აღბეჭდო ჩემს გულში გრძნობანი სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა, სინანუ-

ლისა და წუხჯლისა ცოდვათა ჩემთა ზედა, და მტკიცე პირობის დადებისა ამიერითგან არღარ შეწყენისათჳს შენი; და ამასთანვე სრული სიყვარულითა და ფრიადი გულ მომწვავობითა წარმოჳდგენ და განჳზრახავ მე წმიდათა ხუთთა დაკოდილებათა შენთა, დაწყებით ეგრედ ჳთარცა ამბობს შენზედ, ჵი ღმერთო ჩემო, წმიდა წინასწარმეტყველი დავითი: « განხვრიტნეს ჴელნი ჩემნი და ფერხნი ჩემნი. და აღრაცხეს ყოველი ძვალები ჩემი » (ფსალმუნი. კა. 16.)

* სთქვ ერთი მამაო ჩვენო. გიხაროდენი, და დიდება მამასა, საჭიროებათათვის წმიდისა ეკკლესიისა, და მოსაგებლად სრული შენდობისა.



A. Nüesser pinx. 353 A. Pickel sc.

Benziger frères Editeurs, à Einsiedeln, New-York & Cincinnati.

Ne craignez plus les coups du sort,
Car Jésus a vaincu la mort.

მოკლე ლოცვანი ქრისტეს მიერ მიცვალებულთათჳს სათქმელნი თჳთოეულსა დღესა შინა შჳდეულისასა

კჳრიაკდღეს სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, და ყოვლად მოწყალეო ღმერთო ჩემო, გევედრები ყოვლად წმიდა ვნებისა და დაუფასებელი სისხლისათჳს საყვარელი ძისა შენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენება საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოველთა სულთა მათ განსაწმედელისათა და მეტადრე სულსა მას რომელიც არის ყოველთაგან უფრო უპატრონო და დატოვებული შეუწყ-

ვრელად და სწრაფად აღიყვანე იგი სასუფეველში საქებლად და სადიდებლად შენი სამარადისოდ.
მამაო ჩვენო. გიხაროდ. ღრმით.
ამოდადად ვჰყავ. და სხვაც.

ორშაფათობით სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, და ყოვლად მოწყალეო ღმერთო ჩემო, გევედრები ყოვლად წმიდა ვნებისა და დაუფასებელი სისხლისათჳს საყვარელი ძისა შენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენება საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოველთა სულთა მათ განსაწმედელისათა და მეტადრე სულსა მას რომელიც არის ყოველთაგან უფრო ადრე გამ-

ოსასვლელს განსაწმედელისაგან .
რათა სწრაფად დაიწყოს ქება და
დიდება შენი სასუფეველში .
მამაო ჩვენო . გიხაროდ . დრმით :

## სამშაფათობით სათქმელი .

ყოვლის მპყრობელო , და ყოვლ-
ად მოწყალეო ღმერთო ჩემო ,
გევედრები ყოვლად წმიდა ვნები-
სა და დაუფასებელი სისხლისათჳს
საყვარელი ძისა შენისა და უფლისა
ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენე-
ბა საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყო-
ველთა სულთა მათ განსაწმედელი-
სათა და მეტადრე სულსა მას რო-
მელიც არის ყოველთაგან უფრო
ბოლოს გამოსასვლელი განსაწმე-

ნდელისაგან რათა არ შეყოვნდეს იგოდენს ხანს ქება და კურთხევა შენი მისგან სასუფეველში.
მამაო ჩვენო. გიხარ*დ. დრმით.

ოთხშაფათობით სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, და ყოვლად მოწყალეო ღმერთო ჩემო, ბევედრები ყოვლად წმიდა ვნებისა და დაუფასებელი სისხლისათჳს საყვარელი ძისა შენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენება საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოველთა სულთა მათ განსაწმედელისათა და მეტადრე სულსა მას რომელიც არის ყოველთაგან უფრო მდიდარი ჯვაწლითა და სასყიდლითა წინაშე

თვალთა შენთა რათა დაიმკჳდრო-
ის მაღალი ადგილი რომელიც უცს
დის მას სასუფეველში და გადიდოს
შენ უკუნისამდე.

მამაო ჩვენო. გიხაროდ· ღრმით.

### ხუთშაბათობით სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, და ყოვლად მოწყალეო ღმერთო ჩემო, ზეგედრები ყოვლად წმიდა ვნებისა და დაუფასებელი სისხლისათჳს საყვარელი ძისა შენისა და უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენება საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოველთა სულთა მათ განსაწმედელისათა და მეტადრე სულსა მას, რომელიცა ყოფილა ყოველთაგან უფრო მხუ-

რვალე ყოვლად წმიდა ზიარების
საიდუმლოსი რათა მის მიერ გაქ-
ოს და განდიდოს შენ სწრაფად სა-
სუფეველსა შინა ცათასა.
მამაო ჩვენო. გიხაროდ. დრმით.

### პარასკევობით სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, და ყოვ-
ლად მოწყალეო ღმერთო ჩემო,
ზევედრები ყოვლად წმიდა ვნებისა
და დაუფასებელი სისხლისათჳს საყ-
ვარელი ძისა შენისა და უფლისა ჩვე-
ნისა იესო ქრისტესი განსვენება
საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოვე-
ლთა სულთა მათ განსაწმედელისა-
თა და მეტადრე სულსა მას, რომე-
ლთათჳსაც უფრო თანამდები ვარ

მე ლოცვად შენდამი, რათა არ დაშთნენ იგინი დიდხანს ბრალითა ჩემითა განსაწმედელში.

### შაფათო-ბით სათქმელი.

ყოვლის მპყრობელო, დ ყოვლად მოწყალეო ღმერთო ჩემო, გევედრები ყოვლად წმიდა ვნებისა დ დაუფასებელი სისხლისათჳს საყვარელი ძისა შენისა დ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი განსვენება საუკუნო მიანიჭე საერთოდ ყოველთა სულთა მათ განსაწმედელისათა დ მეტადრე სულსა მას, რომელიცა ყოფილა ყოველთაგან უფრო მხურვალე ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა, რათა სწრაფად მოჲ-

ღეს იგი დიდებასა შინა სასუფევე-
ლისასა საქებლად და სადიდებლად
შენი ძისა შენისა და სული წმიდი-
სათანა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.
მამაო ჩვენო. გიხაროდ. დრმით.

ლოცვა თხოვნისათჳს ღვთისაგან
ჴორცის სიწმიდის სათნოებისა.

ქალწულთა მეუფეო, და ფრიად
მოყვარულო სიწმიდისა და უხრწნე-
ლობისაო, უფალო ჩემო, ვევედ-
რები სიმდაბლით ზეციერი ცვა-
რითა მაგით კურთხევისა შენისათა
განაქარვე ჩემს ჴორცშიდ აღნთებუ-
ლნი ნაპერწკალნი გულის-თქმისა-
ნი, რათა ჰგიებდეს ჩემშიდ ჴორ-
ცის სიწმიდის კეთილ-დარიგება



A. Nauer pinx. 818 A. Pickel sc.

Benziger frères Editeurs à Einsiedeln New-York Cincinnati et S. Louis.

Il descend içi-bas pour m'élever au ciel,
Il veut naître en l'étable et s'abreuver de fiel.

სულის კერძოდ თუ ჴორცის კერძოდ. მოაკვდინე საგრძნობელთა-შინა ჩემთა საწერტელნი ჴორცისანი და ყოველნი უჯერო მოძრაობანი გულის-თქმისანი, რათა განვატარო ცხოვრება ჩემი მარადის წმიდა გულითა, ჴორცის სიწმიდითა, და სათნო გეყო შენ უბიწოებითა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მიერ, ამინ.

ორმოცეული კურთხევანი შობისა.

კურთხეულ არს ჟამი იგი ჩი ქალწულო მარიამ, რომელსა იქმენ დედა ღვთისა. ათ. გზის გიხაროდენით.

კურთხეულ არს ჟამი იგი ჩი ქალწულო მარიამ, რომელსა ჰშევ ძე

ღვთისა. გიხაროდენით. ათ გზის.

კურთხეულ არს პირველი წვეთი იგი სძისა შენისა ჩ̃ი ქალწულო მარიამ, რომელიც სწოვა ძუძუთაგან შენთა ძემან ღვთისამან. გიხ.

კურთხეულ არს პირველი მომთხვევა იგი ჩ̃ი ქალწულო მარიამ, რომ მოემთხჯე ღვთიულ ბაგეთა ძისა ღვთისა. გიხ.

## ნანნი იესოსი.

მოისვენე მოსვენე შჳლო ჩემო საყვარელო, ტკბილის ძილით დაიძინე, გულს ნათელი მოიფინე. ნანნი. ნანნი. ნანნი. ძეო მამის საყვარელო.

ზეცით მოსულო ნათელო, სა-

სუფეველის სანთელო, ამა ქვეყნისა დამსხნელო. ნა. ნა. ნა. შჳლო ჩემო საყვარელო.

შენ ხარ იმედი დედისა, და მერმე სრულ ამ ქვეყნისა, ენა მომეც გალობისა, რომ ნანნი გითხრა ქებისა. ნანნა. ნა. ნა. ძეო ნათლით შემოსჳლო.

ეს აკვანი ცუდი ხისა, შენ ხარ ვარსკულაჲ ცისკრისა, თვალის სინათლე დედისა და დამსხნელი ამ სოფლისა, ნანნი. ნანნი, ნანნი. შჳლო ღვთისა მაღლისაო.

ნათლით მოხვედ ნათელი ხარ, მე შენ გიცნობ მართალი ხარ, შენ ადამის დამსხნელი ხარ, ღვთისა მიერ მოსული ხარ. ნა. ნა. ნა. მზეო დაუღამებელო.

დილის მზე ხარ ამოსული, ზე-ცისაგან ჩამოსული, ჰევედრები ჩემო შჴლო განმინათლე ჩემი გუ-ლი. ნა. ნა. ნა. ლბილო დაუფასე-ბელო!

შენ გაქებენ სერაბიმნი, გიგა-ლობენ ქერაბიმნი, შენ ხარ ჩემი დიდი ლხინი, მზე ხარ ქვეყნად ამო-სული. ნა. ნა. ნა.
მსხნელო წმიდა სულებისა.

შენ ხარ მამა ობლებისა. შემ-წყალე გალხაკებისა, დიდი შვება მართლებისა, იმედი ცოდჳლებისა. ნა. ნა. ნა.
ძევ მამისგან განუყრელო.

შენ დაჭჳყარ ზღვა ჵ ჴმელეთი, ანგელოზთა გიპყრეს ჴელი, შენ-გან განათლდების ბნელი, განიხა-

რებს ჩემი სული. ნა. ნა. ნა.
შენ ხარ ბრწყენი აღდგომილი.

სრულო ღმერთო! სრულ კაცო, ანგელოზთაგან კმობილო. მამისგან იყავ უდედოდ, ჩემგან უმამოდ შობილო. ნა. ნა. ნა.
ტრედო ზეცით მოფრენილო!

შენ ხარ ტრედი მოფრენილი, სულისა წმიდისა მიერ შთამესახე უცნობელი, ანგელოზის კარებითა. ნა. ნა. ნა.
კრაო ნათლით შემოსვილო.

ჯერ ხარ მამა, მერმედ შვილი, ნათლის ზეწრით შემოსვილი, იოსებ მოგცა ბაგა ძველი, საბრალობით შემოსვილი, ნა. ნა. ნა.
მაცხოვარო კაცთა მსხნელო!

ახლა მარტო ბოსელში ხარ სა-

ბრალობით უკაცურად, მე შეგწირე ჩემი სული და საბრალო ჩემი გუ-ლი. ნა. ნა. ნა.

იესოვ მარადის ქებულო.

ხარობენ ზეცისა დასნი,
გიგალობენ. ნანნი. ნანნი.
განეცხადე მწყემსთა მწყემსი,
ყოველთა დამბადებელი,
იესოვ შენ გეყავნ დიდება,
ქალწულისაგან შობილსა,
მამის და სულისა თანა უკუნითი
უკუნისამდე. ა მ ი ნ.

## გრძნობა იესოს მიმართ.

იესო ანგელოზთ სამკაულო,
ყურსა ხარ გალობა ტკბილი,
პირსა თაფლი საკჳრველი,
გულსა ზეცის სასუმელი.

ჯნც გჭამენ შენ უფრო ჴშიანთ,
ჯნც გსმენ შენ უფრო ჴსწყურიანთ
სხვა არდარაფერს ნატრობენ
თუ არ შენ რომელს გყვარობენ.

ჵი იესო, ტკბილო იესო,
სულმთქმელი სულისა სასო,
შენ გეძებთ მხურვალე ცრემლით
დ͠ გიწოდებთ ღაღადებით.

უფალო, ჩვენთან დამკჳდრდი
მოგვფინე ნათელი შენი
განაძიე ჩვენგან ბნელი
შვებით აღავსე სოფელი.

ქალწული დედის ყვავილო,
ჩვენო ტკბილო სიყვარულო,
შენ გეყავნ მარადის ქება
პატიჳ, ძალი, დიდება. ა მ ი ნ.

## გრძობა ღვთის მშობლისა მიმართ.

ჰოი ქალწულთა უმაღლესო, ქალწულო შენ, დედუფლად გჳრგჳნოსანი, ზეცას ხარ შენ.

გამჩენს შენსა ყრმას იესოსა აღზრდიდი შენ. აწოებდი ძუძუთაგან, ტკბილს რძესა შენ.

ევასაგან სასოება, მიგვედო ჩვენ. იესოს შობით მეორე გზის მოგვმადლე შენ.

სამოთხის დახშულნი კარნი განგჳღე ჩვენ, ადამის ცრემლოვან შჳლნი გვაცხოვნენ ჩვენ.

შენ მადლის მეუფის ბჭედ გცნობთ დედუფალსა, საღმრთო ნათლის ეზოდ გხადით წმიდა სძალსა.

ერნო ქალწულით მოცემულს ცხოვრებასა, ქალწულ დედითვე ვკადრებდეთ დიდებასა.

დიდებასა გწირავთ იესოვ, ერნი შენნი. ქალწულისაგან იშობე მხსნელი ჩვენი.

მამით და სულით თაყვანს გცემთ ცოდვილთ ერნი, მარად და უკუნისამდე ქების მთქმელნი . ა მ ი ნ.

გალობა .

უბრწყინვალესმან ვარსკვლავმან ცისამან, აღმოფხვრა ნერგი იგი ბოროტისა სვრისა, რომელიც დანერგა პირველმან მამამან ჩვენმა მან ადამმან.

იგივე ვარსკვლავჯ აწ იკადრებდეს, მანვებელთა მათ ვარსკვლა-

ვთა ჳსძლევდეს, რომელთა ბრძოლანი აწ̃ მოსვრენ ერსა, შერისხოს სვრასა ჩ̃ არ გვაჭირვებდეს. ჩ̃ არ გვაჭირვებდეს.

ჵი ვარსკულავო ზღჳსაო, ჩვენ შეგჳსმინე! დედუფალო წმიდანთაო ცოდჳლთა გჳხსნე, ყოველისა თხოვნილსა მოგცემს ძე შენი, ბოროტისა სვრისაგან ჩვენ განგვარინე ჩვენ განგვარინე.

ჵი სახიერო იესო! შეისმინე ჩვენი, ჩვენთჳს გევედრება ქალწული დედა შენი, შენს მოწყალებას ჩვენ არა ღირს ვართ, ღირს არს ის მოგვმადლო მეოხედ ჩვენდა მეოხედ ჩვენდა.

ა. მეოხ მეყავ ჩვენ წმიდაო ღვთის მშობელო.

მ. რათა ღირს ჳქმნათ აღთქმა-თა ქრისტესთა.

### ვ ი ლ ო ც ო თ.

ღმერთო მოწყალეო, ღმერთო სახიერო, ღმერთო მომტევებელო ცოდვათა ჩვენთაო, ღმერთო რომელმან შეიწყალე ჭირნი ერისა შენისანი და არქუ ანგელოზსა მას მომსვრელსა დაასყენე ხელი შენი მოწყვეტისაგან ერისა, გევედრებით სიყვარულისათჳს ყოვლად დიდებული ქალწული მარიამისა, რომლის პატიოსანთა ძუძუთა უტკბილესად ჰსწოვდი წამლად გესლოვანთა ცოდვათა ჩვენთა, შემეწიენ ჩვენ რათა ყოველთა სვრათა-

გან, ანაზდეული სიკვდილისაგან და ყოველი წარმწყმედელისა შემთხვევჳსაგან დაჳხსნებოდეთ, შენ მიერ იესო ქრისტეო, მეუფეო დიდებისაო, რომელი ცხოველ ხარ და ჳსუფევ უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

ჳროქევ წმიდაო გიხაროდენ, დიდტომისაგან შობილო შენ, ჯვრისა ხატით აღბეჭდილო, მარცხენა გვერდსა ზედა შენ.

ჳროქევ მწირობით ბეცოცხლე, სვრის სენისათჳს მეოხევ, საკჳრველად განმკურნელო, ჭირვებულთ ჴელი შეახევ.

ჳროქევ ჩინებულო ღვთისაგან ჴმობილო ანგელოზისაგან, უფლისაგან მოგეცა ძალი, მლხინებელად

მწარე სვრისა, მღხინებელად მწარე სვრისა. ა მ ი ნ.

ა. ევედრე ჩვენთჳს ნეტარო როქვ.

მ. რათა ღირს ჳქმნათ განრინებად სენისა მის სვრისაგან.

ვ ი ლ ო ც ო თ.

ღმერთო რომელმან ანგელოზისა მიერ შენისა, აღწერილი ფიცარი მიანიჭე ნეტარსა როქეს და აღუთქჳ მას ყოველმან, რომელმან ჰხადოს იგი, არა ევნოს სენისა მომსვრელისაგან: ვევედრებით მომეც ჩვენ მვედრებელთა მისთა განრინება სვრისაგან სულისა და ჴორცისა მადლითა და შეწევნითა მისითა ქრისტეს მიერ უფლისა ჩვენისა. ა მ ი ნ.

ფიქრში შესანახი დასაწყისები გინა პრინციპები.

1. ცხოვრება კაცისა არის ბრძოლა და იმისი გამარჯვების გჳრგჳნი სასუფეველი.
2. ზარმაცობა არის დედა ყოველი შეცდომილებისა.
3. რომელნიც პატივს-ჰცემენ მშობელთა თჳსთა, პატივ-იცემებიან შჳლთა თჳსთაგან.
4. ჳნც იცის მორჩილობა, იგი შეიძლებს ბრძანებასაცა.
5. შრომა არის დედა ბედნიერებისა.
6. ფულით თამაშობა არის შოსვ გზა საპყრობილეში შესვლისა.



633.

Benziger frères, à Einsiedeln, New-York, Cincinnati et S. Louis.

## Mort de S. Joseph.

O Joseph assisté par Jésus et Marie.
Réjouissez ma mort, montrez-moi la patrie.

7. რომელი საქმის ჯეროვნებასა ზედაცა ეჭვნეულებდე, განშორდი იმას.

8. სისუფთავე დაგჳცვამს მრა-ვალ-ნაირი ავათმყოფობისაგან და ამასთანვე გაგვხდის მიჩნეულსა და პატივ-ცემულს სხვათაგან.

9. მეცადინეობა, კეთილ შეზავე-ბულობა ყოველს რაჲმეში, და რიგის კნონის შენხვა არიან დამ-ცველნი კაცის პატიოსნებისა.

10. სესხი (ვალი) არის მსგავსი თოვლა გუნდისა, რომელი რიერ-თიც დაგორდება, იმდენად უფრო თოვლს აიკრამს და გადიდდება.

11. საჩატიობა არის ნიშანი კა-ცის ტამდეობისა.

12. ყოველს რასმეში ნელა გაი-

არე.

13. ჳსაც არ უყვარს ღმერთი, არც ეყვარება მოყვასი, და არცა სხვანი შეიყვარებენ იმას.

14. გამძლეობით დათმენა ამ ქვეყნის სიმარცხეთა და უბედურობათა უმთვრო დიდი მხნეობა არის. ვი-რემც გარდრჩენა მხნეობით თაჳსი თაჳსა ბელთაგან მოსისხლე ავა-ზაკთა.

15. შრომა და მუშაობა ღვთისა-გან დადებული ვალია ყოველა კა-ცისათჳს, და არავის შეუძლია თაჳდ-გან მოცილება მისი,

16. კაცის კეთილ დღეობა და ბე-დნიერება თაჳსი წოდების თანამ-დებობაების შესრულებაში მდგო-მარეობს.

17. კაცის წარჩინბულობას, დიდებას და პატიოსნებას გამოაცხადებს გულივე მისი.

18. კაცი თაჳსი პატიოსნებითა და კეთილობითა სხვებსაც კეთილდღეობაში და ბედნიერებაში შეიყვანს და თაჳს თავსაცა.

19. ვინც თაჳსი წოდების თანამდებობას და ვალს არაოდეს მოაკლდება ნებიერად, ის არის ყოველთა კაცთაგან უბედნიერესი.

20. ბევრნი არიან იმისთანა ლაქა გულის კაცნი, ჯდრე ყურად დებას აძლევენ, კრიტიკას, და გაცინებასა უღმრთოთა და რეგვენთა კაცთასა და ეგოდნად ეშინიანთ მათგან, რომ ვერ გაუბედავსთ ცხადათ შესრულება თაჳანთი სარწმუ-

ნოების თანამდებობისა, და ვერცა გატარება ცხოვრებისა ეგრედ, როგორათაც კეთილი ზნეობის ჴსჯული თხოვულობს.

21. როგორც ზარმაცობასა და ზანტობასა ფეხდა ფეხ მოსდევს გლახაკობა, ესრეთვე ჭამა-სმაში უზომიერობასაცა სნეულობა.

22. ხშირად მოსტყუვდებიან ისინი, რომელთაც თაჳნთ ჭკუაზედ მინდობით სამართლიერად ჰგონიათ თავიანთი ნაქმნარი საქმები.

23. ჳნც ნიჭიერი და მეცნიერი იქმნება, განაკჳრვებს კაცთა, და ჳნც ნიჭიერებასთან ერთად იქმნება თანვე კეთილი და ღვაწლით შემოსჳლი შეჰყვარდება იგი ყოველთა.

24. ნიჭნი სულისანი არიან შემდეგნი: გულ-ხმიერება, რომლით განარჩევს სული საგანს, მგრძნობელობა, რომლითაცა გრძნობულობს, მეხსიერება, რომლითაც მოიგონებს განვლილთა, გამოხატულობა, რომლით წარმოიდგენს ფიქრში ნახულს ანუ სმენილს. განსჯა, რომლით განსჯის წრფელს წრფელად და მრუდს მრუდად, და ნება, რომლით აღირჩევს იმას, რომელიც უნდა მას.

25. მეგობარი ძმად გვყავს ჩვენ გამორჩეული.

26. სწორე მეგობარს არაოდეს გამოეცვლება გული, და იმისი გამოცდელი სპონდიო (შაანგის ქვა) არის მარცხი.

27. მოჩვენებულნი და ტყვილნი მეგობარნი მსგავსნი არიან იმ მოფ-რინველებისა, რომელნიცა ზაფ-ხულში მოვლენ და ზამთარში უ-კანვე წავლენ.

28. სუფრის და ჭამა-სმის მეგო-ბრები თაჳანთ მეგობრობას სა-ლფეთქებში წახვეულს სუფრაზევე დასტოვებენ.

29. თუ გინდა გაიცნო ჳნმე და სწორე ჭკჳა მოიდო იმის ყოფა-ქცევაზედ? იკითხე და შეიტყე თუ ჳნ და რა ნაირი პირნი არიან იმისი მეგობრები.

30. ჳნც ამ ქვეყნის საწუთო რა-მებს ისე მოიხმარებს როგ-ორც მგზავრი და სტუმარი, ის გახდება მოქალაქე ზეციერი სასუ-

ფეველისა და მემკჳდრე ყოველი სახის ბედნიერებისა.

31. რომელნიც ამ ქვეყნის რამე-ბზედ დაფუძვნენ თაჳანთს სასო-ებასა, ეშინოდესთ არ მიიღონ ბოლოს ბოროტი აღსასრული.

32. ამპარტავნობა და თაჳანთ ჭკუ-აზედ მინდობილობა არის, რომ-ლითაც ახალ გაზრდანი ვერ გახდე-ბიან ხოლმე ხშირად დახელოვნე-ბულ და დიდს საქმეში გამოსადეგ პირებად.

33. უმადურობა და სიკეთის დაუ-სწავლელობა არის საძულველი ღვ-თისაცა და კაცისაცა.

34. შური, რომელიც გაუზრდელი და ბოროტი სულის მექონე კაცის საკუთრებაა, აღაშფოთებს მშურ-

ნისავე სულსა და გარყვნის გულსა მისსა.

35. გიყვარდეს მეგობარნი ღვთისათჳს და მტერნიცა ღვთის სიყვარულისათჳს.

36. უწმიდური ლაპარაკი და უჯერო შექცევა გააპირუტყვებს კაცსა და განამზადებს ბოროტზედ.

37. წარჩინებული კეთილობა კაცის ხასიათისა, მისი ყოფა ქცეჳსა, ლაპარაკისა, წერისა, და სხვა ყოველი რაჲმისა, სიმდაბლეში და მარტივობაში მდგომარეობს.

38. მშვენიერება თჳნიერ საბატიოობისა და კეთილობისა არაფრად საჭირელია და არც არაფრად გამოსადეგი.

39. კაცის ცხოვრების ყოველი

საქმე ძჳრ ფასად და დიდად შესარცხვი იქმნება, თუ რომ იმათს აღსასრულსა, და იმათზედ მისაგებელს ანგარიშს კარგად დავჭვრიტამთ.

40. კაცის ცხოვრებაში ყოველნი მოვლინებანი, შემთხვევანი, შეიქმნებიან, სამართლიერნი, კეთილნი, და სასარგებლონი თუ რომ იმ ნაირად დავჭვრიტამთ და მიჯდებით იმათ, როგორათაც წინადვე განუსაზღვრამს იგინი ღმერთსა.

41. მოკლეა კაცის ცხოვრება; და სააქაოს ამ ცოტა ხნის სიცოცხლეში კაცისთჳს პირველ დასაჭირნი და სასარგებლო საქმენი არიან მხოლოდ წმიდა ცხოვრების გატარება, და საზოგადოებისათჳს სიკეთის ქმნა.

42. მდიდარნი თითქმის არასოდეს იმყოფებიან ბედნიერებაში და კეთილ დღეობაში, ამიტომ რომ ზოგნი მათგანნი ანგაჭარებით არ ხმარობენ თაჳანთ ქონებასა, და ზოგნიცა ბოროტზედ ხმარობენ იმას.

43. კაცსა თაჳს სიცოცხლე მძიმე ტჳრთად გამოუჩნდება, თუ რომ დაჭირებითად არ მიეჩჳა იგი ამ ორ რამესა, ჳთამც, ჰაერის სიფიცხესა (ავდრიანობასა) და კაცთა უსამართლოებასა.

44. კაცთ მოყვარება და სიმართლე გჳბრძანებენ, ჳკისროთ ხოლმე მოთმინებით უძლურებანი და ნაკლებულობანი მოყვასისანი: ნუ თუ მკურნალი განურისხდება სნეულსა? და ნუ თუ უძლურობა და ნა-

კლებულობასცა მოყვასისსა არ არის სნეულება მისი?

45. სიცოცხლე მობარებულია ჳთა-რცა განძიამანათად (დეპოზიტოდ) ღვთისაგან, ჲ ჳნც ამას ულალატებს ჲ ჰელს შეახებს კაცის მკვლელია.

46. სარბიელის ბოლოს მიიღებს გჳრგჳნსა მძლეველი; ჲ სიცოცხ-ლის დასრულების დროს სასყიდე-ლსა ღვაწლით შემოსჳლი.

47. უფალნო ჲ მონანო, მხედა-რნო ჲ ფილოსოფოზნო, მდიდა-რნო ჲ გლახაკნო ჰსცანით რომ მრთელი ცხოვრება კაცისა შეიცვა-მს ამ ორ რამესა, ჳთამც, დათმე-ნასა ჭირთა ჲ ბოლოს სიკვდილსა.

48. ქონებასა მდიდართა, გამარ-ჯვებასა მხნეთა, დიდებასა მფლო-

ბელთა არა რაჲად გარდასაქცევს ხოლმე სამარე. ამისთჳს ნამდჳლი აღწერილება კაცის სიცოცხლისა არის დათმენა შეწუხებათა, და უნდა არ უნდა დატოება ბოლოს ყოველთა საწუთო სიკეთეთა, რომლით კაცის ყოველი დიდება და ქონება არიან მიწა მტვერნი და მიწა მტვერადვე მისაქცეველნი.

49. დიდი ხნის სიცოცხლე, დიდ ხანს სიკვდილის მოლოდინებაა.

50. სიმარცხეზედ უკეთესი მასწავლებელი არ მოიპოება ქვეყანაზედ.

51. ჳნც შენ გელაქუცება, იცოდე, შენი კბენა უნდა იმას.

52. ფულით ქაღალდის თამაშობაში ჯერ თჳს გულს წააგებს კაცი და მერე ოქროსა და ვეცხლსა.

53. გიყვარდეს სიმდაბლე, რამე-თუ ჳთარცა სირი, თუმც კი პატარა მფრინველია, მაგრამ არწივზედ უფრო ბედნიერია.

54. ფარულად ნაქმნარი საქმები რაგინდ რა უმანკონიც იყვნენ, მა-ინც ყოველთჳს საეჭვონი არიან.

55. ჳნც თაჳს ნაკლებულებას გა-რკად სცნობს, იგი სრულ ადჳლად მოიზნობს იმას. და ჳთარცა სნეუ-ლება ცნობილი ნახევარ განკურნჳ-ლად შეირაცხება, ესრეთვე ცნობი-ლი ნაკლებულებაცა ნახევარ მოზ-ნობილად.

56. როგორც სხვების სახლშიდ შეგნებულად და პატიოსნად უნდა მოიქცეს კაცი, რადგან სტუმარია, ესრედვე თაჳს სახლშიდაცა; რად-

გან მაინძელობის თანამდებობის აღმასრულებელია.

57. ერთს რეგვენს იმდენი ჭკუა როდი აქვს რომ კარგი და კეთილი გახდეს.

58. როგორც მეცნიერება და ჭკუა მოაშოვნინებს კაცს დიდს სახელსა, ამავე ნაირად მხოლოდი კეთილი ზნეობაა, რომელიც მოაშოვნინებს კაცს დიდს პატივსა და იმა პატივშივე დაიცვამს მას მტკიცედ.

59. ამპარტავნობა ქონებაში და სიმდიდრეში კი არ მდგომარეობს, არამედ კაცის გულში.

60. უდროოდ ქმნილს საქმესა დროება არ დაზოგამს.

61. ავს კაცებს ესა აქვსთ თავანთ დასაწყისად (პრინციპად) რომ ყო-

ველი ბოროტი და ზნობის წინამღდეგი საქმე , როდესაც გამოსადეგი იქმნება იგი თავიანთი ინთერესისა და სარგებლობისათჳს , სამართლიერი არისო , იტყჳან , და რომელი საქმეც რომ იმათი ამპარტავნობისა და შესაძინის წინამღდეგი იქმნება , ის დასასჯელიო .

62 . რომელნიც კეთილს დარიგებასა და რჩევას მისცემენ სხვებსა , მაგრამ თჳთან კი საქმით არ აღასრულებენ მას , ემსგავსებიან სახელმწიფო შოსე გზიებზე დარჭობილ სვეტებსა , რომელნიც სხვას გზას უჩვენებენ , მაგრამ თჳთან კი ადგილიდგან არ შეიძრებიან .

63 . სიამოვნება მსგავსია იმ ცოტა ხანს გამძლე ყვავილისა , რომე-

ლიც ამოდის გარდასაჩეხელ ქარა-ფის პირებზედ, საიდგანცა გარდაც-ჳნულნი იღუპებიან მრავალნი მათ-განნი, რომელნიცა განიწონებენ ჴელსა მოსაწყვეტლად მისი.

64. რაოდნათაც უფრო უკანონო გზით აღვალს ჳნმე დიდობაზედ, ეგოდნად უფრო დაჰკარგამს იგი კეთილსა ზნეობასა.

65. ავად მოლაპარაკის და მძრახ-ველის პირი მსგავსია ჰქარამი ფუ-ტკრების სკისა, საიდგანაც გამო-სული ფუტკრები ჰკბენენ ყველასა.

66. ერთი ბრძენი კაცისაგან პატ-იჳს მიღება უმჯობესია, ჳრემც ათასი რეგვენისაგან.

67. შენდობა ბრალისა და მიტე-ვება, საკუთრებაა კეთილი გულისა,

როგორც მოყვასის შებრალება და შეწყალებაცა კეთილი სულისა.

68. თუ რომ ყოველთჳს შევუსმენდეთ გულის ტანჯჳს კმასა, აღარ ჳქმნებით აღარაოდეს გატანჯულნი მისი კბენისაგან.

69. როგორც საჭიროა გარეული სისუფთავე, ეგრეთვე საპატიობაცა ყოფა ქცევაში, რადგან ამაებით პატივს ჰსცემს კაცი თაჳს თავსა და სხვიებსაცა.

70. შრომა და მუშაობა სათნოებისა და ღვაწლის მცველნი არიან.

71. ჰყავ კეთილი, რათა მხიარულ იყო.

75. კეთილ დღეობა და ბედნიერება კაცისა დამოკიდებულია იმის კეთილად სიცოცხლეზედ.

75. კეთილი იყავ, რათა გაბედნიერდე.

74. თაყვანი ეც და ემსახურე ღმერთსა, შეუდეგ სიმართლესა, და გიყვარდეს მამული.

72. სიმართლე არის უზენაესი კავშირი საზოგადოებისა.

76. ჳნც უსამართლობას დასთესამს, მომკობს სიმძულვარესა და შურის ძიებასა.

77. უზომოდ მხარჯველის ბოლო მწარე სიგლახაკეა.

78. მდიდარი და უმეცარი ჭაბუკი, მსგავსია ოქროთ მოსჳლი ძეგლისა.

79. უმჯობესია ბრმა, ჳრემც უმეცარი; რადგან ის თუ ზოგჯერ ფოსოში შთავარდება, ეს ხშირად გარ-

დაიჩეხება კლდეზედ.

80. ჯანმრთელობა დიდი საუნ-ჯეა მოცემული ღვთისაგან ჩვენთჳს, რომელს თუ არ დაჳცვავთ ფრთხი-ლად და დავკარგავთ, მერე ძნელად მოჳშოვნით მას ხელმეორ და ან სრულიად ვერდარა, და გავატარებთ სიცოცხლესა სიმწარითა.

81. კაცი განბედნიერდება არა თა-ჳსაგან გარეშე მყოფი სიკეთებითა ამა ქვეყნისა, არამედ თაჳსივე პი-როვნული და შიგნეული კეთილო-ბითა.

82. უმეცრება ნახევარ პირუტ-ყვობა არის.

83. სჯობია მეცნიერების მიცემა, გაწურთვნა, და კეთილად აღზრდა შჳლისა, ჳრემც დატოება მისთჳს

აურაცხველი ქონებისა.

84. ამპარტავანი ღვთისაც საძუ-ლველია ჲ კაცისაცა.

82. თქმაზედ ჲ ლაპარაკზედ ბე-ვრს შეუნანებია ჲ დუმილზედ კ-არავის.

86. მრისხანობა დროებითი სიგი-ჟეა.

87. ჳნც თაჳს ვნებაებს ყინს არ დაიმონავებს, ვნებაები მას დაი-მონავებენ.

88. პირველი მტერი კაცისა თა-ჳსივე თაჳა.

89. შჳლი სიფიცხით გაზარდე რომ მოყრულებ გამოგადგეს.

90. თუ შჳლს თაჳს ნაქმნარს ნა-კლებულობაებზედ (ურიგობაზედ) გაუცინამ ჲ არ ატირებ, ბოლოს ის

შენ გატირებს .

91 . პირველი სკოლა ყმაწჳლისა თჳსივე სახლია, და პირველნი მასწავლებელნი მისნი კეთილისა თუ ბოროტისა, მისივე დედ მამანი და მათი ცხოვრების მაგალითნი არიან.

92 . ყმაწჳლობიდამ მიჩვეული ზნე საფლავამდი მიჰყვება კაცს .

93 . კეთილი თუ ბოროტი ჩვეულება ბოლოს ბუნებად გარდაიქცევა .

94 . ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს , გარდა შეყვარებისა ღვთისა და სამსახურისა მისისა .

95 . განვლის სოფელი და გულისთქმა მისი, ხოლო რომელიც ჰყოფს ნებასა ღვთისასა, ჰგიებს უკუნისამდე .

96. ყველაზე მდიდარი ის არის, ვინც ცოტათი დაკმაყოფილდება.

97. უსამართლობით მონაგებს მუდამ ზიანი მოსდევს.

98. ამისთჳს გვაქვს ერთი პირი და ორი ყური, რათა ბევრი მოჳსმინოთ და ცოტა ჳლაპარაკოთ.

99. კეთილის თქმასა და ქმნას შუა, დაპირებასა და მის შესრულებას შუა დიდი განსხვავებაა, რადგან არა კმარა კეთილის თქმა, არამედ იმისი საქმით შესრულებაა რომელიც დააგჳრგჳნებს.

100. რას არგებს კაცს უკეთუ მრთელი ქვეყანა შეიძინოს და სული თჳსი კი წარჰსწყმიდოს.

101. საჭირო და პირველი საქმე კაცისა არის შეყვარება ღვთისა და

თჳსი სულის ცხონება.

102. მხოლოდ ერთი რამისაგან უნდა გვეშინოდეს ჳთამც, ცოდჳსაგან, რომლითაცა შეიწყინება ღმერთი და წარწყმდება სამუდამოდ სული ჩვენი.

103. დავჰკარგავთ რა ცოდჳთ ღმერთსა, დავჰკარგავთ მით ყოველსავე კეთილსა.

104. ამ ქვეყნის სიხარულიცა და ჭირიცა მალე ყოველნი დასრულდებიან, საუკუნოებას კი არა აქვს არასოდეს დასასრული.

105. უღმრთოდ არ შეიძლება ჭეშმარიტი მშჳდობისა და ბედნიერების მოშოვნა.

106. დაღუპჳლია ის კაცი, რომელსაც მომაკვდინებელი ცოდჳთა

დაკარგული ჰყავს ღმერთი დ̃ ეგრედ უღმერთოდ ატარებს თაჳს ცხოვრებასა.



## საძიებელი

შესავალი 3. შეწირვა ამ წიგნისა წმიდა ნინა ქალწულისადმი. 12.

დილის ლოცვანი.

უფალო ჲ· 17. საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა 18. საქმე სინანულისა 22. უფალო ღმერთო 26. ღმრთო ჩემო 27. თაყვან-სცემელთ 28. ყოვლად წმიდაო 30.

შემდგომი დილის ლოცვათა. უფალო აღახვენ 32. უფალო გვნე. უფალო ღმერთო 33. რა მოგაგო 34. ვნანულობ 35. ყოველნი 36. უფალო 37.

ლითანია ყოველთაწმიდათა 38.

ფსალმუნი. ღმერთო შეწევნასა, და სხვა ლოცვანი 48.

ლოცვა ყოველდღივ სათქმელი. სარწმუნოებით აღვიარებ 59.

წირვის რიგი.

(წირჳს დაწყობიდამ სახარების წაკითხვამდი სათქმელნი ლოცვანი.)

წმიდა წირვა 73. ღმერთო ჩემო 75. სიყვარულისა 77. ყოვლად წმიდაო 78.

(სახარების წაკითხჳდამ წმიდა არსამდი.)

ურიცხვთა სასწაულ 80. მოიხსენე 83. ლოცვა მამა იოსებისა 85. ოვაკიმ და ანნასი 87. მფარველი ანგელოზისა 89. სეხნისა 90. წმიდა ხარ. ლოცვა თხოვნიასთჳს ღვთისაგან ყოველთა ღვაწლთა 93.

წმიდა სიტყვების დროს ლოცვა 96. წმიდა სიტყვების წარმოთქმიდამ ჯდრე ზიარებადმდე მღვდლისა ლოცვა 97.

(ზიარებიდამ მღვდლისა ჯდრე წირჯს დსრულებადმდე ლოცვანი) გარდამოავლინე უფალო 104. გვედრები 106.

სადამოს ლოცვანი

მოვედ სულო წმიდაო 109. სახე სჯნიდისის გამოძიებისა 111. საქმე სარწმუნოებისა, იმედისა, სიყვარულისა და სინანულისა 113. ყოვლად წმიდაო 118. დიდი ვადჯარები 119. სხვა და სხვა მოკლე ლოცვანი 121.

შემდეგი სადამოს ლოცვისა

უფალო ადახვენ 126. წმიდაო

ღმერთო, ჩი უფალო 127.
ღმერთო რომელი, მადრიელ ვარ 128. განანათლე 129. აჴა უფა-ლო 130. ღმერთო ჩემო 131.
ღმერთო. განაძლიერე 132.
სიხარულის სავარდე 133.
მწუხარების სავარდე 137.
დიდების სავარდე 139.
გიხაროდენ დედუფალო 141.
ლიტანია ყოვლად წმიდის 143.
საფარველსა ქვეშე 147. ანგე-ლოზმანი 149. ღრმით აღმო-დაღდ ვჴყავ 150. გიხაროდენ დე-დუფალო ცისაო 152.
შჳდნი ფსალმუნნი სინანულისანი
უფალო ნუ გულისწრომით 154.
ნეტარ არიან, რომელთა 156.
უფალო ნუ 159. მიწყალეე მე

ღმერთო 163. უფალო ისმინე 167. ღრმით აღმოღაღად ვჰყავ 172. უფალო შეისმინე 172.

დღის განმამავალობაში სათქმელნი ლოცვანი 175.

ლოცვა ჳზიტისა წმიდა ზიარების მიმართ 178.

ლოცვა ჳზიტისა ღვთის მშობლის მიმართ 183.

საქმე სურჳლით ზიარებისა 186.

შუადღის ლოცვა გინა გჳრგჳნი უფლისა ჩვენისა 188.

ლოცვა მანასე მეფისა 198.

სულთქმითი ლოცვანი 207.

ლოცვა იესოს ხუთთა წყლულთა მიმართ 214.

- შჳდთა მწუხარებათა მიმართ მარიამისა 220.

ლოცვა შჳდთა სიხარულთა მი-
მართ მარიამისა 228.
დიდი მრწამსი 234.
სულის ანდერძი 236.
ლოცვა კეთილი სიკვდილისა 244.
დასაფიქრებელნი საგანნი 245.
(აღსარების თქმისათჳს დამზადე)
ლოცვა ჩხრეკისა 247. სრული
სინანულისა 253. უსრული სინა-
ნულისა 256. პირობის დადები-
სა 260. სხვა ლოცვანი აღსარებ-
ის წინ 266. ლოცვა აღსარების
შემდგომ სათქმელი 272.
(განმზადება ზიარების მიღებისა)
წმიდა ზიარების მიღების წინ
სათქმელნი ლოცვანი საქმე სარ-
წმუნოებისა 279. სიმდაბლისა
284. იმედისა 286.

საქმე ნატვრისა 290 სიყვარულისა 294 შეწირვისა 297 წმიდათა მიმართ 301 შემცნება ზიარების მიღების შემდგომი დროსათჳს 302

მადლობის გარდახდა გინა ლოცვანი შემდგომ წმიდა ზიარების მიღებისა 304 საქმე სარწმუნოებისა და თაყვანის ცემისა 304 მადლობისა 307 სიყვარულისა 310 შეწირვისა 312 თხოვნისა 311 და დავედრებისა 322 სრული შენდობიანი ლოცვა 325

ლოცვანი მიცვალებულთათჳს 327

ლოცვა თხოვნისათჳს ჴორცის სიწმიდისა 334

ორმოცეული კურთხევანი შო-

ბისა 335
ნანნი იესოსი 536
გალობა იესოვ ანგელოზთ 340
გალობა ჩი ქალწულთა 342
უბრწყინვალესმან 343
ჭროქევ წმიდავ 346
ფიქრში შესანახი დასაწყი-
სები 358
საძიებელი 373

## სტამბის შეცილებანი.

| შეცილებული | გასწო-რებული. | გვერდ. | სტრიქ. |
|---|---|---|---|
| დავისტამბეთ | დავსტამბეთ | 4. | 7. |
| რაო-დენიცი | რაო-დენიცა | 7. | 13. |
| მიშგებლისა | მიმგებელისა | 43 | 6 |
| სკვდილადმდე | სიკვდილად | 37 | 2 |
| მიქმ ვიქმ | | 37 | 9 |
| ცხო-ვრებ | ცხო-ვრება | 51 | 2 |
| რათ | რათა | 55 | 1 |
| რო-ლისათვის | რო-მლისა | 55 | 1 |
| მიწყალეო | მო-წყალეო | 69 | 15 |
| სულამავალო-ბისა | სულამამავლო-ბისა | 86 | 10 |
| მშმაკისა | ეშმაკისა | 86 | 17 |
| სუმელისა | სასუმელი | 96 | 11 |
| გჳმო-ქმედებ | მო-გვხდენია | 112 | 13 |
| ღვთისაგან | ღვთისაგან | 119 | 6 |
| გულხა | გულსა | 123 | 2 |
| პარველი | პირველი | 133 | 7 |
| რაყამხ | რაყამს | 135 | 1 |

| | | გვერდ. | ტრიქ. |
|---|---|---|---|
| ჟამას | ჟამსა | 138 | 13 |
| შევვედრებ | შევავედრებ | ბ138 | 15 |
| გჭყო- გზჭსბ | გყო- გზასა | 157 | 17.18 |
| განმწიმიდე | გამწმიდე | 163 | 14 |
| მყვალნი | მვალნი | 159 | 18 |
| ფივრთი | ფვირთი | 164 | 17 |
| შენს | შენსა | 173 | 18 |
| ნახო-ფიერი | ნაყო-ფიერი | 177 | 14 |
| მაცხო-ვრო- | მაცხო-ვარო- | 178 | 4 |
| ჭეშარიტი | ჭეშმარიტი | 182 | 8 |
| შეყვარეეც | შეყვარება | 190 | 10 |
| შენსიათა | შენისათა | 195 | 6 |
| ცხო-ნებისათჳს | ცხო-ნებისთ | 246 | 5 |
| ყლვლად | ყო-ვლად | 252 | 19 |
| ბიარო-ს | გაიარო-ს | 276 | 13 |
| გვაბსა | ქვაბსა | 280 | 5 |
| სახში | სახლში | 317 | 2 |
| ლალადებენ | ლაღადებენ | 325 | 3 |
| ყუცლის | ყუცდის | 331 | 2 |
| ვრაო- | ვრავო- | 339 | 12 |
| ფამდეო-ბისა | დამცეო-ბისა | 349 | 17 |